

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებულები

F-171
965

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

8

აგვისტო

F-2925

თბილისი - 1965

ცირკულარული წერილი

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს,
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონე-
ბისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა
გამგებებს, პროფკავშირის საქალაქო და სარაიონო
კომიტეტებს

2 ივლისი, 1965 წ.


მოსწავლეებთან აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაო-
ბის ორგანიზაციის შესახებ 1965 წლის ზაფხულში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების,
უმალესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი დიდ
მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეებთან საზაფხულო აღმზრდელო-
ბითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის დროულად მომზადებასა და
ორგანიზებულად ჩატარებას. ეს მუშაობა უნდა წარმოადგენდეს
კომუნისტური აღზრდისათვის სკოლის საქმიანობის განგრძობასა
და განვითარებას, უმნიშვნელოვანეს რგოლს ახალი სასწავლო
წლისათვის სკოლების მომზადების საქმეში.

განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური
კომიტეტის მითითებებში ხშირად იყო ხაზგასმული, რომ სკოლები,
სახალხო განათლების განყოფილება პროფკავშირის კომიტეტები
უნდა გამოდიოდნენ ბავშვებთან საზაფხულო მუშაობის ნამდვილ
ინიციატორებად და ორგანიზატორებად.

გივზავნით რა რეკომენდაციებს მოსწავლეთა საზაფხულო
არდადაგების ორგანიზაციის შესახებ განათლების სამინისტრო და
პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი წინადადებას გაძღვეთ
ფართოდ გააცნოთ ეს რეკომენდაციები სკოლების ყველა მუშაკს.

სახალხო განათლების ორგანოებმა პროფკავშირის კომიტე-
ტებთან ერთად უახლოეს დროში უნდა დასახონ კონკრეტული
ლონისძიებანი 1965 წლის ზაფხულში მოსწავლეებთან მუშაობის
ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული ყურადღება



უნდა მიექცეს საზაფხულო მუშაობის შინაარსისა და ფორმების გაუმჯობესებას, იმას, რომ პედაგოგიურად გააზრებულ საზაფხულო აღმზრდელობით მუშაობაში ჩაებას მოსწავლეთა უმრავლესობის დასვენების ორგანიზაციის მხრივ განსაკუთრებული მზრუნველობაა საჭირო დაავადებულ და დასუსტებულ ბავშვთა მიმართ, სპეციალური საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა, მრავალსკოლების, შვილიანი და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახების ბავშვთა დამოზარდთა მიმართ, რომლებიც მუდმივ პედაგოგიურ ხელმძღვანელობას საჭიროებენ. ღრმად უნდა იქნეს გააზრებული მრავალგვარი სისტემატური მუშაობა მოსწავლეებთან, რომლებიც იმავე კლასში არიან დატოვებული ან საშემოდგომო გამოცდა აქვთ მიცემული.

სახალხო განათლების განყოფილებების, პროფკავშირული ორგანიზაციების, სკოლების პირველხარისხოვანი მოვალეობაა ბავშვთა სიცოცხლის დაცვისა და მათი სრული უშიშროების უზრუნველყოფა ამა თუ იმ სახის ღონისძიების გატარების დროს, მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ზრუნვა.

საზაფხულო არდადეგების ორგანიზაციასა და ჩატარებაში, მასწავლებლებთან ერთად უნდა იქნან ჩაბმული თვით მოსწავლეებიც, განსაკუთრებით კომკავშირლები და უფროსი პიონერები, აგრეთვე ვშობლები, უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების სტუდენტები, კომკავშირლები—წარმოების მუშაკები. ეს კადრები თავის დროზე უნდა მომზადდეს. სკოლები ვალდებული არიან მთელი თავისი მატერიალური ბაზა მოახმარონ ბავშვებთან მუშაობას ზაფხულში (სპორტული და სათამაშო მოედნები, სათამაშოთა კრებული, ბიბლიოთეკები, კინო-აპარატურა, სპორტული და ტურისტული ინვენტარი, სახელოსნოები, ლაბორატორიები, კაბინეტები, მუზეუმები, დარბაზები, აუდიტორიები).

საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის მომზადება და ჩატარება უნდა ხდებოდეს სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის მუდმივი კონტროლის ქვეშ.

დანართი—რეკომენდაცია (იხილე აქვე).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს
რესპუბლიკური კომიტე-
ტის თავმჯდომარე

ლ. მაღლაფერიძე

სკოლა—მოსწავლეებთან საზაფხულო აღმზრდელ- ბითი მუშაობის ორგანიზატორი

სკოლა აქცევს ყველაზე დიდ ყურადღებას ბავშვებთან მუშაობის ორგანიზაციას არასასწავლო დროს, გამოსასვლელ დღეებში, საშემოდგომო, საზამთრო, საგაზაფხულო და განსაკუთრებით საზაფხულო ხანგრძლივი არდადეგების დროს.

უკვე ცოტა როდია სკოლები, რომელთათვის ზაფხული აღარ წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივის შესვენებას სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. ზაფხულის პერიოდი სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისა და განათლების ერთიან სისტემაში და დიდ საზრუნავ საგანს წარმოადგენს ბავშვის, მოზარდის, ჭაბუკის აღზრდის საქმეში.

ყოველწლიურად უფრო ღრმა და შინაარსიანი ხდება სკოლების მუშაობა ზაფხულში. პედაგოგიური კოლექტივები იყენებენ ზაფხულის დროის უდიდეს შესაძლებლობებს იმისათვის, რომ თავიანთი აღსაზრდელები კიდევ ერთი საფეხურით უფრო მაღლა აიყვანონ გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სკოლაა დაკეტილი გამოსასვლელ დღეებში და არდადეგებზე. მასწავლებლები თავს არ იწუხებენ მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებით არასასწავლო დროს. სასკოლო ბანაკების, მოედნების, პიონერთა და ჭაბუკთა საზაფხულო კლუბების ქსელი ჯერ კიდევ უმნიშვნელოა და მომსახურებას უწევს მოსწავლეთა მხოლოდ მცირე რაოდენობას. განსაკუთრებით ცუდადაა საზაფხულო აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობა ორგანიზებული სოფლის სკოლებში.

ხშირად ზაფხულში მოსწავლეებთან მეცადინეობენ ფორმალურად, ცდილობენ რითიმე გაართონ ისინი და არ ზრუნავენ ბავშვის სულიერ, ზნეობრივ ზრდაზე, მის ფიზიკურ განვითარებაზე. ხშირად მუშაობა ტარდება ზაფხულის პირობებისა და თავისებურებათა.

ბავშვთა ასაკისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებლად ბევრგან ვლინდება დაუშვებელი უღარდებლობა ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაში. ბანაკთა უფროსებმა ხელმძღვანელთა, აღმზრდელთა, ტურისტული ლაშქრობის, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელთა დაუდევრობის, ცუდი მომზადების გამო აღვილი აქვს ბავშვთა ტრამვისა და დაღუპვის შემთხვევებს, ინფექციურ დაავადებებს. ბავშვებთან საზაფხულო მუშაობის ორგანიზატორები საკირო ზომებს არ ღებულობენ იმისათვის, რომ მოაწესრიგონ ბავშვთა კარგი, კალორიული კვება ბანაკებში, საზაფხულო მოედნებზე.

ზაფხულის პერიოდში ბევრი სკოლის სუსტი მუშაობის მიზეზად უბიროვლეს ყოვლისა უნდა ჩაითვალოს სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელების, სკოლის დირექტორებისა და პედაგოგიური კოლექტივების არასაკმაო ყურადღება მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნისადმი.

ბავშვებთან საზაფხულო მუშაობისათვის მზადება ხშირად იწყება დიდი დაგვიანებით. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მატერიალური ბაზის შექმნას აღმზრდელთა, უფროს ბიონერხელმძღვანელთა, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელთა, სამედიცინო მუშაკების შერჩევას, თვით მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმას მთელი საზაფხულო მუშაობის ორგანიზაციასა და ჩატარებაში.

სკოლები ჯერ კიდევ ყველგან როდი მუშაობენ თავისი რაიონის დაწესებულებებთან მკიდრო კონტაქტში, ნაკლებად სარგებლობენ საზოგადოებრიობის—შეფების, მშობლების, წარმოებებში მომუშავე კომკავშირლების, სტუდენტების—დახმარებით. სტადიონები და სპორტმოედნები ზაფხულში ნაკლებად მისაწვდომია ბავშვთათვის იმის იმის გამო, რომ წინასწარ არ ზრუნავენ მოსწავლეებთან მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციისათვის ამ სტადიონებსა და სპორტმოედნებზე.

სკოლის მუშაობაში სამთვიანი საზაფხულო შესვენება იმას კი არ ნიშნავს, რომ შეჩერდა მოსწავლეთა აღზრდის, ბავშვის პიროვნების ფორმირება, ეს პროცესი არ წყდება. და იშვიათი როდია, რომ ირდევს სკოლაში შეძენილი კარგი ჩვევები და წარმოიქმნება ცუდი გავლენა, რომლის დაძლევა შემდეგ ძნელი ხდება.

რას უნდა დავეყრდნოთ მოსწავლეებთან საზაფხულო მუშაობის ორგანიზაციისას?

მოწინავე სკოლების გამოცდილება საშუალებას იძლევა გან-
ვსაზღვროთ საზაფხულო აღმზრდელიობითი მუშაობის ორგანიზაციის
პრინციპები. მათ შორის ძირითადია სასწავლო-აღმზრდელიობითი
პროცესის განუწყვეტლობა, ცოდნით გატაცების აღზრდა მოსწავ-
ლეებში, თითოეული მოსწავლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქ-
ტივობის განვითარება, საერთო სასარგებლო შრომა. ამავე დროს
ეს მუშაობა სასკოლო განათლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმ-
ჯობესების ამოსავალი მომენტიცაა, ახალი სასწავლო წლისათვის
მზადება.

ზაფხული სკოლამ უეჭველად უნდა გამოიყენოს ფართო სა-
განმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციისათვის, განაგრძოს მეცა-
დინეობა ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, სკოლამდელები მოამზადოს
პირველ კლასში შესასვლელად.

ზაფხულში სკოლა განაგრძობს მუშაობას იმისათვის, რომ
აღზარდოს ნორჩი ბიოლოგები, ქიმიკოსები, ისტორიკოსები,
ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ლიტერატორები და ა. შ.
ყოველ მასწავლებელს, იმყოფება რა ის ბანაკში თუ ლაშქრობაში
მონაწილეობს, შეუძლია ამეცადინოს მოსწავლეები თავის საგანში
და ეს, მეცადინეობა წარმართოს მოსწავლეთა საზაფხულო საქმი-
ანობის ფართო აღმზრდელიობითს ამოცანებთან, ბავშვთა ცხოვრების
ახალ პირობებთან, მათ მრავალგვარ ინტერესებთან მჭიდრო ერ-
თიანობაში.

ზაფხული სკოლას უქმნის სწავლების ცხოვრებასთან უფრო
მჭიდრო და უშუალო კავშირის ახალ ფართო შესაძლებლობებს.
ექსკურსიების, ლაშქრობებისა და ექსპედიციების დროს, მონაწი-
ლეობენ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მოსწავლეები თვალ-
საჩინოდ და ფართოდ ეცნობიან საბჭოთა ადამიანების შრომას
სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, მრეწველო-
ბაში. ზაფხულის თვეები ყველაზე უფრო ხელსაყრელია ბუნების
შესასწავლად, აქ შესაძლებელია მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება
საბუნებისმეტყველო ციკლის საგნებში (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა,
გეოგრაფია). გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა მტკიცდება უშუალო
შთაბეჭდილებებით.

საზაფხულო ლაშქრობებსა და ექსპედიციებში, სკოლის სას-
წავლო-საცდელ ნაკვეთზე და მეზობელი კოლმეურნეობის მიწებ-
რებზე მოსწავლეები არა მხოლოდ უბრალოდ ეცნობიან მზა დასკვნ-
ებსა და განზოგადებას, არამედ თვითონ აკეთებენ ამ დასკვნებს

სინამდვილის კონკრეტული ფაქტების ანალიზით. ამრიგად, პედაგოგიურ კოლექტივებს ეძლევათ ფართო შესაძლებლობა მიიღწიონ მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის მაქსიმალურ აქტივობას, დანერგონ მათში შემოქმედებითი კვლევის ჩვევები, ფაქტების ანალიზის და დამოუკიდებლად განზოგადების უნარი.

ზაფხულის პერიოდში სხვადასხვაგვარი დამოუკიდებელი ძიება, შესასრულებელი სამუშაოს საზოგადოებრივ-სასარგებლო მნიშვნელობა—ყველაფერი ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ მოსწავლეებში აღიზარდოს ცოდნისადმი მტკიცე ინტერესი, სიყვარული, რაც დადებით გავლენას ახდენს მათ სასწავლო მეცადინეობაზე და ხშირად ცხოვრების გზის არჩევანზეც.

ამრიგად, მოსწავლეთა გონებრივი განვითარებისათვის სკოლის საზაფხულო მუშაობა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მეცადინეობის მეთოდებისა და ფორმების დუბლირებას, ის უნდა იტაცებდეს ბავშვს და იყოს მისაწვდომი, პასუხობდეს მის მრავალგვარ ინტერესს და ქმნიდეს ყველა პირობას მხატვრული, ტექნიკური, მეცნიერული შემოქმედებისათვის. საზაფხულო განმანათლებელი მუშაობა ვერ ითმენს შაბლონს, მოითხოვს შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სისტემატურ გაუმჯობესებას.

უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს ზაფხულში მოსწავლეებთან მუშაობის იდეურ-პოლიტიკური მიზანსწრაფვა. სკოლამ, მისმა პედაგოგიურმა კოლექტივმა, პარტიულმა ორგანიზაციამ ერთი დღითაც არ უნდა შეწყვიტონ ფრიად პასუხსაგები მუშაობა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. აღზრდა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე, შესწავლა იმისა, თუ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში როგორ ხორციელდება ლენინის ანდერძი,—მთავარი მიმართულებაა მოსწავლეებთან პოლიტიკურ მუშაობაში ზაფხულზე. პიონერთა ბანაკებში, კლუბებში, მოედნებზე იქმნება ლენინის კუთხეები, ეწყობა სტენდები, გამოფენები ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობის ამსახველი მასალებით, ტარდება კითხვები და ფილმებისა და დიაფილმების ჩვენება ლენინზე, კონკურსი ლენინის შესახებ დაწერილი ლექსების, სიმღერების საუკეთესოდ შესრულებაზე. მოსწავლეები აწყობენ ლაშქრობას ლენინური ოცნების აღდგომაში, ელექტროსადგურებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ზაფხულში გრძელდება სკოლების კომკავში-

რული და ბიონერული ორგანიზაციების შეჯიბრება საბჭოთა ხელი-სუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად, ეწყობა შეხვედრები ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებთან, როგორც არიან უფროსი თათბირის კომუნისტური, რევოლუციური ბრძოლების მონაწილენი, სამოქალაქო და სამამულო ომის გმირები, კომუნისტური შრომის დამკრედელები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავენი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომავალ 50 წლისთავთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთმცოდნეობას. თავისი რაიონის მასალებზე ბავშვები სწავლობენ რევოლუციური ბრძოლების, საბჭოთა ხალხის მტრებთან ბრძოლის ისტორიას. ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის ბრძოლის ისტორიას. მოსწავლეები მონაწილეობენ მრავალგვარ გამოკვლევაში, ძიებაში, რომლებსაც ეწევიან ვ. ი. ლენინის, რევოლუციის, საბჭოთა არმიის მუზეუმები, ისტორიულ-სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, აწყობენ საბჭოთა ხალხის გმირობისადმი მიძღვნილ გამოფენებს, ადგენენ რაიონის კოლმეურნეობებისა და საწარმოთა შრომითი დიდების მატრიანეს. ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად კომკავშირული და ბიონერული ორგანიზაციები დგებიან ლენინის შრომითს ვახტზე. ზაფხულში გრძელდება ოქტომბრელთა მომზადება ბიონერებში შესასვლელად და უფროსი ბიონერებისა—კომკავშირში შესასვლელად, ბანაკებში ტარდება საუბრები კომკავშირის ისტორიაზე, ახალგაზრდობის სავმრო საქმეებზე.

ზაფხულში სერიოზული ყურადღება ექცევა პატრიოტულ აღზრდას, საბჭოთა არმიისადმი, ჩვენი ხალხის საბრძოლო ტრადიციებისა და გმირობისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის დანერგვას მოსწავლეებში. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის ნიშნის ქვეშ წარმოებს სამშობლოს დამცველთა ძეგლების აგება, 22 ივნისის ტარდება დიდი სამამულო ომის გმირთა ხსოვნის მიტინგები, ლაშქრობანი „მამების გზით“, ავიაციის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე, ბიონერთა და უფროს მოსწავლეთა თამაშობანი.

სკოლების ბიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები ქმნიან შესაზღვრეთა, არმიისა და ფლოტის ნორჩი მეგობრების რაზმებს, სპორტულ წრეებს, სექციებს, აწყობენ კლუბებს.

საზაფხულო მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს ბავშვთა ინტერნაციონალურ აღზრდას. ეწყობა მოსწავლეთა ინტერნაციონალური კლუბები, საღამოები, მიტინგები, ტარდება „სხვა ქვეყნების ხალხებთან და ახალგაზრდობასთან მეგობრობისა და სოლიდარობის მანიფესტაცია, აღინიშნება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიის, მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის ღირსახსოვარი თარიღები. მიმდინარე წლის აგვისტოში ალბერში შედგება ახალგაზრდობისა და სტუდენტების IX მსოფლიო ფესტივალი. მოსწავლეები ფართოდ უნდა გაეცნონ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საქმიანობას, მსოფლიო ახალგაზრდობის მონაწილეობას საერთაშორისო ფესტივალებში „მშვიდობისათვის, ყველა ხალხის მეგობრობისათვის“.

ზაფხულში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული წიგნი, გაზეთი, რადიო. გაზეთების, ჟურნალების რეგულარული კითხვა, რადიოგადაცემების მოსმენა. თვითმოქმედი პრესცენტრების მუშაობის ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ზაფხულში მოსწავლეთა ცხოვრების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას მთელი ქვეყნის ცხოვრებასთან, სამშობლოს ცხოვრებაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი ამბის ნამდვილად მთავარ ამბად გადაქცევას ბანაკის, კლუბის, პიონერული რაზმის ცხოვრებაში. მოსწავლეებმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: შექმნან აგიტკულტბრივადები, იმუშაონ წიგნების დამტარებლად, პროპაგანდისტებად, მონაწილეობა მიიღონ კომკავშირული პატრულების, პროექტორების, ნორჩ ათვისტთა კლუბების საქმიანობაში. ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

უმნიშვნელოვანესი პრინციპული მოთხოვნა, რომელიც ზაფხულში ბავშვებთან აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის წინაშეა დაყენებული,—ეს არის მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების შეხამება შესაძლის მწარმოებლურ და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასთან.

პიონერები და კომკავშირელები წარმატებით ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო მუშაობების ჩატარებაში, მონაწილეობენ საცდელი ხასიათის მუშაობასა და ბუნების დაცვაში, მშენებლობაში, სასკოლო შენობების შეკეთებაში, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაში, მუშაობენ სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე და დამხმარე მეურნეობებში, მიდიან ყამირ მიწებზე. სამეურნეო და სამეცნიერო-კვლ

გთი ორგანიზაციების დავალებით ისინი აწყობენ გეოლოგიურ-სა-
ძიებო ლაშქრობებსა და ექსპედიციებს, ახდენენ ჰიდროლოგიურ,
გეოფიზიკურ და სხვა გამოკვლევებს, შრომობენ და მუშაობენ ხელ-
მძღვანელთა თანამემწეებად, საზოგადოებრივ ინსპექტორებად
სპორტსა და ტექნიკაში, ეწევიან აგიტმასობრივ მუშაობას.

განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება ზაფხულზე
იმისათვის, რომ მოსწავლეებში აღიზარდოს. ბუნებისადმი ღრმა სი-
ყვარული და არა მხოლოდ მისი სილამაზით დატკობისაკენ სწრაფ-
ვა. მოსწავლეებში უნდა დაიბადოს ბუნების დაცვაში, მის აღდგე-
ნასა და გარდაქმნაში მონაწილეობის დიდი სურვილიც.

საზაფხულო მუშაობის ორგანიზაცია ფართო მასშტაბით მხო-
ლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის ეყრდნობა მოსწავლეთა
თვითმომსახურებით შრომას. სასკოლო ბანაკებში, ტურისტულ
ლაშქრობებსა და ექსპედიციებში ცხოვრება დამყარებულია თვით-
მომსახურებაზე; ბავშვები თვითონ აწყობენ ბანაკებს, ამზადებენ
საჭმელს, ალაგებენ ტერიტორიას. აქ მუშაობა ატარებს არა მხო-
ლოდ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის, არამედ საზოგადოებ-
რივად აუცილებელი შრომის ხასიათსაც. ნ. კ. კრუბსკაია წერდა,
რომ აქ თვით საგნების ძალა ზრდის ბავშვს, რომელიც გადალა-
ხავს დადლილობისა და უსიამოვნობის გრძნობას, ვინაიდან აქ მი-
ზანი ჩანს.

საზაფხულო მუშაობა განსაკუთრებით იმით არის ძვირფასი
სკოლისათვის, რომ ის საშუალებას იძლევა—მისი აღმზრდელობითი
გავლენა ყოველმხრივ გავრცელდეს მოსწავლის ცხოვრებაზე. ზაფხუ-
ლის პერიოდში სკოლას შეუძლია მოსწავლეთა შეიარაღება დამოუ-
კიდებელი ცხოვრების ჩვევებით, უფრო აქტიური გავლენა მოახდი-
ნოს შრომისადმი დამოკიდებულებაზე, პირად ურთიერთობაზე, ხა-
სიათისა და ჩვევების ფორმირებაზე. პედაგოგიურმა კოლექტივებმა
არ უნდა დაივიწყონ ზაფხულში მოსწავლეთა ცხოვრების ორგანი-
ზაციის, შრომის, ყოფის, ესთეტიკის აღმზრდელობითი როლი.

საზაფხულო მუშაობა, როგორც ნ. კ. კრუბსკაია აღნიშნავდა,
იმის საშუალებას იძლევა, რომ საქმიან ნიადაგზე ადამიანი ყოველ-
მხრივ იყოს ადამიანებთან ურთიერთობაში, დაუკვირდეს ცხოვრე-
ბას, ისწავლოს ცხოვრება და უკვე ბავშვობიდანვე, სულ ადრინდელ
წლებიდან მოყოლებული თავს გრძნობდეს საზოგადოების სასარ-
გებლო წევრად. ნორჩი ხაზინადრების, სამეურნეო მუშაკების, სა-
ბანაკო ელექტროსადგურთა უფროსებისა და კოლექტივის სხვა

რწმუნებულთა საზაფხულო მუშაობა მოსწავლეებში იმუშავებს ეკონომიურად ხარჯვის, ქონების მოვლა-პატრონობის უნარს, ნერვავს მათში საზოგადო, სოციალისტური ქონებისადმი მსოფნიველობით დამოკიდებულების ჩვევებს.

ზაფხული მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული ბავშვთა ფიზიკური განვითარებისათვის: მათი ორგანიზმის გამოწრთობა და განმტკიცება, ხასიათის ისეთი თვისებების ფორმირება, როგორიცაა გამძლეობა, სიმზნევე, გულმზხიარულობა. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ ახალგაზრდობას ანსაკუთრებით ესაჭიროება გულმზხიარულობა და სიმზნევე, ჯანსალი სპორტი—ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსიები. ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიში, სულიერი ინტერესების მრავალმზხრიობა, სწავლა, განხილვა, გამოკვლევა, და ყველაფერი ეს შეძლებისდაგვარად ერთად.

სკოლამ ისე უნდა დააყენოს მოსწავლეთა საზაფხულო მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ბუნებრივი გამაჯანსაღებელი ფაქტორები—მზე, ჰაერი, წყალი. ზაფხულში ყველა შესაძლებლობაა მოსწავლეებთან სუფთა ჰაერზე ჩატარდეს სპორტის ისეთ სახეებში მეცადინეობა. როგორიცაა ცურვა, მენიჩბეობა, ქვეითი მოძრაობა, წყალ-სპორტი, ველოტურიზმი, მძლეოსნობა, სპორტთამაში.

სავალდებულოდ უნდა გადაიქცეს ბავშვებისათვის ცურვის სწავლება (ეს მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ჩვევა), რაც ხორციელდება ბავშვთა სპორტულ სკოლებთან, სპორტულ ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად. გეგმავს რა საზაფხულო აღმზრდელობითს მუშაობას, სკოლამ უნდა აღრიცხოს თითოეული ბავშვი, რომელმაც ცურვა არ იცის და გაითვალისწინოს მათთან მეცადინეობა—ცურვის სწავლება. სპორტული ორგანიზაციები სკოლებს უნდა დაეხმარონ იმაში, რომ ცურვა ისწავლონ არა მხოლოდ ბავშვებმა, არამედ აგრეთვე მასწავლებლებმა და ხელმძღვანელებმა, რომლებიც ზაფხულში ბავშვებთან იქნებიან ლაშქრობებსა და ბანაკებში. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ბანაობა, ნავით სეირნობა, თევზაობა, წყალსპორტი თან უნდა ახლდეს ბავშვთა საზაფხულო დასვენებას ყველგან, სადაც კი ამის საშუალება არსებობს.

ზაფხულში ყველა მოსწავლე უნდა ჩაებას მისი ასაკისათვის შესაფერის სხვადასხვაგვარ სპორტულ, მოძრავ თამაშში, ივარჯიშოს მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში. უნდა ჩატარდეს მოსწავლეთა მომზადება და საზაფხულო ნორმების ჩაბარება „იმშთ“ და მშთ“.

საჭიროა შეიქმნას ჯგუფები სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებისათვის, ჩატარდეს მათთან მუშაობა სამკურნალო ფიზკულტურაში. ექიმთან შეთანხმებით ამ ბავშვებმა შეძლებისდაგვარად უნდა მიიღონ მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში, შეჯიბრებებში (გაადვილებული ნორმატივებით).

საზაფხულო ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩატარებაში პედაგოგიური კოლექტივისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სკოლის კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, ფიზკულტურის საბჭოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია—წინასწარ, საზაფხულო სეზონის დაწყებამდე მომზადდეს სპორტული აქტივები: ფიზორგანიზატორები, ინსტრუქტორები და მსაჯები სპორტის სხვადასხვა სახისათვის და სპორტული თამაშისადაც. ზაფხულში ისინი გახდებიან სპორტული გუნდების, სხვა სკოლებისა და ბანაკების ბავშვებთან სამატჩო შეხვედრებისა და სპორტული შეჯიბრებების მთავარი ორგანიზატორები.

ზაფხულზე ტარდება მოფიქრებული მუშაობა მოსწავლეთა სანიტარულ-ჰიგიენური განათლებისათვის, მათში იწერება პირადი ჰიგიენის ჩვევები, ტარდება ნორმების ჩაბარება „მსთ“.

მოსწავლეთა ცხოვრების ორგანიზაციაში ზაფხულზე მთავარი უნდა იყოს მათი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარება. ზაფხული იძლევა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ფართო ასპარეზს. თითოეულმა სკოლამ უნდა მოიფიქროს, თუ როგორ მოაწესრიგოს ეს მუშაობა პიონერებთან და კომკავშირელების მიერ უკვე შექმნილი ჩვევებისა და უნარის გათვალისწინებით, ისე რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათი საქმიანობის თანამიმდევრობა სასწავლო დროს და ზაფხულში.

მოსწავლეთა ჩაბმა მომავალი ზაფხულისათვის მზადებაში (აქტივის მომზადება, ტურისტული რაზმებისა და ბანაკების კოლექტივთა დაკომპლექტება, ამ კოლექტივებსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის შემდგომ ორგანოთა შორის საქმიანი კავშირის დამყარება, მატერიალური ბაზის მომზადება საზაფხულო დასვენებისათვის და სხვ.). ორგანულად აკავშირებს საზაფხულო მუშაობას მოსწავლეთა კოლექტივის მთელი წლის ცხოვრებასთან. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფართოდ გაშლილი სისტემა იმის საშუალებას იძლევა, რომ ზაფხულში არა მხოლოდ ოპერატიული და ზუსტი ხელმძღვანელობა გაეწიოს ბანაკის, საექსპედიციო რაზმის, კლუბის

ცხოვრების ყველა უბანს, არამედ იმასაც, რომ მოსწავლეთა მასა ჩაებას ორგანიზატორულ საქმიანობაში.

საჭიროა მოსწავლეებს ზაფხულში მიეცეთ ნამდვილი შესაძლებლობა იმისა, რომ მონაწილეობა მიიღონ მათი ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში, დაწყებული სულ მცირე და დამთავრებული საერთო ხელმძღვანელობის საკითხებით. აქ უქველად უნდა ითქვას ისიც, რომ მოსწავლეთა საზაფხულო თვითმმართველობა ცარიელ ადგილზე როდი აიგება. მისი ქმედითობა დიდად არის დამოკიდებული მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებაზე, თვითმმართველობისა, რომელიც ხორციელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ზრუნავენ იმისათვის რომ ზაფხულზე დასვენების ყოველ ფორმაში გამოყენებულ იქნეს პიონერისა და კომკავშირის შესანიშნავი ტრადიციები და ყველა კარგი საქმე. ზაფხულზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს, მიეიწყებული რაზმების, ჯგუფების, ბრიგადების, რგოლების დიდებული ტრადიცია ფართო შეჯიბრებისა, რომელიც ტარდება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ტურიზმსა და მხარეთმცოდნეობაში, სპორტში, თვითმომსახურებაში, შემოქმედებასა და საზოგადოებაში, მოსწავლეთა მუშაობაში მათ საცხოვრებელ ადგილებზე.

ზაფხულზე უნდა განმტკიცდეს კავშირი მშობლებთან, მეგობრობა შეფებთან.

სკოლის საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობა მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილად მასობრივი და მასში პრაქტიკულად ჩაებმის ყველა მოსწავლე, თუ ამ მუშაობის ორგანიზაციაში, მომზადებასა და ხელმძღვანელობაში მონაწილეობას მიიღებენ მშობლები და საზოგადოებრიობა.

სკოლამ ისე უნდა გაშალოს თავისი მუშაობა, რომ მასთან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციები, სახლმმართველობა, პროფკავშირის კლუბი, სასოფლო კლუბი, საბავშვო ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, კულტურის სახლი, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მშობლები, კომკავშირელები, წარმოების მუშაკები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები სკოლებს ეხმარებიან მუშაობაში (უშუალოდ მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით) როგორც ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები სპორტ-

სა და ტურიზმში, ტექნიკური წრეებისა და მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელები. საზოგადოებრიობა და მშობლები სკოლებს ეხმარებიან აგრეთვე საზაფხულო დასვენებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნაში.

II

სკოლის გადაქცევა საზაფხულო მუშაობის ცენტრად გულისხმობს ამ მუშაობის ისეთი ფორმების გამოყენებას, რომლებიც მოგვცემს შესაძლებლობას, რათა ერთიანობაში გადაწყდეს მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცების, მათი აღზრდისა და განათლების ამოცანები. ამ ფორმებმა იმის სტიმულიც უნდა მისცენ სკოლებს, რომ არა მხოლოდ სეზონური საზაფხულო, არამედ მთელი საგანმანათლებლო და აღმზრდელი მუშაობა საუკეთესოდ იქნეს ორგანიზებული აგრეთვე წლის მანძილზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეებთან საზაფხულო აღმზრდელი მუშაობის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ეფექტური ფორმებია ექსპედიცია და ლაშქრობა, შრომისა და დასვენების კომპლექსური ახალგაზრდობის ბანაკი. ტურისტული და სპორტული საკარვე ბანაკი, პიონერთა ბანაკი, ნაკრები რაზმები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოედნები პატარა ბავშვებისათვის, ახალგაზრდობის კლუბები, კომპლექსური აგიტბრიგადები.

ექსპედიცია და ლაშქრობა—სკოლის საზაფხულო მუშაობის ყველაზე უფრო მასობრივი ფორმაა, რომელშიც შემეცნებითი, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა ჩინებულადაა შეხამებული ჯანსაღ დასვენებასა და ფიზიკურ წართობასთან.

ექსპედიციები მუდრო კავშირში არიან სამეცნიერო-საკვლევ და სამეურნეო ორგანიზაციებთან, მუზეუმებთან, რომელთა დავალებით მოქმედებენ მოსწავლეთა საქსპედიციო რაზმები და ატარებენ ისეთ გამოკვლევებს, რომლებსაც ხშირად საკმაოდ დიდი სახალხო-სამეურნეო და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

მოსწავლეები ასრულებენ საინტერესო დავალებებს გეოლოგიაში, არქეოლოგიაში, გეოდენზიასა და გეოფიზიკაში, ისტორიაში, ფოლკლორის შესწავლაში, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებების ჩატარებაში და ა. შ.

მოსწავლეები ატარებენ ექსპედიციებს, აწყობენ ლაშქრობას

დიდი სამამულო ომის ისტორიასთან დაკავშირებულ ადგილებში და ქმნიან სასკოლო მუზეუმებს.

ექსპედიციების დროს შესრულებული დავალებების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და შეგნება იმისა, რომ ამ მუშაობამ დახმარება გაუწია მეცნიერებასა და სახალხო მეურნეობას,—დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეებში მყარი ინტერესების დანერგვასა და ფორმირებაზე.

მოსწავლეთა ექსპედიციას შეიძლება ჰქონდეს ერთი თემა ან ის ტარდებოდეს კომპლექსური შესწავლის სახით ერთი ან რამდენიმე წლის მანძილზე.

საექსპედიციო მუშაობასთან ერთად ტურისტები ასრულებენ სხვადასხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეს: მონაწილეობენ სოფლების რადიოფიცირებაში, ეხმარებიან სოფლის სკოლების რადიომოწყვარულებს. სოფლის მცხოვრებთათვის აწყობენ ანტირელიგიურ საღამოებს, ახდენენ ეკლესიის „სასწაულების“ მზილებას.

ძალიან დიდი შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა თემატურ ლაშქრობებსა და ექსკურსიებს. ეს ლაშქრობანი არ უნდა გადაიქცეს უმიზნო სეირნობად. თითოეული ტურისტული რაზმი უნდა მოქმედებდეს მიზანსწრაფულად და ასრულებდეს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, პიონერული ან კომკავშირული ორგანიზაციის მიერ მიცემულ შესაძლის დავალებას. ნორმ ტურისტთა კარგ წესად გადაიქცა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობა, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, ადგილობრივ მოსწავლეებთან მეგობრობა.

შესანიშნავი ტრადიციაა აქტიური მონაწილეობა პიონერთა და მოსწავლეთა სრულიად საკავშირო ექსპედიციებში. გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო ექსპედიცია. თითოეული სკოლის ღირსების საქმეა ამ ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად ჩააბას ყველა მოსწავლე III კლასიდან დაწყებული.

სკოლებს გააჩნიათ საკმაო გამოცდილება სხვადასხვა სახის ლაშქრობის მოწყობაში. უფრო გავრცელებულია ქვეითი ლაშქრობა. ამავე დროს მოსწავლეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს წკალსპორტი, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი: ასეთ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ მოსწავლეს, რომელმაც კარგად იცის

კურვა. ამ ლაშქრობას უნდა ხელმძღვანელობდეს კურვისა და ნიჩბოსპორტის მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორი.

ბავშვთა მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ტურისტული ბაზების შექმნას და განმტკიცებას.

სასკოლო ტურისტული მუშაობა უეჭველად უნდა წარმოებდეს მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. III—IV კლასების პიონერთათვის რეკომენდებულია მოეწყოს ზაფხულში ორი ერთდღიანი ლაშქრობა. V—VI კლასების პიონერთათვის — ტარდება ერთდღიანი საწვრთნელი ლაშქრობა და ორი ორდღიანი — ღამის გათევით კარავებში. VII—VIII კლასების პიონერები მონაწილეობენ ხუთდღიან ლაშქრობაში. IX—X კლასების მოსწავლეები აწყობენ მრავალდღიან ლაშქრობას დიდ მანძილზე.


მოსწავლეებმა 14 წლამდე ლაშქრობის დროს უნდა შეასრულონ ნორმები ნიშანზე „ნორჩი ტურისტი“, უფროსკლასელებმა — ნიშანზე „სსრკ ტურისტი“.

ლაშქრობის სირთულისა და ხანგრძლიობის განსაზღვრისას, რასაკვირველია. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ მოსწავლეთა ასაკი, არამედ აგრეთვე მათი ფიზიკური და ტურისტული მომზადება. იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა ტურისტული ოსტატობა განუწყვეტლივ უმჯობესდება, მეშვიდეკლასელებსაც თამამად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ხანგრძლივ ლაშქრობასა და ექსპედიციაში.

ტრადიციად უნდა გადაიქცეს ტურისტული შეკრებები, შეჯიბრებები. მხარეთმცოდნეობასა და ტურიზმში მოსწავლეთა შეჯიბრებების შედეგების შეჯამებისას საჭიროა უპირველეს ყოვლისა მხედველობაში იქნეს მიღებული რაზმის, კლასის, სკოლის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობა (მთელი მისი სისტემა) წლის მანძილზე და არა მხოლოდ ჩასათვლელი ლაშქრობის შედეგები.

განსაკუთრებით დიდია საზაფხულო სასკოლო ბანაკების მნიშვნელობა. აქ პედაგოგიურ კოლექტივებს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ განაგრძონ მოსწავლეებთან მრავალმხრივი მუშაობა მათი გონებრივი განვითარებისათვის, ზნეობრივი, შრომითი და ფიზიკური აღზრდისათვის, და ეს მუშაობა აწარმოონ არა ცალკეულ ჯგუფთან, არამედ მოსწავლეთა დიდ კოლექტივთან.

უფროსკლასელთათვის ზაფხულში საუკეთესოა შრომა და დასვენება ბანაკებში. ამ ბანაკებში მოსწავლეთა შესაძლისი მწარმოებლური შრომა გონივრულადაა შეხამებული მრავალგვარ საინტერესო



დასვენებასთან. ასეთი სახის დასვენებას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. უფროსკლასელთა წინაშე ბანაკში დასმულია სერიოზული ამოცანები: მონაწილეობა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობის მუშაობაში, მშენებლობაში, დახმარების გაწევა საბავშვო ბაღებისა და სოფლის სკოლებისათვის, კვლევითი მუშაობის ჩატარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმდგრებზე, რაიონის ეკონომიური შესაძლებლობების შესწავლა, ავტოსობრივი მუშაობა მოსახლეობაში, მეგობრობის განმტკიცება მოსწავლეთა და წარმოებებში მომუშავე ახალგაზრდობას შორის. ბანაკში მწარმოებლური შრომის საშუალო ხანგრძლიობა—4 საათი.

შრომისა და დასვენების ბანაკები ეწყობა ქალაქისა და სოფლის სკოლების მიერ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, საწარმოებთან (შეფებთან) წინასწარ დადებული ხელშეკრულებების ბის საფუძველზე.

სკოლებისა და პროფკავშირთა საზაფხულო მუშაობის დაკავშირების ერთ-ერთი ფორმაა ბანაკ-თანამგზავრის შექმნა, რომელსაც სკოლები შეფ საწარმოებთან ერთად აწყობენ ქალაქგარეთ პიონერბანაკების ბაზაზე. პიონერბანაკის ტერიტორიის გვერდით განლაგდება საკარვე ქალაქი. ბანაკ-თანამგზავრს პიონერბანაკი ეხმარება სამეურნეო საკითხებში: მაგალითად, უფლებას აძლევს ისარგებლოს სასმელი წყლით, კვების ბლოკით, საექიმო მომსახურებით, სპორტული მოედნებით. მოსწავლეთა შორის იწყება მჭიდრო მეგობრობა. ეს ბანაკები ერთად ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, საღამოებს, კოცონებს, თამაშს.

საკარვე ბანაკებში რეკომენდებულია გაიგზავნონ VI—VII კლასების მოსწავლეები. უმცროსი ასაკის პიონერთათვის (IV—V კლასები) საკარვე ბანაკები უკეთესია მოეწყოს დასახლებული პუნქტების ახლოს. იქ ბავშვები რჩებიან მოკლე ხანს (1—2 კვირა).

სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა, კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სათანადო პირობების შექმნას იმ ბავშვების დასასვენებლად, რომლებიც ზაფხულზე რჩებიან ქალაქში, სოფელში, დასახლებულ პუნქტებში. თავის მიკრორაიონში სკოლები აწყობენ პიონერბანაკებს, მოედნებს პატარა ბავშვებისათვის, კომკავშირულ და პიონერულ საგუშაგოებს, ახალგაზრდობის კლუბებს, ქმნიან ნაკრებ პიონერრაზმებს.

იმ პიონერბანაკებთან ერთად, რომლებსაც ერთი სკოლა აწყობს, ქალაქებსა და მუშათა ახალშენებში ძალიან ხშირად ეწყობა ჯგუფური პიონერბანაკები, რომლებიც აერთიანებენ ორი-სამი სკოლის მოსწავლეებს. ასეთი მსხვილი ბანაკებისათვის უფრო ადვილია საჭირო კადრების, კარგი პედაგოგების შერჩევა, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამეურნეო საკითხის მოგვარება, აღმზრდელობითი მუშაობის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის გაშლა, შეჯიბრების ჩატარება რაზმებს შორის.

ზაფხულის პერიოდში ყველა მოსწავლე უნდა იყოს ჩაბმული კოლექტიურ საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს მათ ყოველმხრივ განვითარებას. ამისათვის მიზანშეწონილია საცხოვრებელ ადგილებზე შეიქმნას პიონერრაზმები ბავშვთა სხვადასხვა ასაკის მიხედვით, პიონერული საგუშაგოები, მოედნები უმცროსკლასელთათვის და იმ ბავშვებისათვის, რომლებიც შემოდგომაზე სკოლაში მოეწყობიან. ასეთი ნაკრები პიონერრაზმებისა და მოედნების მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული სასკოლო ბანაკის ყოველდღიურ მჭიდრო კავშირზე პედაგოგიურ კოლექტივთან და რაზმის საბჭოსთან. სასკოლო ბანაკთან ერთად ნაკრები პიონერრაზმები და საბავშვო მოედნები ატარებენ მასობრივ დღესასწაულებებს, მხატვრული თვითმოქმედების დათვალეირებას, აწყობენ შეჯიბრებებს, ლაშქრობასა და ექსკურსიებს. თუ ბანაკი არ არის, სკოლასთან იქმნება ნაკრები პიონერრაზმების შტაბი, რომელიც აერთიანებს და წარმართავს მათ მუშაობას.

ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრული კავშირის განმტკიცებას დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლებს შორის. მცირეკომპლექტიანი დაწყებითი და რვაწლიანი სკოლები უეჭველად საჭიროებენ საშუალო სკოლების დახმარებას, ამ სკოლებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა ვახდენენ მუშაობის ცენტრად თავის მიკრორაიონში.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა გონივრული დასვენების მოხდენილი ობიექტებია ახალგაზრდობის საზაფხულო კლუბები, კომკავშირელები თვითონ არიან ასეთი კლუბის ორგანიზატორები და პატრონები. სკოლის ამოცანაა—დაეხმაროს მათ საჭირო ზაზის შექმნაში, საზოგადოებრიობის მიზიდვაში.

სკოლები მოწოდებული არიან ყველაზე უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბანაკთა მუშაობაში. სკოლები და პროფკავში-

რული ორგანიზაციები ერთობლივად და მეგობრულად უნდა მუშაობდნენ ზაფხულის პერიოდში. იქმნება პიონერბანაკები მუდმივი პედაგოგიური კოლექტივებით, რომლებიც თანმიმდევრულად განაგრძობენ სკოლისა და ბანაკის აღმზრდელობითს მუშაობას მოსწავლეთა შორის.

III

გეგმავს რა მოსწავლეებთან მუშაობას ზაფხულის პერიოდში, პედაგოგიური კოლექტივი უწინარეს ყოვლისა იქიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ ეს მუშაობა არის განუწყვეტელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანული ნაწილი. ამიტომ საჭიროა არა მხოლოდ უბრალოდ იქნეს გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიება, არამედ გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ თითოეული ღონისძიება წარმოადგენდეს სკოლის მუშაობის გონივრულ განგრძობას, სასწავლო წელს. ამ მიზნით, გარდა მუშაობის სპეციფიკური ფორმებისა (ლაშქრობა, ექსპოზიცია, სხვადასხვა ტიპის ბანაკი, მოედანი) ზაფხულზე სკოლა იყენებს კლუბებს, შემოქმედებითს გაერთიანებებს, სექციებს. მთელი მუშაობა უნდა აიგოს უკვე მიღწეულისა და იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც სკოლის წინაშე დასმული მომავალი სასწავლო წლისათვის. არ უნდა დაიკარგოს ის დადებითი გამოცდილება, რაც პედაგოგიურმა და მოსწავლეთა კოლექტივებმა დააგროვეს ზაფხულში. ეს გამოცდილება ახალ წელს უნდა იქნეს გამოყენებული სკოლის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითს მუშაობაში.

სკოლამ ღრმად უნდა მოიფიქროს ზაფხულზე ბავშვებთან მუშაობის გეგმების შინაარსი. მოედნებისა და საქალაქო ბანაკების გეგმებში ხშირად არის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა კინოში წასვლა, წიგნების ხმამაღლა კითხვა, საუბრები, რომლებსაც მასწავლებლები ატარებენ. ასეთი გეგმები ხშირად ფორმალურია, შედგენილია სახელდახელოდ, თითქმის ბანაკებისა და მოედნების გახსნის წინ და, როგორც წესი, განხილული არ არის არც მასწავლებლების და არც მოსწავლეების მიერ.

ზაფხულში ბავშვებთან მუშაობის შინაარსის დაგეგმვისას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წელიწადის ამ დროის სპეციფიკურ თავისებურებებს და გათვალისწინებულ იქნეს მასობრივი მხარეთმცოდნეობითი და ტურისტული, ფიზკულტურული და სპორტული, ნატურალისტური და საცდელი მუშაობა, მუშაობა სოფლის

მეურნეობაში, ბუნების დაცვაზე. ზაფხულში ფართოდ გამოიყენება ბავშვთა და მოზარდთა ასაკისა და ინტერესების შესაფერისი სხვადასხვა თამაში.



გამართლებული უნდა იქნეს აგრეთვე მოსწავლეთათვის მიცემული საზაფხულო დავალება. თითოეული მოსწავლე, მათ შორის ისიც, ვინც სასკოლო ბანაკში არ მიდის და ზაფხულს სოფელში— აგარაკზე ატარებს, უნდა გრძნობდეს მუდმივ კავშირს თავის კოლექტივთან.

დავალება უეჭველად უნდა შეეფერებოდეს ზაფხულის პერიოდს, იყოს საინტერესო და პასუხობდეს იმ მოსწავლის ინტერესებსა და მიდრეკილებას, რომელსაც ის ეძლევა. დავალების კარგად შესრულება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არის საჭირო და საზოგადოებრივად აუცილებელი დავალებული საქმე, თუ ყველაფერი ის, რაც ბავშვებმა გააკეთეს გამოყენებული იქნება გაკვეთილებზე და წრის მეცადინეობაზე, რაზემბთან, ოქტომბრულთა მუშაობაში,—ეს მათ გვიტაცებს და დაინტერესებს. დავალების მიცემისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე ის, თუ სად და რა პირობებში გაატარებს მოსწავლე თავის საზაფხულო არდადეგებს.

დავალება შეიძლება მისცეს მასწავლებელმა, კლასის პედაგოგიურმა კოლექტივმა, ალკკ კომიტეტმა, რაზმის საბჭომ, და არა მხოლოდ ცალკეულ მოსწავლეს, არამედ მოსწავლეთა კოლექტივსაც—ნაკრებ პიონერულ რაზმს, ტურისტულ ჯგუფს და ა. შ. თითოეულმა მასწავლებელმა უნდა მოითქვოს დავალება თავის საგანში, ისე, რომ მოსწავლე არა მხოლოდ დაკავებული იქნეს რაიმე საქმით, არამედ ამ დავალებამ ხელი შეუწყოს მის გონებრივ განვითარებას. განუმტკიცოს ცოდნა, აღუძრას შემეცნებითი, შემოქმედებითი შრომის სურვილი. დავალებას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ აგრეთვე მეცნიერული და სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა. დავალების შესრულებისათვის მოსწავლეები წინასწარ ემზადებიან ნელ-ნელა.

თითოეულ მოსწავლეს უნდა მიეცეს საზაფხულო დავალება ფიზკულტურაში. ფიზკულტურის მასწავლებელი დავალებას აძლევს ექიმთან, მშობლებთან შეთანხმებით, ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და ფიზიკურ განვითარებას. სკოლაში ეწყობა სპორტინვენტარის გაცემა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის ფიზკულტურასა და სპორტში.

ალკა კომიტეტის დავალებები უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებენ თითოეული კომკავშირელის ჩაბმას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ეს არის მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაცია (კომკავშირული საგუნდოების, ნაკრები პიონეროზმების შექმნა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, პიონერებთან და ოქტომბრელებთან მუშაობა ხელმძღვანელებად, საზოგადოებრივ ინსტრუქტორებად. სკოლებისადმი, კოლმეურნეობებისა და სატყეო მეურნეობებისადმი დახმარება, თავისი სოფლის, ქუჩის კეთილმოწყობა, და გამწვანება, ავტიმასობრივი და კულტურული მუშაობა მოსახლეობაში).

კომკავშირის, რაზმის საბჭოს დავალება ფორმდება როგორც პასუხსაგები დავალება, პირველი სექტემბერი ბევრ სკოლაში ტარდება როგორც სკოლისათვის მიძღვნილი საჩუქრების დღესასწაული, ეწყობა მოსწავლეთა მიერ ზაფხულში შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, მათი მიღწევების დათვალიერება.

გეგმაში მოცემული უხდა იქნეს შემდეგი: სასკოლო ბანაკებში, ლაშქრობასა და ექსპედიციაში მოსწავლეთა ყოფნის ღირსეული და ვადები, სკოლის შეკეთებაში მონაწილეობის პერიოდი და ხანგრძლიობა სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, კოლმეურნეობაში მუშაობის დრო, ხელმძღვანელებად და ინსტრუქტორებად უფროსკლასელთა მუშაობის პერიოდი და ხანგრძლიობა.

გეგმაში ნაჩვენებია უნდა იქნეს აგრეთვე, თუ რამდენი და რომელი კლასის მოსწავლე დაისვენებს იმ ბანაკებში, რომლებსაც აწყობენ პროფკავშირი, პიონერთა სახლები, ნორჩ ტურისტთა, ნატურალისტთა, ტექნიკოსთა სადგურები და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად საზაფხულო ვამაჯანსაღებელ მუშაობაში ჩაბმულად არის ჩათვლილი მოსწავლე, რომელმაც ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა ხანგრძლივად (2—3 კვირა) ან ბანაკში იყო (ერთ ნაკადში) მაგრამ, სად იყო ბავშვი და როგორ დაისვენა, რას აკეთებდა ის დანარჩენი თვენახევრის, ორი თვის განმავლობაში, ამის შესახებ სკოლამ არაფერი იცის.

სკოლის საზაფხულო მუშაობის ორგანიზაცია უეჭველად უნდა ითვალისწინებდეს აღმზრდელობითსა და სავანმანათლებლო მუშაობას. მას ახორციელებს იმ მასწავლებელთა კოლექტივი, რომელიც პრაქტიკულად უძღვის ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეს წლების მანძილზე. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

დიდია მასწავლებლის როლი ბავშვებთან მუშაობაში ზაფხულ

ხე. მასწავლებელი საზაფხულო ბანაკებსა და ლაშქრობაში, — ეს არის ბავშვების უფროსი ამხანაგი, მათი პირველი და ავტორიტეტული მრჩეველი და დამრიგებელი. მოსწავლისთვის, რომელსაც დიდი ხნით ტოვებს ოჯახს, მასწავლებელია მოწოდებული შეცვალოს მშობლები. ეს მასწავლებლისაგან მოითხოვს კიდევ მეტ გულისხმიერებასა და ყურადღებას.

ზოგიერთი მასწავლებელი ფიქრობს, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობის პირობებში მასწავლებლის აღმზრდელობითი ფუნქცია ბევრს არაფერს წარმოადგენს. ეს არ არის სწორი აზრი. მოსწავლეთა თვითმმართველობა მოითხოვს პედაგოგიურ ორგანიზაციას. პედაგოგიური ტაქტი ყოველთვის შეაკავებს მასწავლებელს, რომ მან არ გამოიჩინოს ბავშვებისადმი ისეთი ზედმეტი ყურადღება, რომელიც შეზღუდავს მათ ინიციატივასა და დამოუკიდებლობას; ეს ტაქტი მასწავლებელს დაეხმარება არ მიმართოს აღმინისტრირებას, დაძალებას.

სკოლის დირექტორი პროფკავშირის კომიტეტთან ერთად ადგენს მასწავლებელთა შვებულებების ცხრილს ისე, რომ ზაფხულში უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვებთან აღმზრდელობითი მუშაობის პედაგოგიური ხელმძღვანელობა ივნის-აგვისტოს განმავლობაში. შვებულებაში არ უნდა იქნეს დაშვებული წყვეტა. უკანასკნელი განსაკუთრებულ შემთხვევაშია შესაძლებელი მხოლოდ მასწავლებლის თანხმობით. მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეთა საზაფხულო მუშაობის ორგანიზატორებად არიან გათვალისწინებული, სერიოზულად უნდა მოემზადონ. კარგია სკოლაში, რაიონში, ქალაქში მოეწყოს ზაფხულისათვის მასწავლებელთა მომზადება სხვადასხვა პროფილის ინსტრუქტორებად.

მომავალი ზაფხულისათვის მზადება უნდა ხდებოდეს სასწავლო წლის დაწყებიდანვე, ე. ი. სექტემბრიდან. პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად მასში აქტიურად მონაწილეობენ კომკავშირული და ბიონერული ორგანიზაციები. საზაფხულო მუშაობის ჩატარების გეგმის შედგენაში მოსწავლეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. თავისი პრესისა და თავისი რადიოს საშუალებით სკოლამ სისტემატურად უნდა გააშუქოს ზაფხულისათვის მზადების მსვლელობა.

მოსამზადებელი პერიოდი გამოიყენება მოსწავლეთა მოსამზადებლად ზაფხულისათვის: ტარდება ინსტრუქტაჟი და სხვადასხვა სახის მეცადინეობა, დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადებას შემდეგი სახეებისათვის: სპორტი,

ტურიზმი, მოდელირება, სხვადასხვა თამაში, მასობრივი მუშაობა. ზაფხულის პერიოდში მოსწავლეები ფართოდ უნდა სარგებლობდნენ სკოლის მატერიალური ბაზით (სპორტული და სათამაშო მოედნები, სათამაშოთა კრებული, ბიბლიოთეკა, სპორტული და ტურისტული ინვენტარი, სახელოსნოები, ლაბორატორიები, კაბინეტები, დარბაზები, აუდიტორიები და სხვ.). თვით მოსწავლეები ღებულობენ მონაწილეობას ბაზის შექმნაში საზაფხულო დასვენებისათვის: აწესრიგებენ ელექტრო და რადიოგაყვანილობას, ინვენტარს. ამზადებენ სათამაშოებს, აწარმოებენ სპორტული და ტურისტული სათამაშო მოედნების შეკეთებას, აწყობენ სპორტულ და სათამაშო მოედნებს.

ბევრი რვაწლიანი, საშუალო და დაწყებითი სკოლაც კი დიდ ინიციატივას იჩენს მოსწავლეებთან საზაფხულო მუშაობისათვის საჭირო მატერიალურ-ფინანსური ბაზის შექმნაში. იმ სახსრების დამატებით, რაც ბიუჯეტითაა გათვალისწინებული და რომლებსაც პროფკავშირები და შეფები (საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა) იღებენ, ისინი თავის სასწავლო-საცდელ და დამხმარე მეურნეობაში, სასწავლო-საწარმო სახელოსნოებში მოსწავლეთა შრომით მიღებული შემოსავლით, აგრეთვე მოსწავლეთა მიერ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში შესრულებული სამუშაოებით მიღებული თანხებით ქმნიან სპეციალურ ფონდს. ეს საშუალებას აძლევს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს სათანადოდ გაშალონ ზაფხულში მრავალმხრივი მასობრივი მუშაობა.

მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მომზადებასა და ჩატარებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის საკითხების მოწესრიგებას.

სკოლამ უნდა ჩაატაროს ბავშვების სპეციალური საექიმო შემოწმება, თითოეული ბავშვის საღმე გაგზავნის წინ ესაუბროს მის მშობლებს, განსაკუთრებული მუშაობა ჩაატაროს დასუსტებულ ბავშვებთან. მოსწავლეთა კვება ყველგან (ბანაკში, მოედანზე, ლაშქრობის, ექსპედაციის დროს) უნდა იყოს მაღალკალორიული.

პედაგოგიური კოლექტივისა და განსაკუთრებით სკოლის დირექტორის უდიდესი ზრუნვის საგნად უნდა გადაიქცეს ბავშვთა სიცოცხლის დაცვა და მათი ჯანმრთელობის განმტკიცება, სრული უსაშიშროების უზრუნველყოფა ყოველგვარი ღონისძიების (ლაშქრობა და სპორტული ვარჯიში, შრომა, ბანაობა და სხვ.) გატარების დროს. საჭიროა ჩატარდეს ხელმძღვანელთა და ამ ღონისძიე-

ბებში მონაწილეთა ინსტრუქტაჟი, ვასწავლოთ მოსწავლეებს ელემენტარული წესები პირველი დახმარების აღმოსაჩენად უბედურ შემთხვევებში (გაჭრა, დაშავება).

ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საბანაო ადგილის შერჩევასა და მის შესწავლას გულმოდგინედ. წყალსატევის ძირი უნდა გაიწმინდოს. ზაფხულში წყალსატევის ძირი რეგულარულად უნდა შემოწმდეს ბანაობის წინ. ცურვის სწავლებისათვის რეკომენდებულია მოეწყოს უბრალო აუზები, სადაც უნდა იყოს საშველი საგნები. ბანაობა, წყალზე შეჯიბრების ჩატარება უნდა ხდებოდეს ცურვის ინსტრუქტორის კვალიფიციური ხელმძღვანელობით, მისი მეთვალყურეობით.

ბანაკში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროება, წყლითა და მზით სწორი სარგებლობა. ბანაკთან ახლოს არ უნდა იყოს შხამიანი კენკრის ბუჩქები.

IV

სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლის ხელმძღვანელებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა, სასკოლო კომკავშირმა—ყველამ, ვინც კი მოსწავლეებთან საზაფხულო მუშაობას ატარებს, უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ თანმიმდევრობა მოსწავლეთა აღზრდის საქმეში, პედაგოგიურად, გონივრულად წარმართონ მოსწავლეთა ცხოვრება საზაფხულო არდადეგების პერიოდში. ამ საქმესთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისადმი პედაგოგიურ მიდგომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ ყველაფერი ის, რასაც საწარმოები, დაწესებულებები ადგილზე აკეთებენ და რაზედაც უამრავი თანხები იხარჯება, უფასურდება სწორედ იმიტომ, რომ არ ჩანს პედაგოგიური მიზანსწრაფვა, არ არის სათანადოდ გაგებული ბავშვებთან საზაფხულო მუშაობის აღმზრდელობითი ხასიათი, რადგან ზოგჯერ ამ საქმისადმი პასიურ დამოკიდებულებას იჩენენ სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები.

საზაფხულო მუშაობის მომზადებასა და ჩატარებაში სახალხო განათლების განყოფილებებმა წამყვანი როლი უნდა შეასრულონ რაიონში, ქალაქში, სკოლამ—თავის მიკრორაიონში. საჭიროა კონტაქტი სახალხო განათლების ორგანოების, კომკავშირის კომიტეტების და პროფკავშირის საბჭოების მუშაობაში. ორგანიზაციულად ეს ერთიანობა მიზანშეწონილია განმტკიცდეს ადგილებზე მუდმივად მოქმედი ავტორიტეტული კომისიების შექმნით, რომლებიც პასუ-

ხისმგებლები იქნებიან ბავშვებთან საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის მომზადებასა და ჩატარებისათვის.

ქალაქად, სოფლად (და მდლიანად) ბავშვებთან საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის პედაგოგიურად მიზანშეწონილი, გააზრებული დაგეგმვა—მნიშვნელოვანი პირობაა იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დასმულია კომისიების წინაშე და კოორდინაციის ერთ ერთი მთავარი პირობაა. დაგეგმვა უნდა მოხდეს თავის დროზე. საზაფხულო დასვენების მოსამზადებელი ღონისძიებების გეგმა შედგება შემოდგომაზე. გეგმა ითვალისწინებს ქალაქის, რაიონის ყველა იმ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას, რაც კომისიის წევრების მიერ არის შესწავლილი. ამასთან სავალდებულოა ყველა ბავშვის ზუსტი აღრიცხვა, რომლებიც ორგანიზებულ დასვენებას საჭიროებენ. ასეთ აღრიცხვას სკოლა თავის მიკრორაიონში ახორციელებს მშობელთა კომიტეტის დახმარებით.

ზაფხულისათვის მზადების გეგმით გათვალისწინებული უნდა იქნეს დროულად დაფინანსების, ბანაკებისა და მოედნების სათანადოდ მოწყობის, კადრების შერჩევისა და მომზადების საკითხები, საზაფხულო დასვენების ახალი ბაზების შექმნა, მუშაობისათვის პედაგოგიურად მიზანშეწონილი ფორმების შერჩევა.

გეგმა უნდა იყოს ზედმიწევნით კონკრეტული. ნაჩვენები უნდა იქნეს—რომელი ორგანიზაცია რას აკეთებს, რა ვადაში, ვინ მუშაობს ამა თუ იმ უბანზე, როგორ არის განაწილებული მუდმივი კონტროლის ფუნქციები კომისიის წევრთა და მუშაობისათვის მიზიდულ აქტივს შორის.

კარგად უნდა იქნეს მოფიქრებული იმ ხელმძღვანელთა—წარმოების მუშაკთა კადრების შერჩევისა და მომზადების საკითხი, რომლებმაც ზაფხულში ბავშვებთან უნდა ჩატარონ აღმზრდელობითი მუშაობა. სახალხო განათლების განყოფილებები ვალდებული არიან ქმედითი და უშუალო მონაწილეობა მიიღონ ასეთი კადრების შერჩევაში, იცოდნენ ყველა ბანაკის უფროსები.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში გათვალისწინებული უნდა იქნეს უფრო მეტი სემინარი—პრაქტიკუმი აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე. მასწავლებლები უნდა მომზადდნენ არა საერთოდ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისათვის, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რა ასაკის ბავშვებთან და სად (მოედანი, პიონერბანაკი ან კომკავშირულ-შრომითი ბანაკი, ტურისტული ლაშქრობა) მოუხდებათ მუშაობა ამ აღმზრდელ-მასწავლებლებს.

ზაფხულისათვის კადრების მომზადებაში სერიოზული ადგილი უნდა დაიკავოს პიონერული და კომკავშირული აქტივის, ნორჩი საზოგადოებრივი ინსტრუქტორების სწავლება-მომზადებამ სკოლის გარეშე მეცადინეობის სხვადასხვა სახისათვის. ამაზე პირველ რიგში უნდა იზრუნონ პიონერთა სახლებმა, ნორჩი ტურისტების, ტექნიკოსების, ნატურალისტების სადგურებმა, ბავშვთა სპორტულმა სკოლებმა.

აუცილებელია პედაგოგიურ კოლექტივებსა და ბანაკების მასწავლებლებს მუშაობის პროცესში საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაკებმა ადგილზე გაუწიონ სისტემატური და კონკრეტული დახმარება კონსულტაციებისა და სხვა ღონისძიებების სახით. სინამდვილეში კი ხშირად ასეთა: დამთავრდა მოსამზადებელი პერიოდი, ბანაკი გაიხსნა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის არც ერთა მეთოდისტი, განათლების განყოფილების არც ერთი ინსპექტორი, პიონერთა სახლის არც ერთი მუშაკი თავს არ იწუხებს იქ მისვლით, თუგინდ ერთხელ მაინც მთელი ზაფხულის განმავლობაში.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, ნორჩი ნატურალისტთა, ტურისტთა და ტექნიკოსთა სადგურები უნდა გახდნენ საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდურ ცენტრად, ისინი უნდა იყვნენ გამოცდილების ამსახველი მასალების შეგროვებისა და განზოგადების, მეთოდური გამოფენების ყოველწლიურად განახლების ორგანიზატორები.

სახალხო განათლების ორგანოებმა უნდა მიალწიონ იმას, რომ თითოეული სკოლისგარეშე დაწესებულება გახდეს ზაფხულზე ბავშვებთან მრავალგვარი მასობრივი საინტერესო მუშაობის ცენტრად.

საჭიროა ტარდებოდეს თათბირები ზაფხულში ბავშვებთან მუშაობის შედეგებზე. ამ თათბირებს უნდა ესწრებოდნენ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენლები, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, ბანაკების უფროსები, ხელმძღვანელები. თითოეული ასეთი თათბირი უნდა იყოს ნამდვილად ქმედითი და შესძლოს გადაწყვიტოს ბავშვებთან საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხები. ასეთი თათბირის ამოცანაა — გაკეთებულის ანალიზი, საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის წარმატების ხელშემწყობი პირობების განსაზღვრა, წარუმატებლობის მიზეზების დადგენა. თითოეულმა ასეთმა

თათბირმა უნდა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება და დასაბრუნოს ღონისძიებები საზაფხულო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საჭიროა სკოლების პრაქტიკაში დაინერგოს საუკეთესო მასწავლებლების, წარმოების მუშაკთა, სტუდენტების, მშობლების— ყველა ერთუზიასტის — ბავშვებთან საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა გამოცდილება.

სკოლა უნდა გახდეს მოსწავლეებთან საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის ნამდვილ ორგანიზატორად და ცენტრად. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლამ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამეგობრობაში წამყვანი როლი შეასრულოს მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მომზადებასა და ჩატარებაში, შეასრულოს მოსწავლეებთან მრავალმხრივი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მუშაობის, ზაფხულში მათი მრავალგვარი საქმიანობის ინიციატორისა და ორგანიზატორის როლი.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1965 წლის 2 ივლისის
დადგენილებით

დებულება სკოლა-ინტერნატის შმსახმა

I. სკოლა-ინტერნატის მიზანი და ამოცანები

1. სკოლა-ინტერნატი არის ახალი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია უფრო მაღალ დონეზე გადაწყვიტოს ყოველმხრივ განვითარებული, კომუნიზმის განათლებული მშენებლების მომზადების ამოცანები.

2. სკოლა-ინტერნატში უნდა იყოს შექმნილი ხელსაყრელი პირობები მოსწავლეთა ყოველმხრივი ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისათვის, მათში მაღალ მორალური თვისებების [აღზრდისათვის, კარგი ფიზიკური და ესთეტიკური განვითარებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში აღსაზრდელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის უზრუნველსაყოფად.

3. ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად სკოლა-ინტერნატი თავის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მოთხოვნას—ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შესახებ.

II. სკოლა-ინტერნატის გახსნის წესი

4. სკოლა-ინტერნატს ხსნის და ხურავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარდგენით. სკოლა-ინტერნატი იხსნება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაფერისი შენობა სასწავლო მეცადინეობისათვის, საერთო საცხოვრებელი, სასადილო და სხვა საჭირო ნაგებობანი, თუ არიან კვალიფიციური მასწავლებლები და აღმზრდელები.

5. სკოლა-ინტერნატი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში.

6. სკოლა-ინტერნატში არის I—X კლასები. მათში სწავლობენ და იზრდებიან 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები.

სკოლა-ინტერნატის გახსნისას მიიღებიან ბავშვები I-დან VII კლასამდე ჩათვლით.

სკოლა-ინტერნატი შეიძლება გაიხსნას I-დან VII კლასამდე, უფროსი (VIII—X) კლასების შემდგომში თანდათანობით გახსნით.

7. სკოლა-ინტერნატი შეიძლება გაიხსნას 245, 280, 340, 420 და 560 ბავშვზე.

სკოლა-ინტერნატი იხსნება ბავშვების ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელ ადგილებში და მას აქვს სასწავლო კორპუსი, საცხოვრებელი კორპუსი, კვების ბლოკი, სპორტული ქალაქი, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი და დამხმარე მეურნეობა.

სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსს აქვს: საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ხაზვის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის, მეოჯახეობისა და სხვ.), სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, სააქტო და ფიზკულტურული დარბაზები, ბიბლიოთეკა-სამკითხველო დარბაზით, რადიოკვანძი, სამასწავლებლო, პედაგოგიური კაბინეტი, დირექტორის, დირექტორის მოადგილის სასწავლო-სააღმზრდელო დარგში და ექიმის კაბინეტები, მოსწავლეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოთახი, პიონერთა ოთახი, სარეკრეაციო ფართობი.

სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელ კორპუსს აქვს საძინებელი ოთახები, ჯგუფების ოთახები (დასვენების ოთახები); სასტუმრო (აღსაზრდელების მშობლებთან შესახვედრად), უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელებისა და მორიგე ტექნიკური პერსონალის ოთახები, საკუქნარ, თეთრეულის შესანახი ოთახი, პირსაბანი ოთახი, ჰიგიენის ოთახი, სააბაზანო-საშხაპო სათავსო და სხვ.

სკოლა-ინტერნატის გახსნისას, როგორც წესი, გამოიყენება საშუალო სკოლების ტაობრივი და სხვა შესაფერი შენობები, რომელთაც ახლავს შენობები აღსაზრდელთა საერთო საცხოვრებლისა, კვების ბლოკისა, ფიზკულტურის დარბაზისა, სახელოსნოებისა და სხვა დამხმარე სათავსოებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ნორმალურ პირობებს ბავშვთა სწავლებისა და აღზრდისათვის.

III. სკოლა-ინტერნატში მიღებას წესი

8. ბავშვები სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან მხოლოდ და

მხოლოდ მშობლების ან მათი შემცველი პირების სურვილით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ მოღვაწეობის წესების შესაბამისად.



9. სკოლა-ინტერნატში პირველ რიგში მიიღებიან მარტოხელა დედების, ომისა და შრომის ინვალიდების შვილები, ოზლები და აგრეთვე ბავშვები, რომელთა ოჯახებში არაა მათი აღზრდისათვის აუცილებელი პირობები.

ბავშვების სკოლა-ინტერნატში შესანახად მშობლებს გადახდებთ გადასახადი მშობლების შემოსავლის მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სკალით.

სკოლა-ინტერნატში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მიიღებიან ბავშვები, რომლებსაც მშობლები არა ჰყავთ, აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევებში, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით ბავშვები მრავალშვილიანი, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან.

10. სკოლა ინტერნატში მუდმივად მცხოვრებ მოსწავლეებთან ერთად შეიძლება სწავლობდნენ აგრეთვე ოჯახებში მცხოვრები ბავშვები.

11. მიღების შესახებ განცხადებების განსახილველად და სკოლა-ინტერნატში ბავშვთა ჩარიცხვის საკითხის გადასაწყვეტად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ იქმნება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი განათლების ორგანოების წარმომადგენლები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს წარმომადგენელი, სკოლა-ინტერნატის დირექტორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები; ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სკოლა-ინტერნატში ბავშვთა მიმღები კომისიის შექმნის უფლება შეიძლება მიეცეს საქალაქო და რაიონალურ კომიტეტებს.

12. მშობლები, რომელთაც თავიანთი შვილები სკოლა-ინტერნატში მოათავსეს, ვალდებული არიან დაეხმარონ პედაგოგიურ კოლექტივს მათ აღზრდაში და უზრუნველყონ ბავშვების სწორი აღზრდა ოჯახში მათი ყოფნის პერიოდში.

მშობლები ბავშვებს ნახულობენ სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ საამისოდ დადგენილ დღეებში.

სკოლა-ინტერნატის დირექტორის ნებართვითა და მშობლების
ან მათი შემცვლელი პირების სურვილით მოსწავლეები შეიძლება
გაშვებულ იქნან სახლებში კვირა და უქმე დღეებში.

IV. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია სკოლა-ინტერნატში

13. 7—18 წლამდე ასაკის ორივე სქესის ბავშვების აღზრდასა
და სწავლებას სკოლა-ინტერნატი ახორციელებს საშუალო ზოგად-
საგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის მეშვეობით.

14. სკოლაში სწავლება წარმოებს საქართველოს სსრ განათ-
ლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმითა და
პროგრამებით.

15. თვითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა (ასევე ჯგუ-
ფებში აღსაზრდელთა რაოდენობა) განისაზღვრება I—VIII კლ.—35
კაცით,—ხოლო IX და X კლასებში—30 კაცით.

შრომის, უცხო ენისა და საწარმოო სწავლებისათვის კლასი
გაიყოფა ორ ქვეჯგუფად.

16. სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა
ითვალისწინებს სკოლის კავშირს მუშათა და კოლმეურნეთა ცხოვრება-
სა და შრომასთან, მოსწავლეთა მრავალფეროვანი შრომითი საქმიან-
ობის ორგანიზაციას თვითმომსახურების ელემენტარული საქმეები-
დან და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შრომიდან დაწყებული და სას-
წავლო-საწარმოო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, სა-
წარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარ-
მოო შრომაში მონაწილეობით დამთავრებული. ამასთან, მტკიცედ
უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი.

17. სკოლა-ინტერნატის სასწავლო მუშაობაში გამოიყენება
მუშაობის სხვადასხვაგვარი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყო-
ფენ მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულსა და მტკიცე შეთვისებას
ძირითადად გაკვეთილზე და აგრეთვე სხვადასხვაგვარ პრაქტიკულ
მეცადინეობათა პროცესში, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გონებ-
რივი ნიჭისა და აქტიური საქმიანობის განვითარებას, დამოუკიდე-
ბელ შრომითს ჩვევებს და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყე-
ნების უნარის გამომუშავებას.

გარდა გაკვეთილისა, რომელიც სასწავლო მუშაობის ძირითად
ფორმას წარმოადგენს, სკოლა-ინტერნატში ფართოდ გამოიყენება
სასწავლო მუშაობის სხვა ფორმები—ექსკურსიები, პრაქტიკული

სამუშაოები სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე და სახელოსნოებში, საწარმოო პრაქტიკა სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ა. შ.

18. სკოლა-ინტერნატში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია, რაციონალური კვება, მოსწავლეებში ჰიგიენური ჩვევების დანერგვა, ყოველდღიური დღის ვარჯიშები (წყლის პროცედურებით), აღსაზრდელთა ორგანიზმის სისტემატური გაკაება, მეცადინეობისა და კლასგარეშე მუშაობის პროცესში ტანვარჯიშული ილეთებისა და სპორტის სხვადასხვა სახის სწავლება მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, ჯომარდ თამაშობათა ჩატარება და შეჯიბრებების მოწყობა, გასეირნებები და ტურისტული ლაშქრობები, შრომითი საქმიანობა სუფთა ჰაერზე და ა. შ.

19. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ესთეტიკური აღრზდა ხორციელდება მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის, სიმღერისა და ხატვის გაკვეთილებზე და აგრეთვე მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვით, ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში მრავალფეროვანი კლასგარეშე მუშაობით (მასობრივი და წრეობრივი), გუნდისა და ორკესტრის (სიმებიანი და სასულე) ჩამოყალიბების გზით.

20. სკოლა-ინტერნატში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალური ნიჭისა და უნარის განვითარებას, როგორც სასწავლო მუშაობის, ისე სხვადასხვაგვარი კლასგარეშე მუშაობის პროცესში.

21. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ადგენს შინაგანაწესს აღსაზრდელთათვის და დღის რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის, შრომისა და დასვენების სწორ შეხამებას.

22. სკოლა-ინტერნატში გამოიყენება მოსწავლეთა წახალისებისა და აუცილებელ შემთხვევებში დასჯის ზომები, რომლებიც დადგენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

23. მეცადინეობა სკოლა-ინტერნატში იწყება და მთავრდება საყოველთაო სწავლების სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

24. საზაფხულო არდადეგები წესდება I—IV კლასებისათვის 12 კვირის, ხოლო V—IX კლასებისათვის—8 კვირის ხანგრძლიობით.

იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები ან რომელთაც არდადეგების დროს არ შეუძლიათ მშობლებთან წასვლა,

სკოლა-ინტერნატი აწყობს დასვენებას პიონერულ, კომკავშირულ-ახალგაზრდულ, ტურისტულ და სხვა ბანაკებში.

საქართველოს
საბავშვო

V. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზაცია

25. სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელი შეადგენს ერთიან კოლექტივს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სკოლა-ინტერნატის მიერ ცხოვრებაში.

საზოგადოებრივ-სასარგებლო, ფიზკულტურული, კულტურულ-მასობრივი და წრეობრივი მუშაობის სხვადასხვა სახეობებში კოლექტივის მონაწილეობა ემყარება მოსწავლეთა ინიციატივის, თვით-შემოქმედებისა და სოციალისტური შეჯობრების მეთოდის ფართოდ გამოყენებას.

სკოლა-ინტერნატში კოლექტივები იქმნება კლასების პრინციპის დაცვით და აგრეთვე ინტერნატის ოთახში ერთად ცხოვრების, საწარმოო-შრომითი საქმიანობის, წრეობრივი და საკლუბო მუშაობის, სპორტში მონაწილეობისა და სხვა პრინციპებით.

პირველადი კოლექტივები ერთიანდებიან საერთო სასკოლო კოლექტივში, რომელიც ირჩევს საერთო კრებაზე სკოლა ინტერნატის აღსაზრდელთა საბჭოს:

26. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კოლექტივში წამყვან როლს ახორციელებენ კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციები.

სკოლა-ინტერნატის კომკავშირის ორგანიზაცია იქმნება და მუშაობს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წესდების საფუძველზე.

სკოლა-ინტერნატის პიონერული რაზმეული იქმნება და მუშაობს გ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ არსებული დებულების საფუძველზე. სკოლა-ინტერნატში იქმნება წითელი ჯვრის, „დოსააფის“ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

VI. სკოლა-ინტერნატის თანამდებობრივი პირება

27. სკოლა-ინტერნატების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები წესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

28. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ინიშნება საუკეთესო პე-

დაგოგთავან, რომელსაც გააჩნია ორგანიზატორული უნარი, უმაღ-
ლესი პედაგოგიური განათლება და ხელმძღვანელ პედაგოგიური მუ-
შაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა.

დირექტორი პასუხს აგებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაო-
ბის, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და მათი პრაქტიკული საქ-
მიანობისათვის მზადების სწორად დაყენებაზე, აღსაზრდელთა სი-
ცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და სკოლა-ინტერნატის სამეურნეო
მდგომარეობაზე.

დირექტორი, ემყარება რა სკოლის საზოგადოებრივ ორგანი-
ზაციებს, ახორციელებს სკოლა-ინტერნატის მთელი საქმიანობისადმი
საერთო ხელმძღვანელობას ერთმმართველობის პრინციპის საფუძ-
ველზე. დირექტორის განკარგულებები სავალდებულოა სკოლა-ინ-
ტერნატის ყველა მუშაკისათვის.

29. დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაო-
ბის დარგში ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი
პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება
არანაკლებ 5 წლისა, და რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც
კარგმა ორგანიზატორებმა და მეთოდისტებმა.

დირექტორის მოადგილე სასწავლო სააღმზრდელო დარგში
უშუალოდ ხელმძღვანელობს სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრ-
დელობითსა და მეთოდურ მუშაობას და პასუხს აგებს სკოლა-ინ-
ტერნატის დირექტორის წინაშე ამ მუშაობის დაყენებაზე.

30. სკოლა-ინტერნატის მასწავლებლები და აღმზრდელები შე-
ირჩევიან საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომელთაც კარგად იცია-
ბავშვთა ფსიქოლოგია, მათი ასაკობრივი თავისებურებანი და უნარნი
აქვთ პირადი მაგალითით დადებითი გავლენა იქონიონ აღსაზრი
დელებზე.

31. სკოლა ინტერნატის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ უმაღ-
ლესი პედაგოგიური განათლება.

მასწავლებელი პასუხს აგებს მოსწავლეთა სწავლებისა და აღ-
ზრდის ხარისხზე, იმ საგნების სასწავლო გეგმებისა და პროგრამის
შესრულებაზე, რომელთაც იგი ასწავლის და მასზე დაკისრებულ
კლასგარეშე აღმზრდელობით მუშაობაზე.

32. უფროსი აღსაზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგო-
გიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5
წლისა. უფროსი აღმზრდელი პასუხს აგებს ინტერნატში აღმზრდე-



ლობითი მუშაობის ორგანიზაციაზე, დღის რეჟიმისა და შინაგანაწესის დაცვაზე, ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

33. აღმზრდელს უნდა აქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

აღმზრდელები შეირჩევიან იმ ვარაუდით, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს უხელმძღვანელოს კლასგარეშე მუშაობის რომელიმე სახეობას (ფიზკულტურაში, მუსიკაში, სიმღერაში და ა. შ.).

აღმზრდელი აწყობს აღმზრდელობით მუშაობას ჯგუფში, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას გაკვეთილების მოსამზადებლად, აღსაზრდელთა აქტიური მონაწილეობით ატარებს კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა ღონისძიებას, პასუხს აგებს, რომ მოსწავლეებმა დაიცვან დადგენილი წესი და რეჟიმი, აგრეთვე პასუხისმგებელია ბავშვთა ჯანმრთელობაზე და აღსაზრდელთა მოცემულ ჯგუფზე გაპიროვნებულ მატერიალურ ფასეულობათა და მოწყობილობათა დაცვაზე.

აღმზრდელს უფლება ეძლევა იქონიოს სასწავლო დატვირთვა არაუმეტეს 6 საათისა კვირაში.

სკოლა-ინტერნატის აღმზრდელები თავისი უფლებრივი მდგომარეობით გათანაბრებული არიან მასწავლებლებთან.

34. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის მეურნეობის მდგომარეობაზე, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაზე, სკოლა-ინტერნატის ქონებისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე, შენობათა და ნაგებობათა ნორმალურ ექსპლუატაციაზე, მათ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ტრანსპორტის სწორად გამოყენებაზე.

35. სკოლა-ინტერნატის ექიმს ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ასრ განათლების სამინისტრო, ავტონომიური ოლქის, რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილება სკოლა-ინტერნატის დირექტორთან შეთანხმებით. იგი პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სამედიცინო მომსახურებაზე, ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ახორციელებს სისტემატურ კონტროლს დღის რეჟიმის შესრულებაზე. ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მებაცდინეობაზე, მოსწავლეთა შრომით დატვირთვაზე, კვების ხარისხზე და სკოლა-ინტერნატის სანიტარულ მდგომარეობაზე. ექიმი და სამედიცინო და ხელმძღვანელობენ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სანიტარულ მომზადებას.

36. სკოლა-ინტერნატის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე პასუხს აგებს ამ ნაკვეთზე მუშაობის სწორად დაყენებაზე, სოფლის მეურნეობაში პრაქტიკის მოწყობაზე, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფაზე და მატერიალურად პასუხისმგებელია ნაკვეთის ქონების დაცვაზე.

37. ოსტატი (სკოლა-ინტერნატში, რომლებშიაც მე-5 და სხვა უფროსი კლასებია) პასუხს აგებს მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზაციაზე სკოლა-ინტერნატების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, მათ უზრუნველყოფაზე აუცილებელი მოწყობილობითა და მასალებით, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაზე და მატერიალურად პასუხისმგებელია სახელოსნოების ქონების დაცვაზე.

38. კაბინეტების გამგეობას სკოლა-ინტერნატის დირექტორი აკისრებს ყველაზე უფრო გამოცდილ, შესაბამისი სპეციალობის მქონე მოსწავლეებს, კაბინეტების გამგეები პასუხს აგებენ კაბინეტების მოწყობაზე და მათი მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე.

39. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, ასსრ განათლების მინისტრი, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე, საქართველოს ალკკ ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებთან შეთანხმებით იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ პედაგოგიური განათლება და პიონერული მუშაობის გამოცდილება.

უფროსი პიონერხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პიონერული რაზმეულის მუშაობას სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივის მიერ ჩატარებული მუშაობის გათვალისწინებით შედგენილი პიონერული მუშაობის გეგმის საფუძველზე.

49. სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელ და პედაგოგიურ პერსონალს ნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ასსრ განათლების სამინისტრო, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლა-ინტერნატის დირექტორის წარდგენით, მუშაკთა დანარჩენ კატეგორიებს—სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

VII. სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭო

41. სკოლა-ინტერნატთან იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლა-ინტერნატის დირექტორი (თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში, მასწავლებლები, უფ-

როსი პიონერხელმძღვანელი, უფროსი აღმზრდელი, აღმზრდელები, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე, ოსტატი, დირექტორის თანამშემწე სამეურნეო ნაწილში, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მშობელთა კომიტეტისა და მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარეები.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით პედაგოგიური საბჭოს შესახებ.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

VIII. მშობელთა და ხელშემწყობი კომიტეტები

42. მოსწავლეთა მშობლებთან სკოლა-ინტერნატის მუდმივი და მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა-ინტერნატთან იქმნება მშობელთა კომიტეტი, რომელსაც ირჩევს მშობელთა კრება.

მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარეს აირჩევენ კომიტეტის წევრები.

მშობელთა კომიტეტი იზიდავს მშობლებს სკოლა-ინტერნატის მთელ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ეხმარება სკოლა-ინტერნატს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში მათი მონაწილეობის და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

43. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სკოლა-ინტერნატის მიერ მჭიდრო კავშირის დამყარებისა და მუშაობის აუცილებელი პირობების შექმნისა და გაუმჯობესების მიზნით. ამ ორგანიზაციების მოსაზიდავად სკოლა-ინტერნატთან იქმნება მზრუნველთა საბჭო. მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, წარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების წარმომადგენლები და სხვა.

სკოლა-ინტერნატს უნდა ჰყავდეს აგრეთვე საშეთო ორგანიზაცია, რომელიც გამოიყოფა ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებით.

IX. დაფინანსება და ანგარიშგება

44. სკოლა-ინტერნატის დაფინანსება წარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა შენახვის გადასახადი ჩაირიცხება იმ ბიუჯეტების შემოსავალში, რომლებითაც ხდება სკოლა-ინტერნატების დაფინანსება.



სკოლა-ინტერნატს შეუძლია ჰქონდეს სპეციალური სახსრები, რომლებსაც ხარჯავს სკოლა-ინტერნატის დირექტორი განათლების სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული და საფინანსო ორგანოების მიერ რეგისტრირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატების სახელოსნოებსა და დამხმარე მეურნეობებში მოსწავლეების მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი ხმარდება მოსწავლეთა კვების, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, აგრეთვე ამ სკოლების სახელოსნოებისა და დამხმარე მეურნეობების გაფართოებას.

45. სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, მას აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბის გამოსახულებით და შტამპი სკოლა-ინტერნატის ადგილსამყოფელის აღნიშვნით.



და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლმე-
ზიის, ცეკავშირის გამგეობისა და საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის ბიუროსი

3 ივლისი, 1965 წელი

1965—1966 სასწავლო წელს რესპუბლიკის სოფლის სკოლებსა
და სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, ცე-
კავშირის გამგეობა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტე-
ტის ბიურო აღნიშნავენ, რომ გასულ სასწავლო წელს სოფლის რვა-
წლიან და საშუალო სკოლებში სასკოლო სასადილოების და სასკოლო
ბუფეტების გახსნის, ცხელი და ცივი კერძებით მოსწავლეთა კვების
საქმეში გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის 664 სკოლაში, რომელშიც
ტიპიური პროექტით გათვალისწინებულია სამზარეულო და სასა-
დილო დარბაზები, არაა მოწყობილი სასკოლო სასადილოები. ეს
იმის შედეგია, რომ ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილე-
ბის გამგეები, კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობათა თავ-
მჯდომარეები, ალკკ რაიონული კომიტეტის მდივნები, სკოლის დი-
რექტორები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა
ცხელი კერძებით კვების საქმეს. არის შემთხვევები, როცა ცალკე-
ული კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობები გულგრილად
ეკიდებიან სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში მოსწავლეთა
ცხელი და ცივი კერძების სავალდებულო ასორტიმენტით ვაჭრობის
საქმეს და ნაცვლად სასკოლო სასადილოსა და ბუფეტისათვის
დამტკიცებული სავალდებულო ასორტიმენტისა, ვაჭრობენ კონსერ-
ვებით, ძვირფასიანი კამუფეტით, მაკარონის ნაწარმით, ბურღულით.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, ცეკავშირის გამგეობა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო

ა დ გ ე ნ ე ნ

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უზრუნველყონ რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოსათვის განკუთვნილი ოთახების გამოთავისუფლება, ჩაატარონ მათი შეკეთება, დააკომპლექტონ საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით და გადასცენ კოოპერაციულ ორგანიზაციებს სასკოლო სასადილოს მოსაწყობად;

ბ) რვაწლიან და საშუალო სკოლებში, რომლებშიც პროექტით არაა გათვალისწინებული სამზარეულო და სასადილო დარბაზი, გამოჰყონ სამისოდ ოთახი და მოაწყონ იგი საჭირო ინვენტარით;

გ) სკოლის დირექტორებმა აღმოუჩინონ კოოპერაციულ ორგანიზაციებს ქმედითი დახმარება მოსწავლეთა შორის კომპლექსური სადილების ტალონების გასავრცელებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (ამხ. შ. ბუთიკაშვილი), სკოლების სამმართველოს (ამხ. დ. ჯავახია) სასკოლო შენობების ახალი მშენებლობისა და არსებული სასკოლო შენობების გაფართოების დროს აუცილებლად გაითვალისწინონ სასკოლო სასადილო 25—30 ადგილით.

3. დაევალოს „აბსოიუზის“, აჭარკოოპკავშირის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის, რაიკოოპკავშირების და რაიკოოპერატივების გამგეობებს:

ა) 30 ივლისისათვის დაამთავრონ სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტებისათვის გამოყოფილი შენობების მიღება, სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში ინვენტარ-მოწყობილობის შეზიდვა სკოლის დირექტორების მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით და სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტებისათვის მუშაკების შერჩევა;

ბ) ყველა სასკოლო სასადილოში სკოლის დირექციის მეშვეობით გაავრცელონ კომპლექსური სადილების ტალონები მოსწავლეთათვის. სასკოლო სასადილოსა და ბუფეტში ცხელი და ცივი კერძები მომზადებულ იქნას სასკოლო სასადილოსა და ბუფეტებისათვის დამტკიცებული ასორტიმენტის მიხედვით;

გ) კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობებმა, რომლებიც პროდუქტებით ამარაგებენ სკოლა-ინტერნატებს, შექმნან მოსწავლეთა კონტინენტის შესაბამისად ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების მარაგი და არ დაუშვან ამ პროდუქტების გაცემის შეფერხება.

4. ცეკავშირის ვაქრობის სამმართველოს სასურსათო განყოფილებამ (ამხ. თ. კილურაძე) კონტროლი დააწესოს სკოლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებზე გამყოფილი პროდუქტების დანიშნულებისამებრ ათვისებაზე.

5. დაავალოს ალკკ რაიონული კომიტეტის მდივნებს:

ა) 30 ივლისამდე შეამოწმონ განათლების განყოფილებათა გამგეების, კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობათა თავმჯდომარეების მონაწილეობით რვაწლიან და საშუალო სკოლებში სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტებისათვის ოთახების გამოყოფის, მათი შეკეთებისა და მოწყობის საკითხი და სკოლის დირექტორების, განათლების განყოფილების გამგის, კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ბ. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი დააწესონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებამ და ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველომ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ცეკავშირის გამგეობის
თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ყურაშვილი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომ.
მდივანი თ. ჩერქეზია

У т в е р ж д а ю
Министр просвещения Грузинской ССР
Лашкарашвили Т. В.
15 марта 1965 г.

У К А З А Н И Я

о приеме учащихся в вечерние (сменные) и заочные средние общеобразовательные школы

С целью улучшения организации приема учащихся в вечерние (сменные) школы рабочей и сельской молодежи и заочные школы Министерство просвещения Грузинской ССР предлагает руководствоваться следующим:

1. В вечерние (сменные) школы рабочей и сельской молодежи и заочные школы принимаются граждане обоего пола в возрасте от 16 лет и выше, которые работают на предприятиях и в учреждениях, в колхозах и совхозах, а также инвалиды войны и труда.

Примечание: а) при приеме учащихся в вечерние (сменные) и заочные школы в настоящее время основное внимание должно быть уделено молодежи, работающей в той или иной области народного хозяйства и желающей учиться в III—VIII классах;

б) в вечерние (сменные) и заочные школы, в порядке исключения, может быть принята молодежь, которая нигде не работает;

в) учащиеся системы профтехнического образования в вечерние школы принимаются с разрешения директора соответствующего учебного заведения.

2. Запрещен прием учащихся до 16 лет в вечерние (сменные) школы рабочей и сельской молодежи и заочные школы. В

отдельных, вызванных уважительной причиной случаях вопрос для решения необходимо ставить перед Министерством просвещения Грузинской ССР, Абхазской и Аджарской АССР и отделами просвещения Юго-Осетинской Автономной области и г. Тбилиси.

3. В IX класс вечерней (сменной) школы рабочей и сельской молодежи и заочной школы, срок обучения в которых определен Законом о школе в три года (IX—XI классы) принимаются лица, работающие в одной из отраслей народного хозяйства и имеющие законченное восьмилетнее образование или восемь классов общеобразовательной средней школы.

4. Лица, окончившие IX классы десятилетней школы или X классы средней школы с производственным обучением и работающие в одной из отраслей народного хозяйства, принимаются в XI классы.

5. Лицам, желающим получить документ о среднем образовании в более сжатые сроки, следует рекомендовать сдачу переводных и выпускных экзаменов в порядке экстерната.

6. Изучение иностранного языка учащимися V—XI классов вечерних и заочных общеобразовательных школ является обязательным. В исключительных случаях, при наличии уважительных причин, решением педсовета школы учащиеся указанных классов в возрасте 30 лет и старше освобождаются от изучения иностранного языка. В документе об образовании им в графе „иностранный язык“ ставится прочерк.

Примечание: Циркулярное письмо Министерства просвещения Грузинской ССР № 1/369 от 7 февраля 1957 года „Об освобождении учащихся в возрасте 35 лет и старше от изучения иностранного языка“ считать утратившим силу.

7. Прием учащихся как в укомплектованные, так и вновь открывшиеся классы вечерних и заочных общеобразовательных школ производится ежегодно в пределах контингента, предусмотренного для каждой школы народнохозяйственным планом.

Примечание: При комплектовании школ и классов нужно вернуть сеть классов с ускоренным обучением за курс I—II, III—IV и V—VIII классов.

8. В конце учебного года директор школы на основе имеющегося в наличии количества учащихся и народно-хозяйственного плана контингента следующего учебного года определяет в какой класс, сколько учеников должно быть принято и в соответствии с этим об"являет прием.

9. Прием в школы нового потока об"является с 15 мая по 25 августа. Для вовлечения молодежи в учебу директор школы совместно с администрацией и общественными организациями, предприятиями и учреждениями проводит раз"яснительную работу, издает об"явления, пользуется собраниями молодежи, местной печатью и радиотрансляционной сетью.

10. Поступающие в вечерние (сменные) общеобразовательные школы вместе с заявлением представляют следующие документы:

- а) справку или свидетельство об образовании с подписью и печатью директора, заведующего, школой;
- б) справку с места работы;
- в) справку с места жительства;
- г) свидетельство о рождении;
- д) справку о состоянии здоровья.

11. Заявление и документы поступающих в школу принимает директор школы или заместитель директора школы по учебной работе.

12. Там, где есть учебно-консультативный пункт заочной средней школы прием учащихся производит заведующий пунктом. Заочная средняя школа обязана установить контроль над консультационными пунктами по зачислению учащихся. После окончания приема заведующий пунктом до 1-го сентября пересылает в школу документы вновь зачисленных и материалы о переводных экзаменах.

13. Лица, которые имеют перерыв в обучении более трех лет и при поступлении в школу вместе с заявлением не могут представить справку об образовании, сдают приемные экзамены по программе предшествующего класса по следующим предметам:

в V—VI классах—родной язык (письменно), арифметика (устно);

VII классе—родной язык (письменно), алгебра (письменно);

VIII классе—родной язык (письменно), алгебра-арифметика (письменно);

IX—X—XI классах—русский язык (письменно), алгебра (письменно), геометрия (устно).

Примечание: Учащиеся, принятые в школу согласно этому правилу, обязаны до окончания выпускного (VIII или XI) класса сдать экзамены по всем предметам, входящим в свидетельство об окончании восьмого класса или в аттестат о среднем образовании.

14. Виды письменных работ должны состоять: по родному языку—из письменной работы по определенной для каждого класса тематике: по математике—в VII, VIII, IX, X и XI классах—из одной задачи и двух примеров.

15. Устные экзамены проводятся путем индивидуального опроса.

16. Для проведения экзаменов текст письменной работы, вопросы, задачи и примеры готовит учитель соответствующего предмета и утверждает директор школы.

17. Экзамены проводятся по расписанию, утвержденному директором школы, вместе с этим, в группе в один день можно провести только один экзамен.

18. Поступающего в вечернюю (сменную) и заочную общеобразовательную школу проверяет преподаватель соответствующего предмета и ассистент, которых утверждает директор школы.

19. Педагогический совет школы рассматривает результаты экзаменов. Зачисление в соответствующие классы производится решением педагогического совета и оформляется приказом директора школы. На каждого вновь принятого в школу ученика должно быть составлено личное дело.

20. Учащиеся техникумов и других специальных учебных заведений и общеобразовательных дневных школ в вечерние (сменные) и заочные школы не принимаются.

21. Исключенные из дневных школ в вечернюю школу принимаются после истечения срока исключения, при условии, если они работают.

В связи с изданием настоящих указаний считать утратившим силу указание Министерства просвещения Грузинской ССР от 31 июля 1962 года „О приеме учащихся в вечерние (сменные) общеобразовательные школы“.

Основание: Постановление заседания коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 12 марта 1965 г.

Начальник Управления вечерних
и заочных школ Канделаки Р.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის
28 ივნისის ბრძანება № 716

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების მიერ გარკვეული მუშაობა ტარდება მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და დროულად რეაგირების საქმის გასაუმჯობესებლად. შემოსული წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვა ძირითადად დროულად სწარმოებს. ცალკეული წერილებისა და საჩივრების ადგილებზე შესწავლასა და განხილვაში, გარდა სამინისტროს აპარატის მუშაებისა, გამოყენებულია საზოგადოებრივ ინსპექტორთა და მეთოდისტთა აქტივი.

სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე პერიოდულად იხილება წერილების, განცხადებებისა და საჩივრების შემოწმებისა და განხილვის მდგომარეობა.

ამასთან ერთად მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს. ხშირად წერილებისა და განცხადებლების ავტორებს პასუხი დიდი დაგვიანებით ეგზავნებათ, რიგ შემთხვევაში ეს პასუხები ფორმალურ ხასიათს ატარებს, ზოგჯერ კი განხილვის შედეგები არ ეცნობებათ წერილების ავტორებს. არის შემთხვევები, როდესაც საჩივრები და განცხადებები ეგზავნებათ განსახილველად იმ პირებს, რომლებსაც უჩივიან წერილების ავტორები. ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული მუშაობა შემოსული წერილების შინაარსის და საჩივრების გამომწვევი მიზეზების ღრმად შესწავლისა და გაანალიზებისათვის.

შეიმჩნევა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების რიცხვის ზრდა. თუ 1963 წელს განათლების სამინისტროში მიღებული

იყო 7889 წერილი, საჩივარი და განცხადება, 1964 წელს რაოდენობა გაიზარდა 11 670 მდე. 1964 წლის იანვარ-აპრილის განმავლობაში მიღებული იყო 1965 წერილი, საჩივარი და განცხადება მაშინ, როდესაც მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის განმავლობაში შემოსულია 2218.

წერილები, საჩივრები და განცხადებები 1964 წელში და მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში მიღებულია: კადრების განყოფილებაში 1889 და 612; სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოში—1455 და 266; სკოლების სამმართველოში—1355 და 294; საგემო-საფინანსო სამმართველოში—1362 და 609 და ა. შ.

არ არის სათანადოდ მოკვარებული სამინისტროში მიღებული მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების რეგისტრაცია. როგორც საერთო კანცელარიაში, ასევე განყოფილებებსა და სამმართველოებში არ ხდება საჩივრებისა და განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება დაწესებული ფორმის მიხედვით. საჩივრებისა და განცხადებების რეგისტრაცია წარმოებს სხვა კორესპონდენციასთან ერთად.

ხშირად საჩივრებისა და განცხადებების ჩამოწრა განყოფილებებსა და სამმართველოებში ხდება შემოწმებლების მიერ შედგენილი ცნობებისა და განყოფილება-სამმართველოების უფროსების ან მათი მოადგილეების რეზოლუციის გარეშე. განყოფილებებისა და სამმართველოების უფროსები არ ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს საჩივრების განხილვის მიმდინარეობასა და მათ საბოლოოდ გადაწყვეტაზე.

როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე რაიონებისა და ქაქალაქების განათლების განყოფილებებში ირდევია მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისათვის დადგენილი ვადები. ზოგჯერ დაგვიანებით იგზავნება პასუხი ისეთი ხასიათის განცხადებებსა და წერილებზე, რომლებიც შემოწმებას არ მოითხოვენ.

განცხადებებისა და საჩივრების რიცხვის ზრდა იმის შედეგიც არის, რომ სკოლებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეს, არ იჩენენ სათანადო გულისხმიერებას მშრომელებისადმი, დროულად არ ლებულობენ საჭირო ზომებს იმ საკითხების აღვილზე მოსაგვარებლად, რომლებიც მათ კომპენტენციას შეადგენს (ბოლნისის, წალკის, ახალციხის, მარ-

ნეულის, გარდაბნის, ზესტაფონის, სამტრედიის რაიონები; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), რის შედეგად ბევრი მასწავლებელი იძულებულია საჩივრით მიმართოს ზემდგომ ორგანოებს ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, რომელთა გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს სკოლების ხელმძღვანელებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ.

ასე მაგალითად, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტის თვეში გადაგზავნა მარნეულის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ვეიდაროვი) სამინისტროში მიღებული საჩივარი კიზილ-აჯალოს რვაწლიან სკოლაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის შესახებ სათანადო ზომების მისაღებად, მაგრამ ეს საკითხი განათლების განყოფილებას დღემდე არ განუხილავს და არ გაუტარებია საჭირო ღონისძიებანი.

ასევე, მიმდინარე წლის იანვარში დაევალა გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე გ. რაზმაძე) მიეღო ზომები რუსბოლოს რვაწლიან სკოლაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. განყოფილებამ ამ საკითხზე სამინისტროს პასუხი აცნობა ორი თვის დაგვიანებით, ხოლო სკოლაში კვლავ არ არის დამყარებული საჭირო წესრიგი.

ზემდგომმა ორგანოებმა ა/წლის 25 მაისს განიხილეს საკითხი მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ და მიიღეს სათანადო დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებმა:

ა) პირადად განიხილონ თითოეული განცხადება, საჩივარი, ღრმად ჩაწვდნენ მათ შინაარსს და უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ საჭირო გადაწყვეტილებათა მიღება-გატარება და განმცხადებლისათვის ამომწურავი პასუხის მიცემა;

აღკვეთონ იმ დაწესებულებებისა და პირებისათვის განცხადება-საჩივრების განსახილველად გადაგზავნა, ვიზედაც საჩივარია აღძრული;

ბ) სრული წესრიგი დაამყარონ მშრომელთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების რეგისტრაციის წარმოებისა და განხილვის საქმეში. ზუსტად დაიცვან მთავრობის მიერ დადგენილი

ვადები წერილების განხილვისა და შესრულების შესახებ. სისტემატურად გააანალიზონ შემოსული წერილებისა და განცხადებების მიზეზები და დროულად მიიღონ ზომები საჩივრების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

გ) დაავალდებულონ სასკოლო ინსპექტორები ადგილებზე მივლინებების დროს შეამოწმონ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა სკოლებსა და განათლების ადგილობრივ ორგანოებში;

უზრუნველყონ მთხოვნელთა მიღების ორგანიზაცია სამმართველოებსა და განყოფილებებში, როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროში.

2. ადმინისტრაციულ სამეურნეო განყოფილებამ ერთი თვის ვადაში გადასინჯოს მშრომელთა განცხადება-საჩივრების აღრიცხვისა და ნოძრახობის სარეგისტრაციო დავთრები და მოახდინოს მათი შეცვლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ქმედითი ზომები მშრომელთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მეტი ყურადღება გამოიჩინონ მშრომელთა საჩივრებისადმი. გულდასმით და საფუძვლიანად განიხილონ თითოეული საჩივარი და განცხადება. უზრუნველყონ ადგილზე მათი სწორად გადაწყვეტა და საკითხების იქვე მოგვარება;

ბ) სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, სათანადო პროფორგანიზაციებთან ერთად, პერიოდულად განიხილონ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსების, განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა ყურადღებას მივაქცევ იმაზე, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი მოითხოვს დამყარებული იქნას სრული წესრიგი მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვისა და მომსვლელთა მიღების საქმეში; მიღებული იქნას მკაცრი ზომები იმ პირობა მიმართ, რომლებიც დაუშვებენ გაჭიანურებასა და ბიუ-

როკრატიზმს, ამასთან არ იქნას დატოვებული სათანადო რეაგირების გარეშე მშრომელთა წერილებისა და საჩივრებისადმი ფორმალური, უსულგულო დამოკიდებულების არცერთი ფაქტი.

საქართველოს
მინისტროს

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალები განათლების ორგანოებსა და სკოლებში მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობასა და მთხოვნელთა მიღების საკითხებზე.

6. მიმდინარე წლის 15 ივლისამდე შემოწმებული იქნას მშრომელთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა ორ ქალაქსა და ოთხ რაიონში და შედეგები განხილული იქნას სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.

7. მინისტრის თანაშემწემ აშ. ვ. კეშელავამ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 22 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ცირკულარული წერილი

20 ივლისი, 1965 წელი

ჩეხოსლოვაკიის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს

მითითებებში საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში (1965 წ. № 3) გაპარულია შეცდომა. IX—X—XI კლასებში სწავლებაში სამ წელზე მეტი წყვეტის მქონე პირები სკოლაში შესვლისას, ნაცვლად ორი საგნისა, როგორც მითითებებშია მოცემული (იხ. აღნიშნული „კრებულის“ მე-13 პუნქტი), აბარებენ გამოცდას სამ საგანში— მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი).

გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს განმარტება თქვენს მუშაობაში.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

**საქართველო სსრ განათლების სამინისტროს კოლე-
გიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეც-
ნიკო დაწესებულებების მუშაკთა კროჟაკაჟიის
საქართველო რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუ-
მის 1965 წლის 22 ივნისის დადგენილება**

**სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების
საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ**

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და შეფი ორგა-
ნიზაციების უშუალო მონაწილეობით ჩატარებულმა სკოლების, სკო-
ლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებ-
რივმა დათვალიერებამ ხელი შეუწყო მათთვის საჭირო სათავსოე-
ბის გამოყოფა-გაფართოებას, დგამ-ავეჯითა და ხელსაწყო-იარაღე-
ბით შევსება-კეთილმოწყობას.

დათვალიერების პროცესში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატა-
რებული კაბინეტების მოწყობა-შევსებისათვის, შეძენილ იქნა ახალი
კონსტრუქციის ხელსაწყო-იარაღები, ბევრ სკოლაში მოეწყო ფიზი-
კა-ქიმიის ლაბორატორიები, დაინერგა არსებული ხელსაწყოების
გამოყენებისა და მოვლის ჩვევები, ყურადღება გამახვილდა თვით-
ნაკეთი ხელსაწყო-იარაღების, მოკმედი მოდელების დამზადება-მო-
ხმარების საკითხებზე.

ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯო-
ბესდა სკოლების მომარაგება სასწავლო-თვალსაჩინო მასალებით და
განმტკიცდა მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა. რესპუბლიკის
1144 საშუალო სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 1075 და ქიმიის
863 საშუალო სკოლას. ამ მხრივ გამოირჩევიან აჭარის ასსრ, ქ. ქ.
თბილისის, ქუთაისის, ფოთის, აბაშის, ამბროლაურის, გეგეჭკორის,
გორის, დუშეთის, ზუგდიდის, მახარაძის, მცხეთის, ორჯონიკიძის,
სამტრედიის, ჩოხატაურის რაიონები, სადაც თითქმის ყველა სა-
შუალო და რვაწლიანი სკოლების უმრავლესობას გააჩნია ფიზიკისა
და ქიმიის კაბინეტები.

კაბინეტების დათვალიერების პროცესში აჭარის ასს
რესპუბლიკაში ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებითა და

შეფი ორგანიზაციების დახმარებით ფიზიკის კაბინეტი შეიქმნა ქ. ბათუმის 5, ქობულეთის რაიონის 6 და ბათუმის რაიონის 2 სკოლაში; ქიმიის კაბინეტი მოეწყო ქ. ბათუმის 6, ქობულეთის რაიონის 7, ქედის რაიონის 5 და ბათუმის რაიონის 4 სკოლაში. კარგად მოეწყო ქ. ბათუმის მე-3, ქედის რაიონის მახუნცეთის, ხულოსა და ბათუმის რაიონის კირნათის სკოლა ინტერნატების ქიმიის კაბინეტები. ამ საქმეში სკოლებს კარგი დახმარება გაუწიეს ქ. ბათუმის გემთმშენებელმა, ნავთობგადამამუშავებელმა ქარხნებმა და პედაგოგიურმა ინსტიტუტმა. ქობულეთის რაიონის სოფ. სოფ. გვარას, გორგაძეების, ქაქუთის, სახალვაშოსა და ჩაისუბნის მშრომელებმა მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან საქესპლოატციოდ გადასცეს სკოლებს კარგად მოწყობილი შენობები ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებით; გორის რაიონის 4 საშუალო და რვაწლიან სკოლას გამოეყო სათავსოები, სადაც ფიზიკის 5 და ქიმიის 4 კაბინეტი მოეწყო. მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის და გომის საშუალო სკოლებს კოლმეურნეობებმა ცალკე შენობები აუგეს ქიმიის კაბინეტებისათვის.

რესპუბლიკის (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის გარეშე) სკოლების კაბინეტებისა და სახელოსნოების შევსებაზე 1964 წელს ცენტრალიზებული წესით გამოიყო 892. 900 მანეთი, აქედან ათვისებულია 887, 168 მანეთი.

რაიონების, ქალაქების განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელები სისტემატურად ზრუნავენ ცენტრალიზებული თანხების მიზნობრივად ათვისებაზე. აქარის ასს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი დათვალიერების პროცესში სკოლების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის შეძენილი იქნა 56 830 მანეთის ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები. ასევე, ქ. თბილისის სკოლების კაბინეტებსა და ლაბორატორიებს მიმდინარე სასწავლო წელს შეემატა 85 000 მანეთის ხელსაწყო-იარაღები და მასალები. ქ. ქუთაისის სკოლებში შეფი ორგანიზაციების დახმარებით სასწავლო კაბინეტები შეივსო 17 000 მანეთის ღირებულების ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით. ვანის რაიონის სკოლები—12 000 და ქ. ტყიბულის სკოლები—9 437 მანეთის ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით. მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ფიზიკის კაბინეტის მოწყობის საქმეში სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხანის საშუალო სკოლას ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ფიზიკის ფაკულტეტმა, რომელმაც გადასცა მას დიდი რაოდენობით ხელსაწყო-იარაღები და მასალები.

საზოგადოებრივი დათვალეირების პროცესში ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა ენერგიული მუშაობითა და უმუშალო მონაწილეობით კაბინეტები შეივსო ადგილებზე დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღებითა და მოქმედი მოდელებით. აგრეთვე იმ სკოლებში, სადაც რამდენიმე ეგზემპლარი ერთნაირი ხელსაწყო იყო დაგროვილი და მათთვის არ იყო საჭირო, იგი გადანაწილებულ იქნა სხვა სკოლებზე, რომელთაც ასეთი არ ჰქონდათ. აჭარის ასს რესპუბლიკაში დამზადებული იქნა 4 500 მდე თვითნაკეთი მოდელი, 6 ათასზე მეტი თვითნაკეთი ხელსაწყო, ნახაზი და სქემა. თითქმის ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ამ მხრივ ქ. თბილისის, სამტრედიის, ბოლნისის, მახარაძის, ჩხოროწყუს, ცაგერის, თელავისა და სხვა რაიონების სკოლებში.

დათვალეირების პერიოდში კარგად იმუშავეს ქ. ბათუმის მე-3, ქობულეთის 1-ლი, ხულოს, კირნათის, მახუნცეთის სკოლა-ინტერნატებმა, ქ. თბილისის მე-4, მე-7, 70-ე, 77-ე, 88-ე, ზესტაფონის 1-ლი, მე-2, ქ. ტყიბულის მე-2, ქ. აბაშის 1-ლი, მე-2, აბაშის რაიონის ონტოფოს, ცხაკაიას 1-ლი, მე-2, ცხაკაიას სკოლა-ინტერნატმა, წყალტუბოს რაიონის საყულის, ოფურჩხეთის, წყალტუბოს ქართული, ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის, კონხარის სკოლა-ინტერნატმა, ქარელის მე-2, ორჯონიკიძის 1-ლი, მე-2, ორჯონიკიძის, სამტრედიის მე-2, იანეთის საშუალო სკოლებმა და სხვ.

მიუხედავად ამისა, სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალეირების პროცესში გამოვლინებულ იქნა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

რივ სკოლებში (ვანსაკუთრებით რვაწლიან სკოლებში) ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო ბაზა, არ არის გამოყოფილი ოთახები ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის, ზოგან ეს ოთახები შეუფერებელია ამ საგნების სწავლებისათვის. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის 144 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 31 და ქიმიის კაბინეტი 11 სკოლას; გეგეჭკორის რაიონის 19 საშუალო და 28 რვაწლიანი სკოლიდან ქიმიის კაბინეტი აქვს მხოლოდ 5 საშუალო სკოლას; საგარეჯოს რაიონის 17 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს ერთ სკოლას, ორჯონიკიძის რაიონის 16 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 3 და ქიმიისა 3 სკოლას, ხაშურის რაიონის 19 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის

კაბინეტი აქვს 7 და ქიმიის კაბინეტი 2 სკოლას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 70 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 22, ქიმიის კაბინეტი კი 11 სკოლას; სიღნაღის რაიონის წმინდის რუსულ, საქობოს, ძველი ანავის საშუალო, ზემო ბოდბის, ნუკრიანის, კალოების, ხირსისა და მაშნაარის რვაწლიან სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები მოთავსებულია მეტად პატარა ოთახში. სრულებით არ არსებობს ქიმიის კაბინეტი მესტიის რაიონის 15, ორჯონიკიძის რაიონის სალანძილისა და წიფის, გორის რაიონის დიდი ატენის რვაწლიან, ხიდისთავისა და მეჯვრისხევის საშუალო სკოლებში.

ხშირ შემთხვევაში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები მოთავსებულია ერთ ოთახში. ეს კი ხელს უწყობს მეტად ძვირფასი ხელსაწყოების დაზიანებას (დაქანგვას). ასე, მაგალითად, ახალციხის რაიონის ბოლაჯაურის, ვარხნის, წყალთბილის, სხვილისის, მოხის საშუალო, ღორთუბნის, თოკის, საროს, წახანის, თერჯოლის რაიონის სიქთაურის, გოდოვნის, ქვედა სიმონეთის, ცაგერის რაიონის ნასპერის, ზუბის, საირმის, ჩქუმის, ორხევის, ისუნდრის და მახაშის რვაწლიან სკოლებში სათანადო ფართობის უქონლობის გამო კაბინეტები ერთ ოთახშია მოთავსებული, სადაც ხელსაწყო-იარაღები მოუვლელია.

ზოგ სკოლაში ფიზიკის და ქიმიის კაბინეტებისათვის გამოყოფილია საკმარისი ფართობი, მაგრამ იგი კეთილმოუწყობელია, არ არის მაგიდები ლაბორატორიულ-პრაქტიკული მუშაობისათვის, კარადები ხელსაწყოებისათვის, დაბნელება; ელექტროგაყვანილობა და ამწოვი კარადა. აგრეთვე დათვალიერების პერიოდში გამოვლინებულ იქნა, რომ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები აღჭურვილია ძველი და უხარისხო დგამ-ავეჯით, შევსებული არაა საკმარისი რაოდენობის ხელსაწყო-იარაღებით, კაბინეტებთან შექმნილი არაა მცირე სახელოსნო ხელსაწყოების რეგულირებისა და შეკეთებისათვის. ახალციხის, გარდაბნის, ცაგერისა და დუშეთის რაიონების არცერთ საშუალო სკოლაში მოწყობილი არაა ამწოვი კარადა, ხაშურის რაიონის 13 საშუალო სკოლიდან მხოლოდ ორ სკოლაშია მოწყობილი ამწოვი კარადა. აგრეთვე გორის რაიონის ძევერის (დირექტორი ლ. მერაბიშვილი) და ქარელის რაიონის რუისის (დირექტორი გ. კავლელიშვილი) საშუალო სკოლებში ქიმიის ხელსაწყო-იარაღები ინახება კლას-კაბინეტებში, რომელთა მოვლა-პატრონობისა და სწავლებაში გამოყენების საქმე შემთხვევით ხასიათს ატა-

რებს. საჩხერის რაიონის კორბოულის მე-2, მერჯევის საშუალო მახათურისა და ჯალაღრთის რვაწლიან სკოლებში არ აქვთ კაბინეტისათვის საჭირო ინვენტარი (კარადები, მაგიდები, ტაბურეტები და სხვ.). ამ სკოლებში ხელსაწყო-იარაღები და რექტივები საკლასო ოთახებში მოწყობილ ღია თაროებზე ინახება, მოუწესრიგებელია ინვენტარის მოვლის, გამოყენებისა და აღრიცხვის საქმე.

ხშირად ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები გადატვირთულია ერთი და იგივე სახელწოდების ხელსაწყოებით, მაშინ, როდესაც აუცილებელი ფრონტალური ლაბორატორიული და პრაქტიკუმების ჩატარებისათვის საჭირო მოწყობილობა კაბინეტს არა აქვს. ასე, მაგალითად, ქარელის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტისათვის შეძენილი აქვთ ელექტროფორული მანქანა 6 ცალი, გაზების დიფუზიის სადემონსტრაციო ხელსაწყო—10 ცალი, ბარომეტრი—ანეროიდი—10 ცალი, რენტგენის მილი—4, ნიუტონის მილი—4, მაგნიტურ ველში მბრუნავი ხვიას მოდელი 10 და მრავალი სხვა.

ზოგიერთ სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა გაკვეთილების ცხრილის შედგენის საქმეს, რის შედეგად ასეთ სკოლებში მაქსიმალურად არ არის გამოყენებული ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები. მაგალითად, ქარელის მეორე საშუალო სკოლის VI—XI კლასებში ფიზიკის 40 გაკვეთილი ცხრილში შეტანილია ისე, რომ ადგილი აქვს გაკვეთილების ორჯერ და სამჯერ დამთხვევის 10 შემთხვევას, მაშინ როდესაც კაბინეტი თავისუფალია კვირაში 6 გაკვეთილის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების დათვალიერების პროცესში ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და სკოლის ხელმძღვანელობამ არ მიიღო აქტიური მონაწილეობა, არ უზრუნველყო ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებაში ფართო მასების მონაწილეობა, რითაც ზიანი მიიყენეს სკოლებში კაბინეტების კეთილმოწყობისა და მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. დათვალიერების პერიოდში სუსტად იმუშავეს ქ. ტყიბულის მე-5 (დირექტორი ქ. ბრეგვაძე, დამთვალიერებელი კომისიის თავმჯდომარე ნ. ბუბაშვილი) და მუხურის (დირექტორი რ. გაბრიჭიძე, დამთვალიერებელი კომისიის თავ-რე ვ. გაბრიჭიძე) საშუალო სკოლებმა. მე-5 საშუალო სკოლის დირექციამ დათვალიერების პერიოდში ფიზიკის კაბინეტისათვის შესავსებად გამოყოფილი 300 მანეთიდან აითვისა 100 მანეთი, მუხურის საშუალო სკოლამ კი აუთვისებლად დატოვა გამოყოფილი თანხა. მიუხედავად შესხენებისა, ბოგდანოვ-

კის, გურჯაანის, დმანისის, ქარელის, კასპის, ყვარლის, მიაკოვსკისა და წალკის რაიონებმა არ წარმოადგინეს ნაკრები ანგარიშები დათვალ იერვლის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

ამბროლაურის, ვანის, გეგეჭკორის, მესტიის, თიანეთისა და სხვა რაიონების სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალ იერების კომისიები აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მალაზია და მისი ფილიალები ჯერ კიდევ ვერ აწარმოებენ სკოლების რეგულარულ მომარაგებას, უმრავლეს შემთხვევაში სკოლებს მიცემული ცენტრალიზებული თანხების ათვისება უხდებოდათ საბიუჯეტო წლის ბოლოს, როდესაც საშუალება არ აქვთ შეიძინონ მათთვის აუცილებელი ხელსაწყოები.

რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალ იერების შედეგად გამკლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ :

1. ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებმა:

ა) სრულ წესრიგში იქონიონ კაბინეტები, იზრუნონ მათი გვემიანად შევსებისათვის, ზუსტად დაიცვან კაბინეტის მოვლისა და ხელსაწყო-იარაღების შენახვის წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადების საქმეს, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ როგორც სკოლის სასწავლო სახელოსნოები, ასევე ფიზიკა-ტექნიკის წრეების მუშაობა;

ბ) პროგრამული მასალის შესწავლასთან დაკავშირებით აწარმოონ საწარმოო პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნა ვაკვეთილებზე, მეტი ადგილი დაუთმონ გამოყენებითი და ექსპერიმენტული ტიპის ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს.

2. საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორებმა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის ოთახების გამოყოფისათვის, უზრუნველყონ ეს კაბინეტები აუცილებელი დგამ ავეჯით, მოაწყონ ელექტროგაყვანილობა და დაბნელება, სისტემატურად აწარმოონ კაბინეტების საჭირო ხელსაწყოებით, მოდელებით, სასწავლო პლაკატებით, საქმეებით და სხვა მასალებით შევსება;

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

ბ) ლაბორანტის თანამდებობაზე შეარჩიონ შესაფერისი მუშაკები და უზრუნველყონ მათი ნორმალური დატვირთვა კაბინეტების მოვლა-დაცვის და გამოყენების საქმეში;

გ) სისტემატურად შეამოწმონ ფიზიკისა და ქიმიის სწავლების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირებენ მასწავლებლები სწავლებას პრაქტიკულ საქმიანობას, რამდენად იყენებენ ხელსაწყო-იარაღებს სწავლებაში, ტარდება თუ არა პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, პრაქტიკუმები და ფრონტალური ხასიათის ლაბორატორიული სამუშაოები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების მოწყობის, შევსებისა და სასწავლო მუშაობაში მათი სისტემატურად გამოყენების საქმეს;

ბ) განიხილონ აღნიშნული დადგენილება კოლევგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ფიზიკის, ქიმიის სწავლებისა და კაბინეტების მუშაობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

გ) ბოგდანოვკის, გურჯაანის, დმანისის, ქარელის, კასპის, ყვარლის, მიაიკოვსკისა და წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა 1965 წლის 20 ივლისამდე წარმოადგინონ მასალები ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივ დათვალიერების შედეგებზე.

4. განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მალაზიამ და მისმა ფილიალებმა შემოზიდონ რესპუბლიკაში ყველა საჭირო სახის ხელსაწყო-იარაღები; აღკვეთონ სკოლებში ერთგვარი ხელსაწყოების ზედმეტი რაოდენობით მომარაგების პრაქტიკა, ძირითადად უზრუნველყონ სკოლები პრაქტიკუმებისა და ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებით.

5. სკოლების, სკოლა-ინტერნატების ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტების სანიმუშოდ მოწყობისათვის, საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა

და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით
დაჯილდოვდნენ:



ქ. ბათუმიდან

1. ხოსიძემანი რაისა დავითის ასული—მე-3 საშ. სკოლის დირექტორი;

2. ეიდენლანდი ევგენია არონის ასული—მე-3 საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

ქობულეთის რაიონი

1. გოგიბერიძე სემათ ხუსეინის ასული—ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლის დირექტორი;

2. სამსონია პაშა ისაკის ასული—ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

ქ. თბილისიდან

1. ჩირვაძე პოლიკარბე დავითის ძე—თბილისის მე-4 საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

2. ჯაფარიძე ნიკოლოზ რომანის ძე—23-ე საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

3. თავბერიძე დიმიტრი ნიზერბერგის ძე—23-ე საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

4. არაქელაშვილი ნინო ივანეს ასული—თბილისის 70-ე საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

5. რუხაძე ლიანა ვლადიმერის ასული—თბილისის 71-ე საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი;

6. კობახიძე გრიგოლ ბეგლარის ძე—თბილისის 77-ე საშ. სკოლის დირექტორი.

7. მესხი დავით გიორგის ძე—თბილისის 77-ე საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

8. გიორვაძე ივანე იოსების ძე—თბილისის 88-ე საშ. სკოლის დირექტორი.

ზესტაფონის რაიონი

1. ხარაბაძე ოლღა ვარლამის ასული—ქ. ზესტაფონის 1-ლი საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

2. მერაბიშვილი გიორგი თომას ძე —ქ. ზესტაფონის მე-2 საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.



ქ. ტყიბული

1. ბოჭორიშვილი ამბროსი ლუარსაბის ძე—ტყიბულის მე-2 საშ. სკოლის დირექტორი.

აბაშის რაიონი

1. ფირცხალავა არდალიონ სამსონის ძე—აბაშის 1-ლი საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

2. გვაზავა ბორის ერმილეს ძე—აბაშის 1-ლი საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

3. ჯოჯუა ციალა პარმენის ასული—აბაშის მე-2 საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

ცხაკაიას რაიონი

1. ხოჭოლავა ზურაბ გიორგის ძე—ცხაკაიას 1-ლი საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

2. ჯანჯღავა გიორგი მიხეილის ძე—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის ქიმიის მასწავლებელი.

წყალტუბოს რაიონი

1. ძოწენიძე მიხეილ პარმენის ძე—ოფუტრჩხეთის საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

2. ლოსაბერიძე ელენე ერასტის ასული—ოფუტრჩხეთის საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

ჩოხატაურის რაიონი

1. ცხოიძე იური პარმენის ძე—კოხნარის სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

2. კალანდაძე რობერტ სიმონის ძე—კოხნარის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი.

ორჯონიკიძის რაიონი

1. შერგელაშვილი თენგიზ ვლადიმერის ძე—ორჯონიკიძის 1-ლი საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

2. ლომსაძე ქეთევან ალექსანდრეს ასული—ორჯონიკიძის მე-2
საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.



სამტრედიის რაიონი

1. დიმიტრიევა მარგარიტა ალექსანდრეს ასული—სამტრე-
დიის მე-2 საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

2. ჭავჭავანიძე ლილი შალვას ასული—სამტრედიის მე-2 საშ.
სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკო-
ლისა და სამეცნიერო დაწესე-
ბულებების მუშაკთა პროფკავში-
რის რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე ლ. მაღლაფერიძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 29 ივნისის ბრძანება № 693

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სოფლის სკოლებისა და განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ

შემოწმებით ირკვევა, რომ რესპუბლიკის სოფლის სკოლები და განათლების ორგანოები აქტიურ მონაწილეობას დებულობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ისინი დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

აჭარის ასსრ-ის, ზუგდიდის, მახარაძის, გეგეჭკორის, წყალტუბოს, გორის, წითელწყაროს, თელავის რაიონების სკოლების მასწავლებლობა ფართოდ განუმარტავენ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და რაზმად მინდვრის მშრომლებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროვადებში და მალალხარისხოვნად შესრულებისათვის; სოფლის მშრომლებისათვის აწყობენ საუბრებს, მოხსენებებს, ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობით და კულტურულ მუშაობას ატარებენ მახარაძის რაიონის მასწავლებლები. ისინი მშრომლებისათვის აწყობენ რადიოგადაცემებს, უშვებენ ზეპირ ჟურნალებს. კოლმეურნეობებში საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ პოლიტიკური განათლების კაბინეტების მუშაობას.

ნაყოფიერად მუშაობენ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები და რგოლები. ასე, მაგალითად, აჭარის ასსრ-ში შექმნილია და მუშაობს 200 ბრიგადა, 494 რგოლი; ზუგდიდის რაიონში 120 ბრიგა-

და, 679 რგოლი; წყალტუბოს რაიონში 70 ბრივადა, 769 რგოლი; ვევექორის რაიონში 84 ბრივადა, 237 რგოლი; გორის რაიონში 66 ბრივადა, 318 რგოლი; წითელწყაროს რაიონში 27 ბრივადა, 182 რგოლი. აღნიშნული ბრივადები და რგოლები ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის, ციტრუსების უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ზრდის საქმეში.

მიუხედავად ამისა, სოფლის სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე ამ მიმართულებით დასახულ ამოცანათა განხორციელებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ჯერ კიდევ ნაკლებად არიან ჩაბმულნი რიგი სოფლის სკოლების მასწავლებელთა კოლექტივები და განათლების ორგანოები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ მუშაობა არაღამაკმაყოფილებელია ბოლნისის, გარდაბნის, ახალქალაქის, ყვარლის, ბორჯომის, საჩხერის, მცხეთის, დუშეთისა და სხვა რაიონებში.

საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სოფლის სკოლებისა და განათლების ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ სოფლის სკოლების მასწავლებელთა კოლექტივების მონაწილეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში; განამტკიცონ კავშირი და თანამეგობრობა სოფლის სკოლებსა და სოფლის მშრომელთა კოლექტივებს შორის;

ბ) სკოლებისა და მასწავლებლების მეშვეობით ფართოდ გახუმარტონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებსა და მოსამსახურეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დარაზმონ და წარმართონ სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გაზრდისათვის;

გ) გასწიონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების

საპასუხოდ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა სურვილი გამოთქვეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ წასვლაზე, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში;

დ) ორგანიზებულად მიაწყონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები და უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში;

ე) გააუმჯობესონ მოსწავლეთა საცდელი მუშაობა სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთსა და საკოლმეურნეო მიწებზე. აქტიურად ჩააბან ამ საქმეში ნორჩ ნატურალისტთა სადგურები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები;

ვ) სათანადო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის ფართოდ განზოგადება-გამოყენებაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის;

ზ) შეიმუშაონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად; სერიოზული ყურადღება მიაქციონ შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების შემდგომი განვითარების საქმეს.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის I ივლისის ბრძანება № 731

ქ. თბილისის ბ. ძნელადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა
სასახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

განიხილა რა ქ. თბილისის ბ. ძნელადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობის შემოწმების შედეგები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სასახლის ხელმძღვანელობა (დირექტორი ამხ. ჯ. კვარაცხელია) და პედაგოგიური კოლექტივი სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობის მრავალმხრივი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ძირითადად უნარიანად წარმართავენ პიონერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდა-განათლების საქმეს. სასახლის, მისი განყოფილებებისა და კაბინეტების სამუშაო გეგმები და სასწავლო პროგრამები ამ ამოცანების განხორციელებას ემსახურებიან.

სასახლეში მუშაობს მრავალი მალაკვალიფიციური, უნარიანი პედაგოგი. (ი. მიქელაძე, მ. აბრამიშვილი, ქ. გიორგაძე, ვ. ქარსელაძე, ნ. ჩხეიძე, ვ. სულაქველიძე, თ. ჯიქიძე, კ. ბურჯანაძე, დ. ჯალაღანია, ლ. პაიჭაძე, ე. კობიაშვილი, თ. წიგნაძე, ნ. ქავჭარაძე, ნ. ფაილოძე, ბ. ჟუიკოვი, თ. გოგიშვილი, ნ. კაკაბაძე, გ. კრაწაშვილი, ნ. შუმიაცკაია, რ. ქოხონელიძე, შ. კაპანაძე, გ. ვარუჩავა, ე. ლლონტი, ბ. ვალკინი, ა. კივილაძე, რ. ირემაშვილი, ე. ლოლუა, ქ. ბაკურაძე და სხვანი).

1964 წლის 1 სექტემბრიდან სასახლის სხვადასხვა განყოფილებების მიერ ჩატარებულია 698 ღონისძიება. მათ შორის სასახლეში 511, ხოლო სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში — 187. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 142 311 მოსწავლემ; ჩატარებულია 196 ექსკურსია, მონაწილეობდა 3 204 მოსწავლე.

საპასუხოდ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა სურვილი გამოთქვეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ წასვლაზე, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში;

დ) ორგანიზებულად მოაწყონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები და უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში;

ე) გააუმჯობესონ მოსწავლეთა საცდელი მუშაობა სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთსა და საკოლმეურნეო მიწებზე. აქტიურად ჩააბან ამ საქმეში ნორჩ ნატურალისტთა სადგურები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები;

ვ) სათანადო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პროექტების ფართოდ განზოგადება-გამოყენებაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის;

ზ) შეიმუშაონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად; სერიოზული ყურადღება მიაქციონ შრომითი და პოლიტიკური სწავლების შემდგომი განვითარების საქმეს.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965-
წლის I ივლისის ბრძანება № 731

ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა
სასახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

განიხილა რა ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობის შემოწმების შედეგები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სასახლის ხელმძღვანელობა (დირექტორი ამხ. ჯ. კვარაცხელია) და პედაგოგიური კოლექტივი სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობის მრავალმხრივი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ძირითადად უნარიანად წარმართავენ პიონერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდა-განათლების საქმეს. სასახლის, მისი განყოფილებებისა და კაბინეტების სამუშაო გეგმები და სასწავლო პროგრამები ამ ამოცანების განხორციელებას ემსახურებიან.

სასახლეში მუშაობს მრავალი მაღალკვალიფიციური, უნარიანი პედაგოგი. (ი. მიქელაძე, მ. აბრამიშვილი, ქ. გიორგაძე, ვ. ქარსელაძე, ნ. ჩხეიძე, ვ. სულაქველიძე, თ. ჯიქიძე, ქ. ბურჯანაძე, დ. ჯალალანია, ლ. პაიჭაძე, ე. კობიაშვილი, თ. წიგნაძე, ნ. ქავჭავაძე, ნ. ფაილოძე, ბ. ყუიკოვი, თ. გოგიშვილი, ნ. კაკაბაძე, გ. კრაწაშვილი, ნ. შუშიაცკაია, რ. ჭოხონელიძე, შ. კაპანაძე, გ. გარუჩავა, ე. ღლონტი, ბ. ვალკინი, ა. კვიციანი, რ. ირემიშვილი, ე. ლოლუა, ქ. ბაკურაძე და სხვანი).

1964 წლის 1 სექტემბრიდან სასახლის სხვადასხვა განყოფილებების მიერ ჩატარებულია 698 ღონისძიება. მათ შორის სასახლეში 511, ხოლო სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში — 187. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 142 311 მოსწავლემ; ჩატარებულია 196 ექსკურსია, მონაწილეობდა 3 204 მოსწავლე.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებებისა, ტრადიციულად ატარებს რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებსაც, როგორცაა: მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსები, ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური შეკრებები და სხვა.

შინაარსიანი მუშაობა ტარდება პიონერული და მეთოდური მუშაობის (გამგე ნ. ფაილოძე), მასობრივი მუშაობის (გამგე ე. კობიაშვილი), ტექნიკის (გამგე ნ. ჯორბენაძე), მხარეთმცოდნეობისა და ნატურალისტური მუშაობის (გამგე ა. კვიციანი), მხატვრული აღზრდის (გამგე ვ. სულაქველიძე), მუსიკალური (გამგე ირ. ჯობაძე), ფიზკულტურის (გამგე ჯ. ბაჩიაშვილი) განყოფილებებში და წიგნზე მუშაობის სექტორში (გამგე ლ. პაიჭაძე). ამ განყოფილებების კაბინეტები, ლაბორატორიები და წრეები, პიონერული და თოჯინების თეატრები, სიმფონიური და საესტრადო ორკესტრები აერთიანებენ 6 220 მოსწავლეს, მათ შორის პიონერია 4 336 და კომკავშირელი—1 784.

ამასთან ერთად, სასახლის მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

პიონერული და მეთოდური მუშაობის განყოფილება ნაკლებ მეთოდურ დახმარებას უწევს სასახლის სხვა განყოფილებების მეთოდისტებს, არ ატარებს აგრეთვე მათთვის სისტემატურ საკონსულტაციო მუშაობას პიონერული ორგანიზაციის აქტუალურ საკითხებზე.

მასობრივი მუშაობის განყოფილებაში გონივრული გართობის კაბინეტთან შექმნილი სათამაშოების ფაბრიკა მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია, მასში მცირე რაოდენობითაა სახარატო ჩარხები, ხისდამამუშავებელი დაზგები და სხვა იარაღი.

გონივრული გართობის კაბინეტს არა აქვს მოძრავი „იგროთეკა“—ზამთრის პერიოდში სკოლების, პიონერთა სახლების დასახმარებლად, ხოლო ზაფხულობით—პიონერთა ბანაკებში ღონისძიებების ჩასატარებლად.

მასობრივი მუშაობის კაბინეტს არა აქვს მჭიდრო კავშირი დამყარებული მილიციასთან არსებულ ბავშვთა ოთახებთან და სახლმმართველობებთან.

მხატვრული აღზრდის განყოფილების ზოგიერთი წრე არ არის დაკომპლექტებული მოსწავლეთა ასაკისა და სურვილების

გათვალისწინებით. ასე მაგალითად, ქორეოგრაფიული და მხატვრული კითხვის წრეებში არის სკოლამდელი ასაკის ბავშვების მიღების შემთხვევები.

ზოგიერთი წრე რიცხობრივად გადატვირთულია, მაგალითად, ქორეოგრაფიულ წრეებში ნაცვლად 20—25 მოსწავლისა, გაერთიანებულია 30—50-მდე მოსწავლე. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე მოსწავლე 2—3 წრეშია გაერთიანებული.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კინოსტუდია „პიონერთილმი“.

წრეების დაკომპლექტების დროს არ არის დაცული თანაზომიერება. 75 წრიდან 25 ქორეოგრაფიულია. განყოფილების საწრეო მუშაობის მთელი თანხიდან 45% ქორეოგრაფიულ წრეებზე იხარჯება.

მხატვრული კითხვისა და ქორეოგრაფიულ წრეებს, მეფანდურეთა და მეჩონგურეთა ანსამბლებს, ვოკალისტთა ჯგუფებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ სრულყოფილი პროგრამები. განყოფილებას უჭირს შესაფერი რეპერტუარის, საბავშვო სიმღერების, პიესების და ცეკვების შერჩევა.

ხატვისა და ქანდაკების კაბინეტები განიცდიან სამუშაო მასალის სიმცირეს. არა აქვთ სახატავი თაბაშირის ახალი ორნამენტები, ადამიანის სახის სხვადასხვა ნაწილები, გეომეტრიული სხეულები და სხვა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ტექნიკის განყოფილების ტრანსპორტის კაბინეტი. დღემდე მას არ ჰყავს ხელმძღვანელი. კაბინეტის სამუშაო პროგრამა არ პასუხობს ამოცანას. ნაკეთობები მარტივია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ელექტროფიციირებული რკინიგზისა და ავტომანქანა „ამფიბიას“ მოდელებს. ტექნიკის განყოფილებაში შეინიშნება წრეების სიმცირე. 12 კაბინეტის 35 პედაგოგს აქვთ მხოლოდ 72 წრე. განსაკუთრებით ცოტაა წრეები ტრანსპორტის, ფოტო და გემთსამოდელო კაბინეტებში.

რუსული ლიტერატურის კლუბის მასწავლებლები ლ. ტარიელაშვილი, ლ. მედვედევა და გ. კუკულაძე მოუშაადებელნი უცხადებიან და მეცადინეობას დაბალ დონეზე ატარებენ.

არასწორად არის დაკომპლექტებული წრეები მუსიკალური აღზრდის განყოფილებაშიც. სულ წრეებში ჩაბმულია 45 მოსწავლე.

მოუგვარებელია აგრეთვე მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბების საკითხი.

სასახლის დირექციას არ აქვს მოგვარებული მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების მოწმობების გაცემის საქმე. არ გააჩნიათ მოწმობების გაცემის აღრიცხვის ჟურნალი; გასულ წელს მოსწავლემ დაამთავრა მუსიკალური შვიდწლელი, აქედან 16 ბავშვმა მიიღო მოწმობები, ხოლო ადგილზე აღმოჩნდა 24 შეუვსებელი მოწმობა.

ფიზკულტურულ განყოფილებას არა აქვს შემუშავებული დებულება სპორტული სკოლისათვის, არ არის შექმნილი მასწავლებელ-მწვრთნელთა საბჭო, მშობელთა კომიტეტი; სპორტულ დარბაზში მრავალი სასპორტო იარაღი შეკეთებას მოითხოვს, ლეიბები კი მთლიანად გამოსულია წყობილებიდან. ზოგიერთი ჯგუფი დაკომპლექტებულია ისეთი მოსწავლეებით, რომელთა ასაკობრივი განსხვავება 4—6 წელს აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ სასახლის საფინანსო მეურნეობა ძირითადად წესრიგშია, მაინც აქვს ადგილი ზოგიერთ დარღვევებს. ასე, მაგალითად, მასწავლებელთა ტარიფიკაციის არაზუსტად ჩატარების შედეგად ზედმეტადაა გაცემული 34 მანეთი; საშემოსავლო გადასახადი არა აქვთ დაკავებული შეთავსებით მომუშავე პირებს (სულ 48 მან.); საკუჭნაოში აღწერის დროს გამოვლინდა მატერიალური ფასეულობის მეტობა 26 მანეთის რაოდენობით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბ. ძნელადის სახელობის ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშრობის შემმოწმებელი კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი გადაეგზავნოს სასახლეს განსახილველად.

სასახლის დირექციამ (ამხ. ამხ. ჯ. კვარაცხელია, შ. დევდარიანი, ჯ. ხაჯალია) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი განყოფილებებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მუშაობაზე და მოხსენებით ბარათში აღნიშნული ღონისძიებების გატარების შესახებ ანგარიში წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს ა/წ 31 დეკემბრამდე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძემ) და მხატვრული აღზრდის სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ჯ. მუჯირი) ახალი სასწავლო წლისათვის შეადგინონ სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების საწრეო მუშაობის

ერთიანი სრულყოფილი პროგრამები მხატვრული და მუსიკალური აღზრდის დარგში.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგვერდო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) დაწესოს მტკიცე კონტროლი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების დროულად და დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე და უზრუნველყოს განათლების სამინისტროს სარევიზიო აქტში მითითებული დარღვევების დროულად გამოსწორება სასახლის დირექციის მიერ;

ბ) გაითვალისწინოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 1966 წლის ბიუჯეტში კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის სათანადო ხელსაწყო-იარაღების, სათამაშოების ფაბრიკის მოწყობისა და სათამაშოების შეძენისათვის საჭირო ასიგნობანი.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინოფიკაციის საქმეთა კომიტეტს გაუწიოს შეფოხა სასახლის კინოსტუდია „პიონერფილმს“ როგორც ტექნიკური დახმარების აღმოჩენით, ისე მეთოდური მითითებებითა და კონსულტანტის გამოყოფით.

5. ეთხოვოს საქართველოს მწერალთა კავშირს და კომპოზიტორთა კავშირს პრაქტიკული დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ქართული ორიგინალური საბავშვო პიესების, სიმღერების შექმნისა და მათი გავრცელებულად გამოცემის საქმეში.

ქ. თბილისისა და მისი რაიონების განათლების განყოფილებებმა ხელი შეუწყონ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს წრეების დაკომპლექტებისა და მასობრივი ღონისძიებების ჩატარების საქმეში.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) გააცნოს მოხსენებითი ბარათი და ეს ბრძანება ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგიურ კოლექტივს და სისტემატური მეთვალყურეობა დააწესოს აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოხსენებითი ბარათი

ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა
სასახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

თქვენი დავალებით მიმდინარე წლის მარტში კომისიამ ბ. ფე-
რაძის (ხელმძღვანელი), ს. ტონიას, ქ. დარსალიას, ნ. ახვლედიან-
ის, ჯ. მუჯირის, ჯ. ნინუას შემადგენლობით შემოწმა ბ. ძნელა-
ძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობა. კო-
მისიას შემოწმების პროცესში, საჭიროების მიხედვით, დახმარებას
უწევდნენ როგორც განათლების სამინისტროს აპარატისა და მისი
დაქვემდებარებული დაწესებულებების, ისე საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის მუშაკები.

შემოწმდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 8 განყოფი-
ლების, 21 კაბინეტის, ცენტრალური პიონერული და თოჯინების
თეატრების, სიმფონიური და საესტრადო ორკესტრების მუშაობა.

განყოფილებები შექმნილია ძირითადი დარგების მიხედვით,
კაბინეტები კი—სასწავლო დისციპლინათა და სპეციალობათა გათ-
ვალისწინებით. კაბინეტებთან შექმნილ წრეებში მეცადინეობს,
ამასთან პიონერულ და თოჯინების თეატრებსა და სიმფონიურ და
საესტრადო ორკესტრების მუშაობაში ჩაბმულია სულ 6 220 მოს-
წავლე, მათ შორის პიონერია 4 336, კომკავშირელი—1 784.

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის ბორის ძნელაძის
სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხელმძღვანელობა
სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობის მრავალმხრივი ფორმე-
ბისა და მეთოდების გამოყენებით ძირითადად უნარიანად წარმარ-
თავს პიონერებისა და მოსწავლე ახალგაზოგობის სწავლისა და
აღზრდა-განათლების საქმეს. განყოფილებებისა და კაბინეტების

სამუშაო გეგმები და სასწავლო პროგრამები ამ ამოცანების განხორციელებას ემსახურებიან.

სასახლე ძირითადად დაკომპლექტებულია ნაღალკვალიფიციური, უნარიანი პედაგოგებით, რომლებიც თავიანთ ცოდნას და ენერგიას არ იშურებენ სკოლის გარეშე მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების უზრუნველსაყოფად. ეს პედაგოგებია: ი. მიქელაძე, მ. აბრამიშვილი, ქ. გიორგაძე, ვ. ქარსელაძე, ნ. ჩხეიძე, ვ. სულაქველიძე, თ. ჯიქიძე, კ. ბურჯანაძე, დ. ჯალაღანია, ნ. ფაილოძე, ბ. ჟუიკოვი, თ. გოგიშვილი, ნ. ლომთათიძე, ლ. პაიჭაძე, ე. გოგიაშვილი, თ. წიგნაძე, ე. ქავთარაძე, ნ. კაკაბაძე, გ. კრაწაშვილი, ნ. შუმიაცკაია, რ. ქობინელიძე, შ. კაპანაძე, გ. გარუჩავა, ე. დლონტი, ბ. გალკინი, ა. კვიციანი, რ. ირემიშვილი, ე. ლოლუა, ქ. ბაქურაძე, ე. კობიაშვილი და სხვ.

1964 წლის 1 სექტემბრიდან სასახლის სხვადასხვა განყოფილების მიერ ჩატარებულია 698 ღონისძიება მათ შორის სასახლეში 511, ხოლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში—187. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 142 311 მოსწავლემ. ჩატარებულია 196 ექსკურსია; მონაწილეობდა 3 204 მოსწავლე.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ტრადიციულად ატარებს მრავალ საინტერესო ღონისძიებას, რომლებიც თავისი შინაარსით დიდი ხანია გასცდა ქალაქის ფარგლებს და რესპუბლიკური მნიშვნელობის გახდა. ასე, მაგალითად, გასულ წელს ჩატარდა მე-19 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის გაშლას, გამომგონებლობის და საკვლევი ხასიათის ექსპერიმენტების ჩატარებისადმი სწრაფვას.

მე-19 კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 13 000 მოსწავლემ. შემაჯამებელ სხდომებზე განხილული იქნა 4 000 შრომა, აქედან ფიზიკის, ტექნიკისა და მათემატიკის საკითხებზე 1 080, ქიმიისა—730, ბიოლოგიის—400, მხარეთმცოდნეობის—500, ლიტერატურის 824, პიონერული და მასობრივი მუშაობის—406 შრომა.

მოწონებას იმსახურებს მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნამუშევრები, თვითნაკეთი ხელსაწყოები, საკუთარი შემოქმედების კრებულები, ფოტოალბომები, ფარები და სხვ.

კონფერენციაზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით დაჯილდოვდა 100 მოსწავლე, ხოლო წარმატების მოპოვებისათვის 1100 მოსწავლეს დიპლომი; მოსკოვში საექსკურსიოდ გაიგზავნა 14 მოსწავლე, სივლით დაჯილდოვდა რესპუბლიკის 104 მასწავლებელი.

მოსწავლეთა მე-20 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის, რომელიც 23—26 აპრილს ჩატარდა, წარმოდგენილი იყო 4850 ნამუშევარი. აქედან ქიმიაში—711, მათემატიკაში—586, ფიზიკაში 855, ბიოლოგიასა და სოფლის მეურნეობაში—470, ისტორიასა და გეოგრაფიაში—690, ლიტერატურაში—890, მხატვრულ აღზრდაში—192, პიონერულ და მასობრივ მუშაობაში 536 ნაშრომი. მე-20 რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია მაღალ დონეზე ჩატარდა.

სასახლის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსი, რომელსაც განათლების სამინისტრო პიონერთა სასახლის ბაზაზე ატარებს, მან დიდი გამოხმობურება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში. მე-2 რესპუბლიკური კონკურსის პირველ და მეორე ტურში მონაწილეობდა 330 სკოლა, 3171 მოსწავლე. მათ მიერ წარმოდგენილი იქნა 11 222 ნამუშევარი.

გასულ წელს ჩატარებულმა ნორჩ მხაზველთა კონკურსმა გამოავლინა განსაკუთრებული ნიჭითა და ხაზვის უნარით დაჯილდოებული მრავალი მოსწავლე. მათგან პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო 11 მოსწავლემ, II ხარისხის—53, სივლილი წილად ხვდა 232 მოსწავლეს, 60 კი სასახლემ დააჯილდოვა საექსკურსიო საგზურებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ (ბაქო, ერევანი).

კარგად ტარდება ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური შეკრებები. მე-4 რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც 1965 წლის იანვარში ჩატარდა, გამოავლინა მშობლიური მხარის შესწავლით დაინტერესებული მრავალი მოსწავლე და მთელი რიგი სასკოლო მხარეთმცოდნეობითი სექციებისა და წრეების მრავალფეროვანი და შინაარსიანი საქმიანობა.

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკური შეკრების მუშაობაში პირველად მონაწილეობდნენ მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, ოდესისა და ჩრდილოეთ კავკასიის ნორჩი მხარეთმცოდნეები. შეკრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ქ. მოსკოვში მოწვეული ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მე-7 საერთაშორისო კონგრესის მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი მხარეთმცოდნეები.

შეკრებაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრების მრავალი სახეობა: ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, გეოგრაფ-გეოლოგიური კოლექციები, ჩატარებული ექსპედიციებისა და ექსკურსიების მხატვრულად გაფორმებული მარშრუტები და ფოტოსტენდები, ახალ მშენებლობათა ამსახველი მაკეტები, ქალაქისა და სოფლის სოციალისტური ყოფის მაუწყებელი დიაგრამები და კარტოგრამები, მოსწავლეთა მიერ შეკრებილი საბჭოთა ხალხის გმირული ეპოპეის, სამამულო ომის სახელოვანი მატიანის ამსახველი მრავალი დოკუმენტი, ქართველი ხალხის მდიდარი ფოლკლორული მასალების ნიმუშები და სხვ.

რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებთან ერთად პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე განყოფილებების მეშვეობით საინტერესო ღონისძიებებს ატარებს. შინაარსიან მუშაობას ატარებს პიონერული და მეთოდური განყოფილება (კამგე ნ. ფაილოძე). ქალაქის პიონერული აქტივის სწავლებისათვის ჩამოყალიბებულია 26 წრე, რომლებშიც 500-ზე მეტი მოსწავლეა გაერთიანებული. გარდა პიონერული და კომკავშირული აქტივის სწავლებისა ამ განყოფილებაში შექმნილია პიონერული და კომკავშირული მუშაობის სექციები, უფროს პიონერხელმძღვანელთა საქალაქო სკოლა, ბექდ-ვითი სექტორი და ვ. ი. ლენინის კაბინეტი.

კომკავშირული სექცია (ლ. გომართელი და პ. ოვანეზოვი) ხელმძღვანელობს კომკავშირული აქტივის სწავლებისა და მომზადების საქმეს. „შექმნილია კომკავშირული აქტივის“ საქალაქო სკოლა, რომელშიც გაერთიანებულია ქალაქის სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის 250-ზე მეტი ახალგაზრდა. სექციასთან ჩამოყალიბებულია კლუბი, რომლის მეშვეობით სექცია ხელმძღვანელობს და საჭირო დახმარებას უწევს ქალაქის სკოლებში შექმნილ შტაბებს, ატარებს სხვადასხვა მასიურ ღონისძიებებს, თეორიულ სემინარებს, დისპუტებს და სხვ. ჩატარებულია დისპუტები თემებზე — „რა არის მეგობრობა“, „საბჭოთა ახალგაზრდის მორალური სახე“. მოეწყო შეხვედრა საკავშირო პიონერთა ბანაკ „ორლიონოვში“ მყოფ კომკავშირლებთან, ჩატარდა ნორჩი პოეტების და პროზაიკოსების შემოქმედებითი საღამო და სხვ.

შტაბისა და სექციის წევრები ეხმარებიან სკოლების კომკავშირულ ორგანიზაციებს. ყოველკვირეულად ტარდება სკოლის დახ-

მარების დღე. სექციამ დახმარება აღმოუჩინა ქალაქის 20-ზე მეტ სასკოლო-კომკავშირულ ორგანიზაციას, რის შედეგადაც 62-ე, 53-ე, 35-ე, 41-ე და სხვა სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა საგრძნობლად გაუმჯობესდა; კლუბის მიერ ქალაქის ქუჩებში, კინო-თეატრებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში სისტემატურად ეწყობა რეიდები, შედეგები თავსდება სექციის გაზეთში „გულახდილად უნდა ვითხრათ“.

პიონერულ სექციასთან (ხელმძღვანელი რ. დემეტრაშვილი) შექმნილია პიონერული აქტივის სკოლა „კოცონი“, რომელშიც გაერთიანებულია ქალაქის ყველა სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე. აქტივის სკოლის მუშაობას ხელმძღვანელობს შტაბი, მისი წევრები სკოლებში სწავლობენ პიონერული ორგანიზაციის მუშაობას, ადგილზე სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. დღემდე სექციის მიერ ჩატარებულია ორი სემინარი: „როგორ ვიმუშაოთ ოქტომბრელებთან“ და „როგორ შევაჯამოთ ლენინური დათვალიერების შედეგები“. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფორპოსტებისა და მილიციელთა ნორჩი მეგობრების კლუბის მუშაობას (ხელმძღვანელი გ. ჯიშიაშვილი).

სისტემატურად ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები უფროსი პიონერხელმძღვანელების, პიონერული ასაკის კლასების პედაგოგებისა და რაზმის ხელმძღვანელებისათვის. მიმდინარე წელს კონსულტაცია ჩატარდა 500-მდე ხელმძღვანელსა და პედაგოგს.

უფროს პიონერხელმძღვანელთა საქალაქო სკოლაში (ხელმძღვანელები ი. ნარეშელაშვილი და ი. ლასკარი) გაერთიანებულია ქალაქის 50 დამწყები უფროსი პიონერხელმძღვანელი, რომელთაც კონსულტაცია ეწევათ პიონერული ორგანიზაციის მუშაობის საკითხებზე.

ვ. ი. ლენინის კაბინეტი (ხელმძღვანელი თ. დარჩია) კარგად ხელმძღვანელობს ლენინის სასკოლო მუზეუმს, საინტერესოდ ატარებს ლენინის საყვარელ თამაშობათა დღეს, აწყობს შეხვედრებს ლენინის ორდენოსნებთან, ლენინური პრემიის ლაურეატებთან, სამამულო ომის პარტიზანებთან და სხვ.

შინაარსიან მუშაობას ატარებს ბექდვითი სექტორი, რომელსაც პედაგოგები ნ. კაკაბაძე და ი. კეკელიძე ხელმძღვანელობენ.

სექტორი ფართოდ განაზოგადებს ყველა განყოფილებისა და კაბინეტის მდიდარ გამოცდილებას.

სასახლეს აქვს ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „გაზაფხული“ კომპლექსის ტირაჟი 1000 ცალია (რედაქტორი რ. ირემაშვილი). იგი გამოდის ორ კვირაში ერთხელ. გაზეთის რედაქცია მეტად მრავალფეროვან შემოქმედებით მუშაობას ეწევა, პიონერები ადგენენ გაზეთის მაკეტს, გეგმას, ამზადებენ წერილებს და აფორმებენ მხატვრულად. ისინი საფუძვლიანად ეცნობიან საგაზეთო მუშაობას. გაზეთი პოპულარული ფორმით აცნობს თავის მკითხველს სასახლის განყოფილებებისა და კაბინეტების მუშაობას, აქვეყნებს ბავშვთა შემოქმედების ნიმუშებს და ა. შ. გარდა საბავშვო რედაქციისა გაზეთს ჰყავს თავისი ნორჩი ფოსტალიონები, პროპაგანდისტები თბილისის სკოლებიდან. ყოველი წლის ბოლოს ეწყობა მკითხველთა კონფერენცია.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა მასობრივი მუშაობის განყოფილება (გამგე ე. კობიაშვილი). განყოფილებას აქვს: 1. ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი (ხელმძღვანელი ლ. ტაბატაძე); 2. გონივრული გართობის კაბინეტი (გამგე კ. ბურჯანაძე); 3. მასობრივი მუშაობის კაბინეტი (გამგე ე. ჭუმბურიძე); 4. საბავშვო კინო-ლექტორიუმი (გამგე ნ. სალდაძე).

მიმდინარე სასწავლო წელს განყოფილების მიერ ჩატარებულია საქალაქო და რესპუბლიკური მნიშვნელობის 262 ღონისძიება. ამ განყოფილების კინო-ლექტორიუმი ავრცელებს უფასო აბონემენტებს და აწყობს კინოსურათების დემონსტრირებას, მოსწავლეთა კლუბის წევრები ამუშავებენ სურათების ანოტაციებს, უკეთებენ ანალიზს და აცნობენ მაყურებლებს ფილმის შინაარსს.

გონივრული გართობის კაბინეტს აქვს სათამაშოების ფაბრიკა—აქ უკვე არის ბავშვების ხელით დამზადებული 30 კომპლექტამდე სათამაშო, რომელთა შორის უმრავლესობა ორიგინალური კონსტრუქციისა. კაბინეტს აქვს თავისი ფორპოსტი პეკინის ქუჩაზე № 73 სახლში. აქ ეწყობა სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებები. გაიხსნა ბიბლიოთეკა, დაიდგა რადიოკვანძი და სხვ.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბს შემოკრებილი ჰყავს ქალაქის გამოჩენილი ადამიანები. ისინი კლუბში გაერთიანებულ მოსწავლეებს უტარებენ საუბრებს უცხოელი ბავშვების ცხოვრების შესახებ. კლუბთან ჩამოყალიბებულია „ნორჩ მთარგმნელთა წრე“.

მასობრივი მუშაობის კაბინეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სკოლებთან კავშირის განმტკიცებას, ეწყობა დილები, ოქ-

ტომბრელთა ზეიმები, თამაშობები, სამეჯლისო ცეკვების დღეები, ახალი სიმღერების შესწავლა, ნახატი ფილმების კვირეული და ა. შ. მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილება (გამგე ნ. ჯორბენაძე).

რადიოკაბინეტში (გამგე ე. ლლონტი) რადიოკონსტრუქტორები სისტემატურად მუშაობენ თვითნაკეთი რადიომიმღებების დამზადებაზე და საერთოდ რადიოტექნიკის მეცნიერული საფუძვლების შესწავლაზე, ეუფლებიან მორზეს ანზანს, რადიოსადგურებს შორის ორმხრივი კავშირის დამყარების ტექნიკას. რადიოსტუდია სასახლის ტერიტორიაზე სისტემატურად აწყობს გადაცემებს პიონერული ახალი ამბებისა და სხვა საინტერესო თემებზე.

ნაყოფიერი მუშაობა ტარდება აგრეთვე ხელმარჯვეთა (ხელმძღვანელი ა. ივანოვი) წრეში, ფოტო (ხელმძღვანელი ვ. ლუკიანცევი) და ავიასამოდელო (გამგე ბ. ჟუიკოვი) ლაბორატორიებში. ავიასამოდელო ლაბორატორიას ბევრი საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდო აქვს მიღებული.

ქიმიის კაბინეტში (გამგე გ. მელუა) მუშაობს გამოყენებითი და არაორგანული ქიმიის შემსწავლელი წრეები და კერამიკოსთა ჯგუფები. გარდა კვლევითი და ექსპერიმენტული მუშაობისა, კაბინეტი ატარებს მასობრივ ღონისძიებებს, ექსკურსიებს და სხვ.

მათემატიკის კაბინეტის (ხელმძღვანელი ე. ცხვედაძე) წრეებში გაერთიანებულია ძირითადად ისეთი მოსწავლეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათემატიკის ღრმად შესწავლით. წრის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, რომელთა შესწავლა ხელს უწყობს სკოლაში პროგრამით გათვალისწინებული მასალის გაღრმავებას და მოსწავლეთა მათემატიკური კულტურის ამაღლებას, ასეთია ზეპირი ანგარიშის ხერხების დაუფლება, თვლის სხვადასხვა სისტემის შესწავლა, მიახლოებით რიცხვებზე მოქმედებანი, დიაგრამების შედგენაზე და ცხრილებზე მუშაობა, საანგარიშო სახაზავებზე ვარჯიში, ფუნქციათა გრაფიკების აგება, სხვადასხვა სახის განტოლებათა ამოხსნა, უმაღლესი მათემატიკის ელემენტების შესწავლა და სხვ. სასახლის კაბინეტი მუშაობას ატარებს სხვადასხვა სკოლის მათემატიკის მასწავლებლებთან, რომელნიც სასახლიდან ლებულობენ კონსულტაციას სკოლებში საწრეო მუშაობის გეგმების შესადგენად, მათემატიკური დილების ჩასატარებლად და სხვ. კონსულტაცია არდადეგების პერიოდში გაეწია მათემატიკის მასწავლებლებს გომიდან, ონიდან, ბაგებიდან და სხვ.

კარგად მუშაობს ფიზიკის კაბინეტი (გამგე დ. კაციტაძე) სახალისო ფიზიკის წრეში მოსწავლეები ატარებენ ცდებს, ამზადებენ მარტივ თვითნაკეთ ხელსაწყოებს, გავილილ მასალასთან დაკავშირებით ატარებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს და სხვ. ავტომატიკის წრეებში მეცადინეობის დროს (ხელმძღვანელი გ. ჯანგვაძე) მოსწავლეებს აცნობს ავტომატიკის, საწარმოთა ავტომატიზაციისა და ტელემექანიკის ელემენტებს, მოსწავლეები აწყობენ თვითნაკეთ ავტომატურ ხელსაწყოებს, როგორცაა ავტომატური გასაღები, დროის რელე, ფოტორელე და სხვ. განყოფილება სათანადო ყურადღებას უთმობს საშეფო სკოლებთან მუშაობას.

მხარეთმცოდნეობისა და ნატურალისტური მუშაობის განყოფილება (გამგე ა. კვიციანი) მხარეთმცოდნეობის, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის კაბინეტების მეშვეობით დიდ მუშაობას ატარებს სკოლებში ჩვენი მხარის შესწავლისა და ნატურალისტური მუშაობის სრულყოფისათვის.

მხარეთმცოდნეობის კაბინეტში (გამგე ი. მიქელაძე) შექმნილია ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბი ნორჩ არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა და გეოლოგთა სექციებით. კაბინეტს დიდი ხნის საინტერესო შემოქმედებითი მუშაობის ტრადიცია აქვს. მას საქართველოს 28 რაიონის სკოლებთან აქვს მეტად საქმიანი ურთიერთობა, კაბინეტი ეხმარება რაიონებს რესპუბლიკური კონფერენციისათვის მომზადებაში, მას კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვ. კაბინეტის 13 მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ეთნოგრაფთა მე-7 კონგრესის მუშაობაში.

ბიოლოგიის კაბინეტი (გამგე თამარ ჯიქიძე) აერთიანებს ნორჩ მეყვავილეთა, დეკორატიული მებაღეობის, მცენარეების ნორჩ დ.მცველთა, ნორჩ ბუნებისმცოდნეთა წრეებს. წრეების სამუშაო პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი რესპუბლიკის ფლორისა და ფაუნის შესწავლას. ეწყობა ექსკურსიები, ლაშქრობები, გამოფენები. კაბინეტი ეხმარება სკოლებს ნორჩ ნატურალისტებთან მუშაობის სანიმუშო მოწყობისათვის. კაბინეტმა ჩაატარა კონკურსები შემდეგ თემებზე: „გამოვიცნოთ შემოდგომის ყვავილები“, „შევისწავლოთ ცხოველთა სამყარო“, მოაწყო მგალობელ ფრინველთა და აკვარიუმის მოყვარულთა საქალაქო შეკრება და სხვა.

სოფლის მეურნეობის კაბინეტი (გამგე თ. გოგიშვილი) ტრადიციულად ატარებს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა „შემოდგო-

მის ზეიმი“, შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, ქართველ მიჩურინელებთან, კაბინეტი დიდ დროს ანდომებს სასახლის კრწანისის მეურნეობაში (ნაკვეთზე) მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას.

მხატვრული აღზრდის განყოფილებაში (გამგე ვ. სულაქველიძე) მრავალი მოსწავლეა გაერთიანებული. განყოფილების ქორეოგრაფიულ, ხატვის, ქანდაკების კაბინეტებში, ცენტრალურ პიონერულ და თოჯინების თეატრებში, მხატვრული კითხვისა და მეფანდურემეჩონგურეთა წრეებში და ვოკალურ ჯგუფებში საინტერესო შემოქმედებითი მუშაობა ტარდება. განყოფილებამ გარდა თბილისისა, ახლომახლო სოფლების დიდმის, წყნეთის, ვაშლოვანის სკოლების ბავშვებიც მოიზიდა, მოამზადა 200-მდე პიონერ-ინსტრუქტორი. სისტემატურად ეწყობა სპექტაკლები, მაგ. მიმდინარე სასწავლო წელს პიონერულმა თეატრმა ჩაატარა 31, ხოლო თოჯინების თეატრმა 14 სპექტაკლი, ნორჩმა ქორეოგრაფებმა 42 კონცერტი მრავლეს. ხატვისა და ქანდაკების კაბინეტში ბავშვები კარგად ეუფლებიან ნატურიდან ხატვას, ძერწვას, საშუალება აქვთ განივითარონ გემოვნება, ფანტაზია და თვითშემოქმედებითი უნარი.

მუსიკალური აღზრდის განყოფილების (გამგე ირ. ჯოხაძე) მთავარი ამოცანაა შექმნას ბაზა და ამ ბაზაზე მოსწავლეთა ანსამბლები და ორკესტრები. ბავშვთა სიმფონიური ორკესტრი უკვე რამდენიმე წელია არსებობს სასახლეში, მას უნარიანად ხელმძღვანელობს ნიჭიერი მუსიკოსი ბორის ვალკინი. ორკესტრი კარგად ასრულებს როგორც კლასიკოს, ისე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ასევე კარგ შედეგებს აღწევს მოსწავლეთა საესტრადო ორკესტრი, რომელსაც ამ საქმის კარგად მცოდნე რაფიელ კაზარაიანი ხელმძღვანელობს. ორკესტრმა მოკლე ხანში პოპულარობა მოიპოვა. მან ბევრ კარგ საბავშვო სიმღერას გაუთქვა სახელი. ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე სიმებიანი კვარტეტი მასწავლებელ თ. გომელაურის ხელმძღვანელობით.

წიგნზე მუშაობის სექტორის (გამგე ლ. პაიჭაძე) ქართული ლიტერატურის კლუბი მოსწავლე ახალგაზრდებს შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. აქ მუშაობს კლასიკური ლიტერატურის, საბჭოთა ლიტერატურის, საბავშვო ლიტერატურის შემსწავლელი და ნორჩ მთარგმნელთა წრეები. ნორჩ შემოქმედთა წრეებში გაერთიანებულნი არიან ნორჩი პოეტები. პროზაიკოსები, ჟურნალისტები, კრიტიკოსები, მთარგმნელები. წრეებთან მუშაობისას პედაგო-

გები იყენებენ კაბინეტის მიერ წლების მანძილზე შემუშავებულ ნაცად ფორმებს, იმარჯვებენ მხატვრული ნაწარმოების ილუსტრაციას, ხატვა-ფერწერის ნიმუშების ფოტორეპროდუქციას, მხატვრულსა თუ კრიტიკულ ლიტერატურას, გაზეთსა და ჟურნალს, მუსიკასა და დიაფირს. ტარდება კოლექტიური სვლები კინოფილმებზე, თეატრალურ დადგმებზე, ხელოვნების მუზეუმში, ირაკლი გამრეკელის, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმებში და სხვ., რაც უფრო ახალისებს და მრავალფეროვანს ხდის კაბინეტის მუშაობას.

საინტერესო მუშაობას ატარებს რუსული ლიტერატურის კლუბში მასწავლებელი მ. კალანდარიშვილი. საკითხები, რომლებიც სექციებში მუშავდება, შერჩეულია მოსწავლეთა ცოდნის, შესაძლებლობისა და ინტერესის გათვალისწინებით. სასწავლო წლის დასაწყისიდან სექციის ყოველ მეცადინეობაზე მოსწავლეთა უშუალო მონაწილეობით ტარდება გასაუბრებები „პიონერსკაია პრავდაში“, „კომსომოლსკაია პრავდასა“ და ჟურნალ „იუნოსტში“ წაკითხული სტატიების გარშემო.

შეგნებული კითხვის ჩვევების დანერგვის მიზნით წრეებში გამოცხადებულია კონკურსი „ვინ უფრო სწრაფად შეავსებს კონვერტებს წაკითხული ლიტერატურიდან ამოკრეფილი შინაარსიანი და საინტერესო ციტატებით“. ყოველი მეცადინეობის ბოლოს მასწავლებელი მ. კალანდარიშვილი ამოწმებს, თუ ვინ რა მასალები მოიტანა და როგორ განაწილა ისინი თემატურად კონვერტების შესატყვისად.

რუსული და საზღვარგარეთული ლიტერატურის შემსწავლელი სექტორის წევრთა ძალებით მომზადებულია ლიტერატურული ვიქტორინა მ. გორკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე.

ნორჩ მთარგმნელთა ხელნაწერი კრებული და გამოფენა „ჩვენი მთარგმნები“.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიბლიოთეკა შეიქმნა ლუნაჩარსკის სახელობის საქალაქო სამეცნიერო-ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის ბაზაზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს დაახლოებით 70 000 ნაბეჭდ ერთეულს. ბიბლიოთეკას ჰყავს 1100-ზე მეტი მუდმივი და 13 000-ზე მეტი დამსწრე მკითხველი. იგი ემსახურება დაახლოებით 10 ფორპოსტს. აქ ხდება მკითხველებთან გასაუბრება, მთელი რივი მეთოდური საშუალებებით ბიბლიოთეკის მუშაკები აღწევენ ნორჩი მკითხველების დაინტერესებას.

ნაცოფიერ მუშაობას ეწევა ფიზიკური კულტურის განყოფილება (გამგე ჯ. ბაჩიაშვილი). იგი ზრდის ნორჩ სპორტსმენებს, სპორტულ მასობრივი მუშაობის ორგანიზატორებს, ამზადებს ტრექტორებსა და მსაჯებს სპორტის სხვადასხვა სახეში. აქ არის აღზრდილი ჩვენი რესპუბლიკის მრავალი შესანიშნავი სპორტსმენი, რომლებსაც მსოფლიო და სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელი აქვთ შობავებული. ასეთებია მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი, ტიგრან პეტროსიანი, საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის ჭადრაკში მოსწავლე ნანა აღუქსანდრია, ოსტატები ა. ბოკუჩავა, მ. ტოგონიძე და სხვ. (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ქარსელაძე), მსოფლიო და სსრ კავშირის ჩემპიონები იუნიორთა შორის რაპირით ბრძოლაში გივი ანდრიაძე და ხმლით ფარიკაობაში გურამ ლორთქიფანიძე (მწვრთნელი ვ. ქოჩიაშვილი), თბილისის ჩემპიონები მოსწავლეთა შორის მხატვრულ ტანვარჯიშში, ფარიკაობაში და სხვ.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის განყოფილებების, კაბინეტების, ლაბორატორიებისა და წრეების კარგი მუშაობა შედეგია სასახლის დირექციის (დირექტორი ჯ. კვარაცხელია, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში შ. დევდარიანი, დირექტორის მოადგილე სამეურნეო მუშაობის დარგში ჯ. ხაქალია) უნარიანი ხელმძღვანელობისა.

აღნიშნულ წარმატებებთან ერთად სასახლის მუშაობას გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა. რეკონსტრუქციას საჭიროებს სასახლის შენობა, რომელიც თითქმის 25 წლის მანძილზე უცვლელ მდგომარეობაშია, სასახლის ახალი კორპუსის მშენებლობა ქიანურდება, დღეისთვის სასახლე ფართობის მხრივ მძიმე მდგომარეობაშია. ბევრ კაბინეტსა და წრეს არა აქვს მუშაობის პირობები, რის გამოც მუშაობის ახალი სახეობები და ფორმები ძნელად იწერება. ტექნიკის განყოფილება თითქმის მთლიანად უფარგის ოთახებშია მოთავსებული. ასევე ბნელი, უფარგის ოთახები აქვთ მასობრივი მუშაობისა (სათამაშოების ფაბრიკა) და მუსიკალური აღზრდის განყოფილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასახლის საფინანსო მეურნეობა ძირითადად წესრიგშია, მაინც აქვს ადგილი ზოგიერთ დარღვევებს. მასწავლებელთა ტარიფიკაციის არახუსტად ჩატარების შედეგად ზედმეტადაა გაცემული 34 მანეთი, საშემოსავლო არ აქვთ დაკავებული შეთავსებით მომუშავე მუშაკებს (სულ 48 მან.). საკუქნაოში

აღწერის დროს გამოვლინდა მატერიალური ფასეულობის მეტობა
26 მანეთი.

პიონერული და მეთოდური მუშაობის განყოფილება, როგორც
ამაზე თვით განყოფილების სახელწოდება მეტყველებს, მეთოდური
თვალსაზრისით პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობის
ყველა უბანს უნდა მოიცავდეს; იგი უნდა იყოს მეთოდური მუშაო-
ბის ცენტრი, რომელიც გააერთიანებს სასახლის ყველა განყოფილე-
ბის მეთოდისტს, წარმართავს მთელ მეთოდურ საქმიანობას ერთი
საერთო მიზნისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი განყოფი-
ლების მეთოდისტები ძირითადად სწორად წარმართავენ მუშაობას
და ღონისძიებებსაც კარგად ატარებენ, მაინც შეინიშნება ნაკლო-
ვანებები. მეთოდური განყოფილების მიერ გამოშვებული ბროშურე-
ბის 80%-ზე მეტი მხოლოდ სუფთა პიონერული მუშაობის საკითხ-
ებს შეეხება. არ ტარდება სისტემატური მეთოდური და საკონსულ-
ტაციო მუშაობა პიონერული ორგანიზაციის აქტუალურ საკითხებზე
სხვა განყოფილების მუშაკათვის. განყოფილების მუშაობაზე უარ-
ყოფით ვაგლენას ახდენს ვაცდენები, რაც პირველ რიგში სასახ-
ლესთან არსებულ უფროს პიონერხელმძღვანელთა სკოლას შეეხება;
ასე, მაგ., ქართულ ჯგუფში დეკემბერში იყო 24 ვაცდენა, იანვარ-
ში—25, თებერვალში 30, 11 თებერვალს 23 კაციდან არ დაესწრო
16, რის გამოც მეცადინეობა ჩაიშალა. დიდია ვაცდენები აგრეთვე
რუსულ ჯგუფშიაც.

ლენინის კაბინეტის პედაგოგები წრეებს ამეცადინებენ მხო-
ლოდ პიონერული მუშაობის საკითხებზე. ამ წრეებში არ არიან
გაერთიანებულნი ლენინის სასკოლო მუზეუმებისა და კუთხეების
ორგანიზატორები.

მასობრივი მუშაობის განყოფილებაში გონივრული გართობის
კაბინეტთან შექმნილი სათამაშოების ფაბრიკა მხოლოდ ჩანასახ
მდგომარეობაშია. დღემდე აქვთ ბავშვების ხელით გაკეთებული
მხოლოდ 30 კომპლექტამდე ორიგინალური სათამაშო. ეს სათამა-
შოებიც სასახლის პედაგოგების მიერაა შედგენილი, ნაწილი კი
ქურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ესკიზების მიხედვითაა გაკეთე-
ბული. ფაბრიკაში მცირე რაოდენობითაა სახარატო და ხის დამა-
მუშავებელი დაზვები და სხვა იარაღი.

გონებრივი გართობის კაბინეტს არა აქვს მოძრავი ივროთე-
კა—ზამთარში სკოლების, პიონერთა სახლების დასახმარებლად.

ზოლო ზაფხულობით—პიონერთა ბანაკებში ლონისძიებების ჩასატარებლად.

პიონერთა სასახლის ეზოში არ არის მუდმივმოქმედი სათამაშო მოედანი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გონებრივი გართობის კაბინეტს).

სასახლეში ნაკლებად არის გაერთიანებული ლენინის, ოქტომბრის, პირველი მაისის და 26 კომისრის სახელობის რაიონების სკოლების მოსწავლეები.

მასობრივი მუშაობის ინტერნაციონალური აღზრდის კლუბში — „მთარგმნელთა წრეს“ ხელმძღვანელობს მოსწავლელი ე. თევდორაძე, რომელიც მეტად დაბალი ხარისხის გაკვეთილებს ატარებს. მოსწავლეებს არ შეუძლიათ თარგმნა, კლუბის მუშაობის ნაკლია ისიც, რომ ძირითადად წრე ერთი ან ორი სკოლის მოსწავლეებისაგან არის დაკომპლექტებული.

მასობრივი მუშაობის კაბინეტს მჭიდრო კავშირი არა აქვს დამყარებული მილიციის ბავშვთა ოთახებთან და სახლმმართველობებთან. უმნიშვნელო მუშაობა ტარდება სკოლა-ინტერნატების დასახმარებლად.

გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებს მხატვრული აღზრდის განყოფილებას. მართალია წრეები ძირითადად მოსწავლეთა ასაკისა და სურვილების გათვალისწინებით იქმნება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს დარღვევას. მაგ. ქორეოგრაფიულ და მხატვრული კითხვის წრეებში არის სკოლამდელი ასაკის ბავშვების მიღების შემთხვევები. წრეები ზოგჯერ არასწორად კომპლექტდება მაგ. ქორეოგრაფიულ წრეებში ნაცვლად 20—25 მოსწავლისა, გაერთიანებულია 30—50-მდე მოსწავლე. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე მოსწავლე 2—3 წრეშია გაერთიანებული. მაგ. ქორეოგრაფიულსა და მხატვრული კითხვის წრეებში გაერთიანებული ბავშვების ნაწილი მუსიკალურ წრეებშიც მუშაობს.

სასახლის საერთო ლონისძიებებში ყველაზე აქტიურად მონაწილეობენ ქორეოგრაფები, ხოლო ყველაზე ნაკლებად—მხატვრული კითხვის წრეები და მეჩონგურეთა ანსამბლი; არადაამაკმაყოფილებლად მუშაობს კინოსტუდია, „პიონერთფილმი“—მიუხედავად მშვენიერი სცენარისა, რომელიც ბავშვებმა თვითონ დაწერეს, მათ არა აქვთ საშუალება აწარმოონ გადაღება, რადგან ეს დაკავშირებულია, როგორც მატერიალურ, ისე ტექნიკურ შესაძლებლობებთან.

ზოგიერთი წრის ხელმძღვანელებად დანიშნულია ახალგაზრდა გამოუცდელი პედიგოგები, რომელთაც არ ეწევათ სათანადო დახმარება. ასეთებია მხატვრულ კითხვაში—ი. აბესაძე, დრამატულ წრეში—ხითაროვა, ხატვაში—თ. გოცაძე და სხვ.

მხატვრული აღზრდის განყოფილებაში წრეების დაკომპლექტების დროს არ არის დაცული ზომიერება. მაგალითად, განყოფილების 75 წრიდან 25 ქორეოგრაფიულია. საწრეო მუშაობის მთელი თანხიდან, რაც 1730 მანეთს შეადგენს 751 მანეთი, 45% ქორეოგრაფიულ წრეებზე იხარჯება. მხატვრული კითხვის, ქორეოგრაფიული წრეები, მეფანდურეთა და მეჩონგურეთა ანსამბლები, ვოკალისტთა ჯგუფები მუშაობენ არასრულყოფილი პროგრამებით. მხატვრული აღზრდის განყოფილებას უჭირს შესაფერისი რეპერტუარის, საბავშვო სიმღერების, ცეკვების, პიესების შერჩევა.

ხატვისა და ქანდაკების კაბინეტები განიცდიან სამუშაო მასალის (დაგრუნტული მუყაო, სახატავი ფუნჯები, საეტიუდები, ტილო) და სასწავლო ინვენტარის (ტუმბოები, დაფები, მოლბერტები) სიმცირეს. არა აქვთ სახატავი თაბაშირის ახალი ორნამენტები, ადამიანის სახის სხვადასხვა ნაწილები, გეომეტრიული სხეულები და სხვ.

ტექნიკის განყოფილების ტრანსპორტის კაბინეტი — აღრე წამყვან კაბინეტად ითვლებოდა. აქ მუშაობდა სარკინიგზო, საავტომობილო, საბავირო და სხვა სახის წრეები. დღეს ამ კაბინეტის მუშაობა სუსტად გამოიყურება. მას ამჟამად არ ჰყავს ხელმძღვანელი. კაბინეტთან არსებული ზოგი წრე არასწორად არის დაკომპლექტებული, ასე, მაგალითად, ერთ წრეში გაერთიანებულია მოსწავლეები V—X კლასებიდან, ხოლო მეორეში IV—VIII კლასელებია გაერთიანებული, აქვე ვხვდებით მე-2 კლასის მოსწავლეებსაც. კაბინეტის სამუშაო პროგრამა არ პასუხობს ამოცანას. ნაკეთობანი მარტივია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ელექტროფიციკრებულ რკინიგზისა და ავტომანქანა „ამფიბიას“ მოდელებს. ამ განყოფილებაში უნდა აღინიშნოს წრეების სიმცირე, 12 კაბინეტის 35 პედაგოგს აქვს მხოლოდ 72 წრე. განსაკუთრებით ცოტაა წრეები ტრანსპორტის, ფოტო და გემთსამოდელო კაბინეტებში. განყოფილებაში არ არის რუსული წრეები ქიმიასა და მათემატიკაში.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს რუსული ლიტერატურის კლუბის „ჩენი მეგობრები—საბავშვო მწერლები“, სექციის ხელმძღვანელი ლ. ტარიელაშვილი. შემოწმების დროს მეცადინეობაზე

იგი სრულებით არ იყო მომზადებული, ნაჩვენები იყო დიაფილმი „მეოთხე ბლინდაჯი“, რომლის შინაარსსაც კი არ იცნობდა. თვით დიაფილმის ჩვენების ორგანიზაცია ძალზე დაბალ დონეზე ჩატარდა. მოსწავლეები ვერაფერს ხედავდნენ და ძლივს კითხულობდნენ ტექსტს. მასწავლებელი ლ. ტარიელაშვილი სუსტად ფლობს ენას და მისი სწავლების მეთოდებს.

ასევე სუსტად მუშაობს მასწავლებელი ლ. მედვედევა, რომელიც ცუდად ემზადება მეცადინეობისათვის. მან მოსწავლეებს უჩვენა დიაფილმი „გამოცანები“. იგი წინასწარ არ გაცნობია დიაფილმის შინაარსს, ამიტომ ტექსტი არ იცოდა, იბნეოდა, გამოცანებს არასწორად ხსნიდა. შემოწმების დღეს წრე ამთავრებდა ს. მარშაკის შემოქმედების შესწავლას, ხელმძღვანელმა ლ. მედვედევამ ისიც კი არ იცოდა, რომ ს. მარშაკი გარდაცვლილი იყო. სუსტია აგრეთვე ამ კაბინეტის მასწავლებლის გ. კუკულაძის მუშაობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე რუსული ლიტერატურის კაბინეტს არ ჰყავს გამგე.

არასწორად არის დაკომპლექტებული წრეები მუსიკალური აღზრდის განყოფილებაში. სულ წრეებში ჩაბმულია 45 მოსწავლე, რაც სრულიადაც არ არის საკმარისი ბავშვთა სტაბილური სიმფონიური ორკესტრის შესაქმნელად. საჭიროა სულ მცირე 100 ბავშვი მაინც.

სასახლეში არ მოგვარდა მომდერალთა გუნდის მუშაობა. ამჟამად სასახლის მიერ საბაზოდ 27-ე და 87-ე სკოლებია აყვანილი, მათთან ყოველ კვირა დღეს ტარდება მეცადინეობა. შემოწმების პერიოდში 7 და 14 მარტს აღნიშნული გუნდების მეცადინეობა არ შედგა მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო.

განყოფილებას მოუგვარებელი აქვს მუსიკალური შეიდწლედის დამამთავრებელი მოწმობების გაცემის საკითხი. არა აქვს მოწმობების გაცემის საადრიცხვო ჟურნალი, სადაც აღნიშნული იქნება თუ ვინ, როდის, რა ნომრის მოწმობა მიიღო. გასულ წელს 24 მოსწავლემ დაამთავრა მუსიკალური შეიდწლედი, აქედან 16 ბავშვმა მიიღო მოწმობები, ხოლო ადგილზე აღმოჩნდა 24 შეუესებელი მოწმობა.

ფიზკულტურის განყოფილებას არა აქვს შემუშავებული დებულება სპორტული სკოლისათვის. არ არის შექმნილი მასწავლებელ-მწვრთნელთა საბჭო, მშობელთა კომიტეტი. სპორტულ დარბაზში მრავალი სასპორტო იარაღი შეკეთებას საჭიროებს, ლეიბები კი

სრულიად უვარგისია. ზოგიერთი ჯგუფი დაკომპლექტებულია ისეთი მოსწავლეებით, რომელთა ასაკობრივი განსხვავება ზოგჯერ 4-6 წელს აღწევს.

კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რომ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

1. განსაკუთრებული პირობები შექმნას ტექნიკურ მეცნიერებათა დისციპლინების: მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ხაზვის კაბინეტებთან არსებული წრეების მუშაობისათვის. გაზარდოს სხვა კაბინეტების ხარჯზე შესაბამისად ამ კაბინეტებთან ტექნიკურ მეცნიერებათა შემსწავლელი წრეების რაოდენობა.

• 1965/66 სასწავლო წლის დასაწყისიდან დააკომპლექტოს წრეები მეცნიერების ამა თუ იმ დარგით დაინტერესებული მოსწავლეებით და უზრუნველყოს წრეებში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნება.

წრეების დაკომპლექტებისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა მიდრეკილება, მომზადება და ასაკი. წრეების სამუშაო პროგრამები და გეგმები გადასინჯული იქნეს ისე, რომ ისინი არ წარმოადგენდეს სასკოლო პროგრამების დუბლირებას.

2. ჩამოაყალიბოს ტელემექანიკისა და ავტომატიკის, ორგანული, არაორგანული და ანალიზური ქიმიის, სალიანდაგო მეურნეობის, სიგნალიზაციის და ავტომატიზაციის, მეტროპოლიტენისა და მონორელსური გზის შემსწავლელი წრეები.

გამოთვლითი მათემატიკის დანერგვისა და შესწავლის მიზნით მოაწყოს გამოთვლითი მათემატიკის კაბინეტი და შეიძინოს გამოთვლითი ელექტრომანქანა.

3. დახმარება გაუწიოს სკოლების პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსწავლეებში მეცნიერებისა და ტექნიკისადმი სიყვარულისა და ინტერესის დანერგვაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, გამოჩენილ მეცნიერთა, გამომგონებელთა, რაციონალიზატორების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობაში.

4. აღადგინოს ლექტორიუმი სამეცნიერო, ტექნიკურ-პოპულარული ლექციების ციკლის წასაკითხად. ლექტორიუმის მუშაობაში მოიზიდოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგის გამოჩენილი მოღვაწეები და გამოცდილი პედაგოგები.

5. გარდაქმნას მეთოდური განყოფილების მუშაობა იმგვარად, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენდეს სასახლის, როგორც პიონერული, ისე სკოლის გარეშე მუშაობის მაკოორდინირებელ მეთოდურ ცენტრს.

პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სკოლების პიონერთა ორგანიზაციებს პიონერული და სხვადასხვა სახის სკოლისგარეშე მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში, პიონერხელმძღვანელებს — პიონერული მუშაობის მეთოდის დაუფლებაში, პიონერული აქტივის მომზადებაში, პიონერული და სკოლის გარეშე მუშაობის საუკეთესო მაგალითების გავრცელება-განზოგადებაში.

სისტემატურად ჩაატაროს პიონერხელმძღვანელებისა და უფროს პიონერხელმძღვანელებისათვის სემინარები, თათბირები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, მეთოდური კონფერენციები და არ დაუშვას ამგვარი ღონისძიებების ჩაშლის არც ერთი შემთხვევა.

სასკოლო წრის ხელმძღვანელებისა და კლასის ხელმძღვანელთათვის პერიოდულად ჩაატაროს გამოცდილების გაზიარების მიზნით სემინარები, კონსულტაციები პიონერული და სკოლის გარეშე მუშაობის საკითხებზე.

6. წრეში ჩაბმულ მოსწავლეთა მუშაობის შედეგების შეფასების მიზნით თითოეულმა წრემ სასწავლო წლის 1-ლი და მე-2 ნახევრის ბოლოს ჩაატაროს შემაჯამებელი მასობრივი ღონისძიება, რომელშიც ჩაბმული იქნება წრეებში გაერთიანებული ყოველი მოსწავლე.

7. თანდათანობით განამტკიცოს ტრანსპორტის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, მხარეთმცოდნეობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კაბინეტების მატერიალური ბაზა, შეუძინოს მათ უახლესი ხელსაწყოები, იარაღები და სასწავლო მასალები.

8. სასახლის ყველა განყოფილების კაბინეტის, წრეების მუშაობა წარმართოს მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად გმირული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურსა და შრომითს ტრადიციებზე.

ინტერნაციონალური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების

მიზნით გააუმჯობესოს მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის პიონერმოსწავლეებთან კავშირი.

9. მჭიდრო კავშირი დაამყაროს ავტომატიკისა და ტელემეკანიკის, ელექტრონიკის, კიბერნეტიკის, ფიზიკის, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან;

10. მუსიკალური და მხატვრული აღზრდის განყოფილებაში წრეების დაკომპლექტების დროს დაიცვას თანაზომიერება: გაზარდოს დრამატული კოლექტივების, მხატვრული კითხვის, ფერწერისა და ქანდაკების წრეების რაოდენობა, მეტი ყურადღება მიაქციოს ქართული ხალხური მუსიკალური საკრავების შესწავლას; ცენტრალურ პიონერულ თეატრთან შექმნას ბუტაფორიისა და სამხატვრო-სამკერვალო საამქროები.

11. უახლოეს ხანში ჩამოაყალიბოს მოსწავლეთა გუნდი, განაახლოს საოპერო ჯგუფების მუშაობა, გაზარდოს საორკესტრო კლასების მოსწავლეთა კონტინგენტი, წესრიგში მოიყვანოს მუსიკალური შეიდწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობების გაცემის საქმე.

შეიდწლიანი სკოლის დამთავრების 24 შეუვსებელი და გაუცემელი მოწმობა დააბრუნოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოში.

12. გაატაროს ქმედითი ზომები ქ. თბილისის შორეული რაიონების სკოლებიდან სასახლის საწრეო და მასობრივ ღონისძიებებში მოსწავლეთა მეტი რაოდენობით ჩაბმისა და შენარჩუნებისათვის.

13. მ/წლის 1 აგვისტომდე შეიმუშაოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებული სასპორტო სკოლის დებულების პროექტი და წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად.

როგორც წესი სასპორტო სკოლასთან შექმნას მასწავლებელ-მწვრთნელთა საბჭო, რომელშიაც შეყვანილ იქნებიან ჯანმრთელობის, განათლების ორგანოების, მშობელთა კომიტეტისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენლები.

14. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ყველა კაბინეტმა მოქმედი ფორპოსტების მუშაობის გამოცდილების მაგალითზე შეფობა გაუწიოს ცალკეული რაიონების მსხვილი დასახლების პუნქტებს და ქალაქში დარჩენილ მოსწავლეთა კულტურულად და ორგანიზე-

ბულად დასვენების მიზნით გაზარდოს ფორპოსტების რაოდენობა.

15. გაატროს საჭირო ღონისძიებანი ზოგიერთი წრის სუსტად მომუშავე ხელმძღვანელის შესაცვლელად სკოლისგარეშე მუშაობაში გამოცდილი პედაგოგებით.

სკოლების სამმართველოს უფროსის
მოადგილე ბ. ფერაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.
8 ივლისის ბრძანება № 764

მახარაძის, ღუშეთის, საგარეჯოხა და ქ. გორის პიონერთა და
მოსწავლეთა სახლების მუშაობის გამორკვევის შედეგების
შესახებ

აღვნიშნავ, რომ მახარაძის, ღუშეთის, საგარეჯოხა და ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლები მნიშვნელოვან დახმარებას უწყვეტ სკოლებსა და პიონერულ ორგანიზაციებს მრავალფეროვანი საწრეო და მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში—მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნის დონის გაღრმავება-განმტკიცებაში, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებაში, პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების მუშაობის გაუმჯობესების, პიონერხელმძღვანელების მიერ პიონერული მუშაობის მეთოდის დაუფლების, პიონერული აქტივის შექმნისა და ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

მუშაობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან მახარაძის (დირექტორი ამხ. გ. კუნჭულია), ქ. გორის (დირექტორი ამხ. გ. ელიოზაშვილი) პიონერთა და მოსწავლეთა სახლები. ეს პიონერთა და მოსწავლეთა სახლები, ძირითადად, როგორც აღმინისტრაციული, ისე პედაგოგიური პერსონალით კარგად არის დაკომპლექტებული. ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში წრეების დაკომპლექტებას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რის შედეგადაც წრეებიდან მოსწავლეთა განთესვას ადგილი არ აქვს.

მოსწავლეები თავიანთი ნიჭისა და მისწრაფების მიხედვით ჩაბმული არიან პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობაში.

საწრეო მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან მახარაძის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა (წრის ხელმძღვანელი მ. მიქაძე), მხარეთმცოდნეობის (ო. ვაჩიბერაძე), სახვითი ხელოვნების (მ. ლლონტი), ქორეოგრაფიის (გ. სალუქვაძე და გ. სიხარულიძე); ქ. გორის

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ალბინისტთა (ხელ. თ. ცერცვაძე) ნორჩ მხარეთმცოდნეთა (ვ. გელდიაშვილი), სახვითი ხელოვნების (მ. ყვავილოვი, ი. მჭედლიშვილი), მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის (ნ. სიხარულიძე), კინომექანიკოსთა და ფოტომოყვარულთა (უ. დიდბერუაშვილი), პიონერული აქტივის (ლ. ზედანია), დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მეოჯახეობის (ხელმძღვანელი ნ. პაპიაური), სახვითი ხელოვნების (მ. ლითანიშვილი), მხარეთმცოდნეობის (ვ. ტატიშვილი), საგარეჯოს რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერული აქტივის (ხელმძღვანელი ვ. ნარიმანიშვილი), მეოჯახეობის (თ. საგინაშვილი) წრეები.

მხარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ მეყვავილეთა (ხელმძღვანელი მ. მიქანაძე) წრის მეცადინეობაზე დამუშავებულია საკითხები „როგორ აღმოაჩინა ტიმირიაზევა მწვანე მცენარის დიდი საიდუმლოება“, „დარვინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „მყნობის წესების გაუმჯობესება“, „ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი“. ამასთანავე ჩაატარეს პრაქტიკული მეცადინეობა ჰერბარიუმის შედგენაზე, მიკროსკოპთან დამოუკიდებლად მუშაობაზე, ყვავილოვანი მცენარეების გამრავლებაზე, მყნობაზე. წრემ ჩაატარა ექსკურსიები ადგილობრივ საყვავილე სანერგესა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.

ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სახვითი ხელოვნების წრის (მ. ყვავილოვი, ი. მჭედლიშვილი) მიერ დამზადებულია მრავალი ტილო ფანქრითა და ზეთის საღებავებით, სადაც ასახულია „ჩიკვთა ქორწილი“, „ჩვენი ეზო“, „ჩემი სოფელი“, ამ წრეებმა მოამზადეს სპექტაკლ „წითელქუდას“ დეკორაციები. მოაწყეს ექსკურსიები გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კერამიკულ ქარხანაში. ამ წრეების მიერ დამზადებული ნახატები, ნაძერწები, ნაკეთობანი ყოველწლიურად იგზავნება სახვითი ხელოვნების რესპუბლიკურ გამოფენაზე.

დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი ვ. ტატიშვილი) ნორჩი მხარეთმცოდნეები სისტემატურად ამდიდრებენ ახალ-ახალი ექსპონატებით პიონერთა სახლთან არსებულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს. მათ მოაწყეს ორდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: დუშეთი—ჩარდახი—სხალტა, შიომღვიმე. ძეგვი—დუშეთი და დუშეთი—მაღარო—ჩარგალი—დუშეთი. ამ წრის წევრთა უმრავლესობა მხარეთმცოდნეობის დარგში

წარმატების მოპოვებისათვის დაჯილდოებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით.

მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან შექმნილია პიონერული თეატრი (ხელმძღვანელი მ. გოლიაძე). პიონერულმა თეატრმა ნორჩ მყურებლებს უჩვენა გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის ზღაპარი-კომედია „ნაცარქექია“, ოვანეს თუმანიანი „გიქორი“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, „ჭინჭრაქა“, პეროს „ჩექმებიანი კატა“, ქუჩუკაშვილის „ზამთრის ზღაპარი“ და სხვა.

გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის თოჯინების თეატრმა (ხელმძღვანელი ამხ. მ. შაფთოშვილი) ოქტომბრელებსა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უჩვენა პეროს „წითელქუდა“.

მახარაძის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მთელი საქმიანობა სწარმოებს საინტერესოდ, შინაარსიანად და მოფიქრებულად შედგენილი სამუშაო გეგმების საფუძველზე. სამუშაო გეგმები შედგენილია სასწავლო წლის 1-ლი და მეორე ნახევრის მიხედვით. განსაკუთრებით შემოქმედებითად არის შედგენილი მასობრივი მუშაობის გეგმა (პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი ამხ. მ. გოლიაძე). მათი მუშაობა მარტო ქალაქის სკოლის მოსწავლეებთან კავშირით არ ამოიწურება. მასობრივი მუშაობის მეოთხედური გეგმები სტამბური წესით დაბეჭდილი ეგზავნება რაიონის სკოლებს. ამ სახლის კოლექტივმა მეტად საინტერესო ღონისძიებები ჩაატარა ძიშითის, ვაკიჯვრის, შრომის, ნატანების, ლიხაურის, ნავომრის საშუალო და ბოხვაურის მ-წლიან სკოლებში.

მახარაძისა და გორის პიონერთა სახლებთან შექმნილია უფროსკლასელთა კლუბი. კლუბის საქმიანობაში ჩაბმულია უმაღლესი სასწავლებლებისა და საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკები და პროფესორ-მასწავლებლები.

დიდი ინტერესით მიმდინარეობს პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალიერება, რომლის პირველი წელი წარმატებით დაამთავრეს მახარაძის რაიონის პიონერთა რაზმეულებმა. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ლენინური დათვალიერების რესპუბლიკური საგუშაგო „ცისარტყელას“ მიერ რაიონის რიგი სკოლების რაზმები და მისი წევრები „ცისარტყელას“ აღმებით დაჯილდოვდნენ.

პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალიერების ხელმძღვანელებისათვის პიონერთა სახლთან შექმნილია რაიონული შტაბი „შიდჯაკა“, შტაბის შემადგენლობაში შეყვანილია რაიონის წარჩინებული ადამიანები.

კარგადაა ორგანიზებული პიონერული აქტივის სწავლება. პერიოდულად ეწყობა პიონერხელმძღვანელების, უფროს პიონერხელმძღვანელების, პიონერული აქტივის სემინარები, პირველ პიონერებთან შეხვედრა და მუშაობის საუკეთესო ნიმუშების განზოგადება.

მახარადის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობის პრაქტიკაში დანერგილია რესპუბლიკური მასობრივი ღონისძიებების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობა და რესპუბლიკურ კონკურსებსა და კონფერენციებზე გამოსაგზავნ ნამუშევართა, ნაკვეთობათა წინასწარ საჯაროდ განხილვა.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მიზნით ყოველი სასწავლო წლის დასასრულისათვის ეწყობა რაიონის მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედებითი დათვალიერება.

მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით ზემოჩამოთვლილი პიონერთა და მოსწავლეთა სახლები პერიოდულად აწყობენ ექსკურსიებს, ექსპედიციებს, ლაშქრობებს, ტურისტულ შეკრებებს, აწარმოებენ სამხარეთმცოდნეო მასალების შეგროვებას, შეგროვილი მასალების შესწავლა-ვადამუშავებას და მის ექსპონირებას პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან შექმნილ სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში.

მახარადის პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან საზოგადოებრივ საწყისებზე რაიონის ცენტრის სკოლების მოსწავლეთათვის შექმნილია 170 მოსწავლის შემადგენლობით (ხელმძღვანელი ვ. ქუთათელაძე) მომღერალთა მძლავრი გუნდი და ხალხურ საკრავთა ანსამბლი.

ზემოაღნიშნული წარმატებების მიუხედავად ამ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დასახელებულ პიონერთა და მოსწავლეთა არც ერთ სახლს არა აქვს შესაფერისი ბინა. საგარეჯოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის შენობა მოძველებულია და მოითხოვს დიდ რემონტს. პიონერთა და მოსწავლეთა სახლების წრეებს არა აქვს შექმნილი მატერიალური ბაზა; არა აქვს სახარატო და სადურგლო დაზგები, ხელსაწყო-იარაღები და სასწავლო მასალები.

დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობის პრობლები გასულ წლებთან შედარებით გაუარესებულია. დუშეთისა და საგარეჯოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლების წრეების უმრავლესობა არ არის დაკომპლექტებული ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილებისა და უმაღლესი ან სპეციალური განათლების მქონე

სპეციალისტებით. საგარეჯოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელად დანიშნულია არასპეციალისტი ჟ. აბულაშვილი, ხოლო მხატვრული კითხვისა და ტერატურის წრის ხელმძღვანელად სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელი უმაღლესდაუმთავრებელი ნ. ბუზარიაშვილი, რომელსაც არა აქვს სკოლაში მუშაობის სტაჟი.

დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელად დანიშნულია არასპეციალისტი ნ. ცოცხალაშვილი, ხოლო ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელად ამ დარგის არასპეციალისტი გ. დუდაური. ამ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების წრეებში მცირე რაოდენობით არიან ჩაბმული მოსწავლეები. სულ 10 ფინანსურ ჯგუფში (დუშეთი) ჩაბმულია 134 მოსწავლე. 11 ფინანსურ ჯგუფში (საგარეჯო) გაერთიანებულია 157 მოსწავლე.

არასაკმაოდ მუშაობენ საგარეჯოს და დუშეთის პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორები (ამხ. ამხ. ლ. ქიტოშვილი, გ. დუდაური). მათი საქმიანობა ძირითადად მხოლოდ პიონერთა აქტივთან მუშაობით ამოიწურება. მასობრივი მუშაობის თემატიკა ტრაფარეტულია, მათ სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული რაიონის შორეული სკოლებისადმი დახმარების გაწევა. მათთან მალაღ იდეურ დონეზე მომხადებული ღონისძიებების ჩატარება, პიონერული, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის გამოცდილების შესწავლა და საუკეთესო ნიმუშების განზოგადება, უფროს კლასელებთან მუშაობა და სხვა.

ამ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების წრეები სასწავლო წლის განმავლობაში არ ატარებენ საწრეო მასობრივ ღონისძიებებს და სასწავლო წელს ამთავრებენ ჩატარებული მუშაობის შეჯამების გარეშე. ეს წრეები არასაკმაოდ ეხმაურებიან სკოლის გარეშე მასობრივ რესპუბლიკურ ღონისძიებებს: „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“, „მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია“, „ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსი“, „ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური კონკურსი“, „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ და სხვა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საგარეჯოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ტექნიკური წრეები (ხელმძღვანელი ზ. ილაური) ნორჩ ტექნიკოსთა წრეში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო მასალების უქონლობის მომიზეზებით არც ერთი

ცალი ექსპონატი არ გაუმზადებიათ, ხოლო ფოტოწრეს ფოტო-
მოყვარულთა რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია.

არც ერთ პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან არ არის მიწვე-
უბილი პიონერთა ოთახი. არა აქვთ სათანადო მატერიალური
ბაზა ტექნიკური და სახვითი ხელოვნების წრეების ნორმალური მუ-
შაობისათვის. არ არის დაცული სათანადო პროცენტული შეფარ-
დებანი ტექნიკური წრეებისა სხვა წრეებთან მახარაძის, დუშეთისა
და საგარეჯოს პიონერთა სახლებში.

მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში 20 ფინანსური
ჯგუფიდან მხოლოდ 3 ტექნიკური ჯგუფია, ხოლო დუშეთისა და
საგარეჯოს პიონერთა სახლებში ათ-ათი ფინანსური ჯგუფიდან
ტექნიკურია მხოლოდ ორ-ორი.

აღსანიშნავია ის ვარემოება, რომ ბორის ძნელაძის სახელობის
პიონერთა და მოსწავლეთა სახსრებს, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრა-
ლური, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური და ბავშვთა საექს-
კურსიო-ტურისტული ცენტრალური სადგურები არასაკმაო მეთო-
დურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ზემოაღნიშნულ პიონერთა
და მოსწავლეთა სახლებს მუშაობაში. განათლების განყოფილებებს
სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე არა აქვს მოსმენილი სა-
კითხი პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მახარაძის, გორის, დუშეთისა და საგარეჯოს განათლების
განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ადგილზე ყოველგვარი ზომები პიონერთა და მოს-
წავლეთა სახლების მუშაობისათვის ნორმალური პირობების შე-
საქმნელად;

ბ) სკოლების ცენტრალიზებული სახსრებიდან შეუძინონ პიო-
ნერთა და მოსწავლეთა სახლებს ტექნიკური და სახვითი ხელოვნე-
ბის წრეებისათვის აუცილებელი იარაღ-ხელსაწყოები და სასწავლო
მასალები.

გ) შეუფერხებლად დააფინანსონ პიონერთა და მოსწავლეთა
სახლები მათთვის აუცილებელი ინვენტარისა და სასწავლო მასა-
ლების შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგ-
ლებში;

დ) ყოველი სასწავლო წლის 1-ლი, მეორე ნახევრისა და ზა-
ფხულის პერიოდის დასაწყისში განიხილონ და დაამტკიცონ ალკ

რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან ერთად, პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობის გეგმები;

ე) პერიოდულად შეისწავლონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობა, საკითხი განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ვ) სასწავლო წლის დასაწყისისათვის გადასინჯონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების პედაგოგთა შემადგენლობა და არ დაუშვან წრეების ხელმძღვანელებად შეუფერებელი კადრები;

ზ) გადააქციონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლები პიონერთა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ცენტრად რაიონში და უზრუნველყონ ყოველ რესპუბლიკურ მასობრივ ღონისძიებებში (კონკურსი „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“, „მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია“, „ნორჩ ნატურალისტთა დანმარება სკოლას“, „ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსი“, „ნორჩ მხარეთმცოდნეთა კონკურსი“) წრეების ჩაბმა ისე, რომ სასწავლო წლის ბოლოს თითოეულ ფინანსიურ წრეს, წინასწარ დადგენილი გეგმის საფუძველზე, შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს ამ რესპუბლიკური ღონისძიებების შემაჯამებელ გამოფენებსა და კონფერენციებში;

თ) შექმნან საზოგადოებრივ საწყისებზე პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან რაიონული მნიშვნელობის მომღერალთა გუნდები, ქორეოგრაფიული ჯგუფები, ხალხურ საკრავთა ანსამბლები, შეუქმნან ნორმალური პირობები სახლთან არსებულ სახვითი ხელოვნების ყველა წრეს და ამით უზრუნველყონ ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობა.

კ) სკოლისგარეშე დაწესებულებების საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო დათვალეობის პირობები დაიყვანონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლებამდე და უზრუნველყონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება.

2. ცნობა მხარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობის გამოცდილების შესახებ თან ერთვის.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების გან-

ყოფილებათა გამგეებმა შეისწავლონ ადგილზე პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობა, განიხილონ აღნიშნული ბრძანება და თანდართული ცნობა— მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობის გამოცდილებიდან და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი.

4. მიღებულ იქნეს ცნობად საგარეჯოსა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების განცხადება, რომ სამუშაოდან განთავისუფლებულნი არიან, როგორც არასპეციალისტები, საგარეჯოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელი ამბ. ჟ. აბულაშვილი, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის წრის ხელმძღვანელი ნ. ბუზარიაშვილი, დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელები ნ. ცოცხალაშვილი და ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელი ამბ. გ. დუდაური.

5. საშუალო, 8-წლიანი და დაწყებითი სკოლების დირექტორებმა გაუწიონ დახმარება პიონერთა და მოსწავლეთა სახლებს წრეების დაკომპლექტებაში.

6. ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ამბ. ჯ. კვარაცხელია), ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური (ამბ. გ. ეპიტაშვილი), ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური (ამბ. შ. მანგიაშვილი), ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ცენტრალური (ამბ. მ. ერისთავი) სადგურების დირექტორებმა სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებს მეთოდური ლიტერატურით, ნახაზებით, მარშრუტებით, პროგრამებითა და სასწავლო მასალებით. პერიოდულად ჩაატარონ პროფილების მიხედვით წრეების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარები და ადგილზე აღმოუჩინონ პრაქტიკული დახმარება.

7. მომზარებებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამბ. ს. არველაძე) უზრუნველჰყოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ტექნიკური წრეები სასწავლო მასალებით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მოთხოვნილების შესაბამისად.

8. განათლების სამინისტროს და საგეგმო-საბიუჯეტო სამმართველომ (ამბ. ალ. კვაჭაძე) მომავალი სასწავლო წლიდან ტექნიკური ხასიათის წრეების რაოდენობის გაზრდის მიზნით გაითვალისწინოს ქ. გორის, მახარაძის, დუშეთისა და საგარეჯოს განათლების განყოფილების ბიუჯეტში ორ-ორი ფინანსური ჯგუფი დამატებით.

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ
(ამხ. დ. ჯავახია) პერიოდულად შეისწავლოს პიონერთა და მოს-
წველეთა სახლების მუშაობა და შედეგები წარმოადგინოს კოლფ-
გიაზე განსახილველად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ც ნ ო ბ ა

მხარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობის გამოცდილებიდან

მხარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის საქმიანობა წარმართულია პიონერთა რაზმეულების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და ახალი ადამიანის მორალური, სულიერი და ფიზიკური სრულყოფისაკენ. იგი ყოველდღიურად ზრუნავს თავისი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის, ყოველდღიურ დახმარებას უწევს სკოლებსა და პიონერულ რაზმეულებს; ხელს უწყობს პიონერ-მოსწავლეებში იდეური რწმენის განმტკიცებას, პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებას. ამ საპატიო ამოცანების განხორციელებისათვის ფართოდ იყენებენ უფროსი თაობის რაიონის მოწინავე ადამიანების, კომუნისტებისა და კომკავშირელების პირად მაგალითს.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლში შექმნილია 11 სხვადასხვა სახის წრის 20 ჯგუფი. ამ ჯგუფებში ჩაბმულია 320 მოსწავლე. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის საქმიანობა მხოლოდ წრეში გაერთიანებულ მოსწავლეებთან მუშაობით არ იფარგლება. პიონერთა და მოსწავლეთა სახლს მრავლად აქვს ჩატარებული საინტერესო, პოლიტიკურად გამიზნული მასობრივი ღონისძიებები, რამაც გააფართოვა პიონერთა და მოსწავლეთა სახლის გავლენის სფერო და განაპირობა მთელი მისი საქმიანობის წარმატება.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან ჩამოყალიბებულია ფერწერა-ხატვის, ძერწვა-ქანდაკების, ფოტო, მხარეთმცოდნეობის, კინომექანიკოსთა, ავიამოდელისტთა, ნორჩ ნატურალისტთა, ჰადრაკის, ქორეოგრაფიული, ლიტერატურული, პიონერული აქტივის, ფოლკლორისტა წრეები. წრის ხელმძღვანელებად შერჩეულნი არიან საქმის მცოდნე, ბავშვებთან მუშაობის გამოცდილების მქონე

სპეციალისტები, ყველაზე მრავალრიცხოვანია პიონერთა სახლის
სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მასში გაერთიანებულია 170 პიონერი,
ხოლო ქორეოგრაფიულში—55, რომლებსაც ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე ამხ. გ. სალუქვაძე ხელმძღვანელობს.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობა წარმოებს
საინტერესოდ, შინაარსიანად და მოფიქრებულად, წინასწარ შედგენილი
სამუშაო გეგმების საფუძველზე. გეგმები შედგენილია სასწავლო
წლის 1-ლი და მე-2 ნახევრებისა და საზაფხულო პერიოდის
მიხედვით. ამ პრინციპის მიხედვით დგება წრეების პროგრამები და
მათი სამუშაო გეგმებიც.

მოწესრიგებულია წრეებში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვიანობა.
აღრიცხვას აწარმოებენ საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს მიერ გამოშვებულ სპეციალურ ჟურნალებში. მეცადინეობაზე
დასწრება დამაკმაყოფილებელია. წრეების მეცადინეობის
ჩაშლას, გადადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

კარგად მუშაობს ავიამოდელისტთა წრე (წრის ხელმძღვანელი
ბ. კიკვიძე). წრე მარტო მეცადინეობის ჩატარებით არ კმაყოფილდება.
წრის წევრთა მიერ მოწყობილი იქნა კოსმონავტიკის დღისადმი
მიძღვნილი ნორჩ ტექნიკოსთა გამოფენა.

მრავალფეროვან საკითხებს მოიცავს ლიტერატურისა და
ფოლკლორის წრეების საქმიანობა. მათ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია
მწერალ კლასიკოსთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა (ნ. ოსტროვსკი,
გრ. ორბელიანი, მ. ლერმონტოვი და სხვა), შემოქმედებითი
სალამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და ა. შ.

ორივე წრეს აქვს საერთო ორგანო—აღმანახი, რომელსაც ორიგინალური
სახელწოდება აქვს—„ჰიკიკიკი“. აღმანახში ათავსებენ რაიონის
მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრებს და ფოლკლორულ მასალებს.
აღნიშნული წრეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პიონერთა
და მოსწავლეთა სახლის მიერ ჩატარებულ ყოველ მასობრივ
ღონისძიებაში, მაგალითად: პირველკლასელთა ზეიმში, სახალწლო
კარნავალში და სხვ.

საინტერესო მოხსენებებია წაკითხული მეყვავილეთა წრის
მეცადინეობაზე, მაგალითად, „როგორ მოვეუაროთ ოთახის მცენარეებს“,
„როგორ აღმოაჩინა ტიმირიაზევა მცენარის დიდი საილუმინოება“,
„დარვინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „მცენარის ბუნების
ვაუმჯობესება“, „ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინის
ვაუმჯობესება“.

რინი“ და სხვა. ამასთანავე წრეში ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობა ჰერბარიუმების შედგენაზე, მიკროსკოპთან დამოუკიდებლად მუშაობაზე, ყვავილოვანი მცენარეების გამრავლებაზე, სხვადასხვა ხერხით მყნობაზე და სხვა. წრის შიერ ჩატარებულია ექსკურსიები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ადგილობრივ საყვავილე სანერგეში.

კარგადაა მოვლილი და დამუშავებული სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი. დათესილია მრავალი სახის კულტურები.

ბიონერთა და მოსწავლეთა სახლის წრეებში ჩაბმული მოსწავლეები სკოლაში ყველა საგანში ასწრებენ. მათ განსაკუთრებით მაღალი ნიშნები აქვთ იმ საგნებში, რომელი პროფილის მიხედვითაც უხდებათ საქმიანობა წრეებში.

ბიონერთა და მოსწავლეთა სახლი მასობრივი მუშაობის გეგმებს სასწავლო მეოთხედების მიხედვით ადგენს. გეგმა იბეჭდება სტამბური წესით და იგზავნება რაიონის სკოლებში. შინაარსიანი ღონისძიებები მომზადდა და ჩატარდა ქალაქის 1-ლ, მე-2, მე-3 და რუსულ, ძიმითის, ვაკიჯვრის, შრომის, ნატანების, ლიხაურის, შემოქმედის, ნავომრის საშუალო და ბოხვაურის 8-წლიან სკოლებში.

ყურადღების ღირსია ამ ღონისძიებებისათვის შერჩეული თემები: „სკოლის შენობიდან სამამულო ომის ფრონტზე“, „შეხვედრა სამამულო ომის მონაწილე მასწავლებლებთან“, „დიდება მეგობრობასა და ძმობას“, „ქალაქის სკოლების ინტერნაციონალური საღამო“, „ლენინური დათვალეირების ვახტზე“, „ჩვენ ყველგან მეგობრები გვყავს“, „საუკეთესო მოსწავლე მეჩაიეთა კონკურსის შეჯამება“, „ჩვენი საყვარელი მწერალი“, ლიტერატურული დილა მიძღვნილი ნ. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავისადმი, რომლის ჩატარებას წინ უძღოდა ექსკურსია სოჭაში—მწერლის სახლმუზეუმში, „რა ვიცი ლერმონტოვის შესახებ“, რაიონის ქართული და რუსული სკოლების მოსწავლეთა დილა. ვიქტორინა, მიძღვნილი მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 150 წლისთავისადმი, კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ შემომქმედ კოლექტივთან შეხვედრა „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს“. ბიონერული თეატრის შეხვედრა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებთან, „ვაშა, ამ ახალ საქართველოს“, „ვეუმღერით დედას“, 8 მარტის დღესთან დაკავშირებით, რაიონის ხუთოსანი მოსწავლეების დედებთან შეხვედრა და ა. შ.

ბიონერთა და მოსწავლეთა სახლის საქმიანობაში ჩაბმულია

უროსკლასელთა დიდი რაოდენობა. შექმნილია უფროსკლასელთა კლუბი. უფროსკლასელთა კლუბის შექმნით, პიონერთა და მოსწავლეთა შორის სკოლის გარეშე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით იგი ეხმარება სკოლებს მოსწავლეთა შორის მაღალი მორალური თვისებების დანერგვის საქმეში. აღნიშნული კლუბის მიერ ჩატარებული ღონისძიებები ანზოგადებს, ყველასათვის ცნობილს ხდის რაიონის სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების საუკეთესო გამოცდილებას, მათ საქმიანობას. უფროსკლასელთა კლუბის დახმარებით მახარაძის რაიონში შედარებით მოვარებულა უფროსკლასელთა საინტერესო, ჯანსაღი დასვენებებისა და გართობის საქმე.

უფროსკლასელთა კლუბს მიზნად აქვს დასახული მასობრივი ღონისძიებების მომზადება-ჩატარებაში ფართო აქტივის ჩაბმა, მოსწავლეთა მიდრეკილებისა და ინტერესების გათვალისწინება, მათი ინიციატივისათვის დამოუკიდებლობის სწორი მიმართულების მიცემა და მათგან ორგანიზატორების მომზადება.

ყურადღების ღირსია უფროსკლასელთა კლუბის მიერ ჩატარებული ღონისძიებები: ცხოვრებაში გმირობისა და გმირული ცხოვრების შესახებ, უფროსკლასელთა კლუბის წევრთა დისპუტი, უფროსკლასელთა საახალწლო ზეიმი, კარნავალი, რაიონის უფროსკლასელთა კლუბის გაერთიანებული ლექცია-მოხსენება მოსწავლეთა პიგიენური ცოდნის ამაღლებისათვის და ა. შ.

უფროსკლასელთა კლუბთან შექმნილია ზეპირი ჟურნალი „ლაპარაკობს კომუნიზმის თანამგზავრთა კლუბი“, ამ კლუბის საქმიანობაში ჩაბმულია რაიონის ლიტერატურის, ხელოვნების და სხვა დარგის გამოჩენილი მოღვაწეები, ჩატარდა ზეპირი ჟურნალი „ლაპარაკობს კომუნიზმის თანამგზავრთა კლუბი“ ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის სააქტო დარბაზში. ზეპირი ჟურნალის 1-ლი გვერდი საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორ ვ. სალუქვაძეს მიჰყავდა, რომელმაც მსმენელებს გააცნო საერთაშორისო მდგომარეობა, ხოლო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ხოხლენკომ მათ მოუთხრო გურიაში სწავლა-აღზრდის ისტორიის შესახებ.

ჟურნალის შემდეგი გვერდი „ჩვენ ყველგან მეგობრები გვყავს“ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ვლადიმერ გოგუაძეს მიჰყავდა, რომელიც ახალგაზრდა მსმენელებს ინდოეთში გატარებულ დღეებზე ესაუბრა. ჟურნალის განყოფილება „ლიტერატურა და ხელოვნება“ წარმოდგენილი იყო მახარაძის სახელმწიფო თეატრის

მთავარი რეჟისორის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის გრიგოლ ლაღიძის მონაწილეობით, რომელმაც მახარაძის თეატრში ნ. დუმბაძის პიესებზე მოუთხრო. მეხუთე გვერდით „ჩვენს კალენდარს“ დაუთმეს და ა. შ. უფროსკლასელთა ზეპირი ჟურნალი ყველა სკოლაში საინტერესოდ ტარდება და დიდად პოპულარულია. უფროსკლასელთა კლუბი რაიონში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, იგი უფროსების ყურადღებას იმსახურებს.

დიდი ტრადიციის მქონეა მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან შექმნილი პიონერული თეატრი, რომელსაც ამ პიონერთა სახლის პიონერთა მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი ამხ. მიხეილ გოლიაძე ხელმძღვანელობს.

პიონერულმა თეატრმა ნორჩ მავურებლებს უჩვენა გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის ზღაპარი კომედია „ნაცარქექია“, ოვანეს თუმანიანის „გიგორი“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, „ჭინჭრაქა“, პეროს „ჩექმეზიანი კატა“, ქ. ქუჩუკაშვილის „ზამთრის ზღაპარი“, ამჟამად მუშაობენ ვაჟა-ფშაველას „სათაგურზე“. პიონერული თეატრი სამოქმედო ასპარეზზე მარტო პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სცენით არ იფარვლება, ხშირად ეწყობა გასვლითი სპექტაკლები.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერული თეატრი ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის კარგი სკოლაა და რაიონში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიება ემსახურება რაიონის მოსწავლეთა იდეური ღონისა და ესთეტიკური გემოვნების ამაღლებას.

იმ დიდ ღონისძიებას, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის პიონერთა ორგანიზაციებში ტარდება—პიონერული რაზმეულების ლენინურ დათვალიერებას კარგად ეხმარება მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი. პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, ალკკ რაიონული კომიტეტის დახმარებით, თვით რაზმეულების ლენინური დათვალიერების რაიონული შტაბია.

შტაბის სახელწოდება „შედიკაცა“ შეფარდებულია ლენინური დათვალიერების 7 გზასთან, შედიგვე გზის ხელმძღვანელებად გამოყოფილია გამოცდილი, საქმის მცოდნე უფროსი ამხანაგები. ისინი სისტემატურად აღევნებდნენ თვალყურს დათვალიერების



პირველ ეტაპზე ჩატარებულ საქმიანობას. აჯამებდნენ მათ წარმატებებს, აჯილდოებდნენ გამარჯვებულ რაზმებს, რაზმეულებს თუ ცალკეულ პიონერებს.

„შრომის ლენინურ ვახტს“ სათავეში ედგა ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე სვეტლანა ნიკოლაიშვილი, რომელიც აგრეთვე კომუნისტური შრომის დამკვრელია. „გონებამახვილთა ტურნირს“—ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის საკვლევის სამეცნიერო ინსტიტუტის განყოფილების გამგე ვ. ჯაში.

ექსპედიციას „ლენინური ანდერძის მიხედვით“ ხელმძღვანელობს ინჟინერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სალუქვაძე; „მშვიდობის პიონერულ მარშს“—ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ხოხლენკო; „საბრძოლო დიდების ლაშქრობას“—თადარიგის პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ თალაკვაძე; „ხუთი რგოლის მცირე ოლიმპიადას“—სპორტის ოსტატი ბიჭიკო მეგრელაძე; „შეურიგებელთა რეიდს“—მილიციის რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ვახტანგ ჩხიკვიშვილი.

პიონერული რაზმეულების საკავშირო ლენინური დათვალიერების დებულებიდან გამომდინარე, კომკავშირის რაიკომისა და პიონერთა სახლის მუშაკებთან ერთად, მათ შეადგინეს რაიონის პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალიერების გეგმა. დათვალიერების დებულებას შეეხამა რაიონის თავისებურებანი, ხოლო შემდეგ კი საორიენტაციო გეგმა რაიონის ყველა სკოლას დაურიგდა.

„შვიდკაცას“ წევრები პერიოდულად ამოწმებდნენ გეგმით გათვალისწინებულ საკითხების შესრულებას, გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ ჯილდოებს—მოსწავლეთა სახლის სხვადასხვა წრეში დამზადებულ სიგელებსა და ვიშპელებს.

„შვიდკაცას“ მონაწილე ადამიანები ესწრებოდნენ მახარაძის I-ლ. მესამე, ვაკიჯვრის, დვაბზუს, მერიის, ცხემლისხიდის, ჭანიეთის და სხვა სკოლების პიონერულ შეკრებებზე. კოცონებთან უყვებოდნენ თავიანთი შრომისა და ბრძოლის საინტერესო ეპიზოდებს, მათი დახმარებით წარმატებით შეასრულა რაიონის პიონერულმა ორგანიზაციამ რაიონის პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალიერების პირველი ეტაპის გეგმა. გეგმის შესრულებაში დიდი როლი შეასრულა პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერულმა აქტივმა, აქ მომზადებულმა პიონერ-ინსტრუქტორებმა. ამის შედე-

გად პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალეირების პიონერულ
ეტაპზე ბევრ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი;

„შრომის ლენინურ ვახტზე“ მდგომმა პიონერებმა შეწყვიტეს
ასეთი სახელწოდებები: „რაიონის საუკეთესო მეჩაიე მოსწავლე“,
„საუკეთესო ნორჩი მეაბრეშუმე“, რომელთა სახელისათვის ბრძოლა
რაიონის რაზმეულების ლენინური დათვალეირების პირობებში შე-
დიოდა. ასეთი სახელები მახარადის პიონერებს ყოველი სამეურნეო
წლის შემდეგ მიენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ კარგ სასა-
ხელო შრომას ხუთებზე სწავლას შეუთავსებენ. „შრო-
მის ლენინური ვახტის“ მონაწილეებმა მოსწავლეთა საცხოვრებელი
აღვილების მიხედვით შექმნეს ჯართის შემგროვებელი და წიგნების
გამავრცელებელი ბრიგადები, ხოლო ამ საქმეში გამარჯვებულთა
დასაჯილდოებლად შემოღებულია სპეციალური ვიმპლები. ჩატარდა
სკოლებისა და მოსწავლეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ყვავილნარის
გაშენების ერთთვიური.

პიონერულ რაზმეულებში შექმნილი მშენებელთა სპეციალური
ბრიგადები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სკოლების მშენებლო-
ბებსა და რემონტის ჩატარების საქმეში.

ყველა სკოლაში დაწესებულია ეგრეთწოდებული „მორიგე
დურგალი“, რომელიც თვალყურს ადევნებს სკოლის დგამ-ავეჯის
მოვლას; ხოლო დაზიანების შემთხვევაში მის შეკეთებას.

რაიონის „გონებამახვილთა ტურნირის“ მონაწილეებს მჭიდრო
ურთიერთობა აქვთ თვით ამ ტურნირის ხელმძღვანელის სამუშაო
აღვილებთან ანასეულის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერ
მუშაკებთან, აქ ჩატარდა ნორჩ ნატურალისტთა რაიონული შეკრე-
ბა. მოსწავლეებმა ინსტიტუტის აგროქიმიური ლაბორატორიის
ახალგაზრდებთან ერთად შეადგინეს თავიანთი სასკოლო ნაკვეთის
კარტოგრაფები. რაიონის „გონებამახვილთა ტურნირის“ მოსწავ-
ლეებმა საინტერესო შეხვედრა მოუწყეს თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს, აქ მო-
მოეწყო პიონერთა სახალისო მათემატიკის საღამოები და „გონება-
მახვილთა ტურნირის“ მოსწავლეთა თაოსნობით ჩატარდა ქალაქის
სკოლების პიონერებისათვის სასწავლო კინოფილმების ფესტივალი.

„საბრძოლო დიდების ლაშქრობის“ მონაწილე პიონერებმა
მოაწყეს მშობლიური სკოლის მიკრორაიონში შემაჯალ დიდ სამა-
მულო ომის მონაწილეთა ფოტოსურათებისა და ბიოგრაფიული
მასალების შეგროვება; სკოლებში გაკეთდა სტენდები, გამოფენები



სკოლის იმ მუშაკთა თუ სკოლაში აღზრდილთა შესახებ, რომელთაც დიდ სამამულო ომში მიიღეს მონაწილეობა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავზე რაიონის პიონერებმა გააშენეს „შინმოუსვლელთა პარკი“, დარგეს იმდენი ხე, რამდენი ახალგაზრდაც სამამულო ომიდან შინ არ დაბრუნებულა. აღსანიშნავია, ამ დღეს სოფელ ვაკიჯვარში ჩატარებული პიონერული რაზმეულის შეკრება. საზეიმოდ მორთულ სკოლის ეზოში თავი მოიყარეს მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, სოფლის ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეებმა, განათლების განყოფილებისა და კომკავშირის რაიკომის წარმომადგენლებმა, იქ იყვნენ „შვიდკაცას“ წევრები, რაიონის სხვა სკოლის პიონერთა დელეგაციები. შეკრების ტრადიციული ხაზის ჩატარებამდე ბავშვები სკოლის ნაკვეთისაკენ გაემიჯნენ. აქ შინმოუსვლელთა პარკს ჩაუყარეს საფუძველი. დაირგო 35 ხე, ე. ი. იმდენი, რამდენიც ამ სკოლის კურსდამთავრებული ომიდან შინ არ მობრუნებულა. ნერგებზე სპეციალური ფირფიტები მიამაგრეს. ფირფიტებზე წარწერაა, რომელი გმირის სახელზე დაირგო, ვინ დარგო და რომელმა პიონერმა უნდა იზრუნოს მისი ვახარებისათვის. ასეთი კარგი ღონისძიება სხვა სკოლებშიც ჩატარდა პიონერთა სახლის ინიციატივითა და მისივე დახმარებით, სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და უფროსპიონერხელმძღვანელთა მონაწილეობით და მხარდაჭერით.

დიდი პოლიტაღმზრდელი მუშაობის შედეგია ის, რომ რაიონის თითქმის ყველა პიონერმა იცის, რაიონის სასიქადულო შვილთა ძმები ლესელიძეების, გენერალ ჩანჩიბაძის, ლლონტის, საბჭოთა კავშირის გმირების ვიქტორ ტულუშის, სერგო ჩხაიძის გმირული საბრძოლო ეპიზოდები. საინტერესოა მოსწავლეთა მიერ ჩატარებული პიონერული რეიდი 1941 წელს კურსდამთავრებულთა კვალდაკვალ, შეხვედრები თემაზე: „ისინი ომის დროს მერხებს უსხდნენ...“, ხოლო ომში დაღუპულთა ოჯახები, მათი მოხუცი მშობლები თემურელთა პიონერული რაზმების მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

საინტერესოა მახარაძელი „წითელკვალის მადიებელთა“ საქმიანობა, კერძოდ, ნატანების საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის ფაცია გობრონიძის გმირობის ამბავი. ფაცია გობრონიძე ომის დაწყების დღეებში, როდესაც ქ. ლვოვში დასთან სტუმრად იმყოფებოდა, გერმანელებს ტყვედ ჩაუგდიათ და უწამებიათ. ყურადღებას იპყრობს მათ მიერვე მოწყობილი სტენდი: „აქ ყუმბბრა არ გავარდნილა.“

მაგრამ...“ სტენდი სამამულო ომის დღეებში ზურგში მყოფ მხარაძელ პიონერ-მოსწავლეთა და მასწავლებელთა დიდ წვლილზე ლაპარაკობს.

რაიონის პიონერ-მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის სწორად წარმართვისათვის პიონერთა სახლს მრავალი საინტერესო ღონისძიება აქვს ჩატარებული: რაიონის მოსწავლეთა გაერთიანებული ინტერნაციონალური საღამოები, დისპუტები, მკითხველთა კონფერენციები, რუსული სკოლის მოსწავლეების მიერ ჩატარებული საღამო „საქართველოს შვილები უმღერიან ხალხთა ძმობას“ და ა. შ.

პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალიერების მეხუთე პუნქტის—„ექსპედიცია ლენინური ანდერძის ადგილების მიხედვით“ შესრულებაში საყურადღებოა ესტაფეტა გურიის რევოლუციურ ადგილებში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ისტორიის შესწავლა.

საინტერესოა შეხვედრები ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ შემქმნელ კოლექტივთან, „საქართველოს“ პირველ მძღოლებთან. პიონერული შეკრებები: „მათ მკერდს ლენინის ორდენი უმშენებს“, „დიდება მათ ალალ მარჯვენას“ და ა. შ.

საზაფხულო არდადეგების დღეებში კი სოფელ ვაკიჯვარში ეწყობა შრომისა და დასვენების ბანაკი.

პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალიერების მიხედვით დიდი ყურადღება ეთმობა „ხუთი რგოლის მცირე ოლიმპიადას“. მან პიონერთა და მოსწავლეთა სახლის საქმიანობაშიც თავისებური გამოძახილი ჰპოვა. დაწესდა თბილისის „დინამოს“ სახელობის გარდამავალი თასი პიონერული ასაკის ფეხბურთელთა გუნდისათვის, ხოლო მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდებისათვის დაწესებულია 2 პრიზი „მიხეილ ტალის“ სახელობის—ვაჟებისათვის და „ნონა გაფრინდაშვილის“ სახელობისა—გოგონებისათვის. გათამაშება ჭადრაკში ამ ორ პრიზზე ეწყობა ყოველწლიურად, ზამთრის არდადეგებზე.

საგულისხმოა ლენინური დათვალიერების მე-7 პუნქტის „შეურიგებელთა რეიდის“ მონაწილეთა საქმიანობა. პიონერთა სახლი უშვებს მილიციის ბავშვთა ოთახთან სპეციალურ სატირულ გაზეთს „მიხეილ თვალს“. გაზეთი ქალაქში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული.



წარმატებით დაამთავრეს ლენინური დათვალიერების 1-ლი ეტაპი მახარაძის რაიონის პიონერულმა რაზმეულმა. ამ საქმეში მათ დაეხმარა ვაზეთი „ნორჩი ლენინელი“ მიერ წამოწყებულ ლენინური დათვალიერების რესპუბლიკური საგულშაღო „ცისარტყელა“, აგრეთვე საგულშაგოს უჭროსის თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმეფალმშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირ ვასილ პაპინაშვილსა და მისი ბრიგადის წევრებთან მეგობრობა. რაიონის რიგი სკოლების რაზმები, მისი წევრები დაჯილდოვდნენ „ცისარტყელას“ აღმებით და ჩაირიცხნენ ვასილ პაპინაშვილის ბრიგადის საპატიო წევრებად.

კარგი მოფიქრებაა პიონერთა რაზმეულების საკავშირო ლენინური დათვალიერების რაიონული ჟიურის „შვიდკაცას“ შექმნა. შრომისა და დიდი ღვაწლის ღირსეული დაფასებაა კონჭკათის საშუალო სკოლის უფროსპიონერხელმძღვანელისათვის (ამხ. ლ. ჩხაიძე) ამ თანამდებობაზე მუშაობის 15 წლისათვის საიუბილეო საღამოს მოწყობა, პიონერთა და მოსწავლეთა სახლში აქტივისა და რაზმის ხელმძღვანელის დღის დამკვიდრება, უფროსპიონერხელმძღვანელთა თათბირ-სემინარების სისტემატური ჩატარება, საკოლმეურნეობათაშორისო პიონერთა ბანაკების ნამუშევრების გამოფენის მოწყობის ტრადიციად დამკვიდრება და სხვა.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის საქმიანობაში არსებული ყველა წარმატება განპირობებულია ამ სახლის მთელი კოლექტივისა და პირადად ხელმძღვანელის—გურამ კუნჭულიას უნარიანი და ენერგიული მუშაობით.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ბავშვთა სრული თვითმმართველობაა. აქ ბიბლიოთეკას მესამე სკოლის მოსწავლეები ე. ზაქარიაძე და ს. გეგორქიანი უვლიან, ასე პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სხვა უბნებსაც პიონერ-მოსწავლეები განაგებენ.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლი განათლების განყოფილები-სა (ამ. ხ. ხავთასი) და ალკკ მახარაძის რაიონული კომიტეტის (ამხ. ი. მგალობლიშვილი) ყურადღების ცენტრშია. განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორები (ამხ. ამხ. ვ. სალუქვაძე, ნ. სალუქვაძე, გ. კეკელიძე, ალ. დოლიძე) პერიოდულად ამოწმებენ პიონერთა და მოსწავლეთა სახლის წრეების მუშაობას და აძლევენ მათ საჭირო მეთოდურ მითითებებს.

მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოძიების შედეგად სკოლამდელი ასაკის

ბავშვებთან, ოქტომბრელებთან, უფროსკლასელებთან მუშაობაში
გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. წარმატების საწინდარი გახდა
მთელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სწორად დაგეგმვა და
აღრიცხვა, მთელი პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის სწორი
ორგანიზაცია.

სკოლების სამმართველოს
ინსპექტორი ქ. დარხალია

შინაარსი

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს მოსწავლეებთან აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ 1965 წლის ზაფხულში	3
2. სკოლა—მოსწავლეებთან საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი	5
3. დებულება სკოლა-ინტერნატების შესახებ	29
4. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, ცეკავშირის გამგეობისა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსი 1965—1966 სასწავლო წელს რესპუბლიკის სოფლის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	40
5. Указания—О приеме учащихся в вечерние (сменные) и заочные средние общеобразовательные школы	43
6. ბრძანება № 716—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების მდგომარეობის შესახებ	48
7. ცირკულარული წერილი	53
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1965 წლის 22 ივნისის დადგენილება სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ	54
9. ბრძანება № 693—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სოფლის სკოლებისა და განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ	64
10. ბრძანება № 731—ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახსლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	67
11. ბრძანება № 764—მახარაძის, ღუშეთის, სავარჯიშოსა და ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობის გამორაკვევის შედეგების შესახებ	91

07/279.



რედაქტორი უშ. თბოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

შანსი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-65 წ. ინაწეობის ზომა $6 \times 9^{1/2}$
ქაღალდის ზომა 60×84 . სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7.

ტირაჟი 5000.

უფ-11510

შეკვ. № 977.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 11
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19

Тбилисская типография № 11, Главполиграфпрома
Государственного комитета совета Министров Груз. ССР по печати
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19